ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 16 მაისი 1998 №72 (607) ფასი 50 თეთრი

ტორპედო 1:0 ბათუმი
(26 ტურის მატჩი)
ოდიში 1:5 დინამო
(21 ტურის მატჩი)
ვიტ ჯორჯია 1:0 გურია
(26 ტურის მატჩი)
მალაროელი 0:3 რუსთავი
(21 ტურის მატჩი)

დინამო	28	23	3	2	82:13	67
კოლხეთი	28	17	6	5	55:23	57
ბათუმი	28	16	7	5	55:19	55
ტორპედო	28	15	9	4	47:24	54
ოდიში	28	13	4	11	37:48	43
თსუ	28	11	6	11	34:29	39
ლოკომოტივი	28	10	8	10	30:37	38
დილა	28	11	4	13	27:30	37
მერანი	28	12	7	9	38:32	36
ვიტ ჯორჯია	28	8	9	11	24:33	33
რუსთავი	28	9	4	15	29:30	31
სამგურალი	28	8	6	14	28:48	30
სიონი	28	9	6	13	43:40	28
მალაროელი	28	6	5	17	23:57	23
გურია	28	5	8	15	26:55	23
მარგვეთი	28	2	6	20	20:71	12

„დინამოს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა, „მერანს" — 7

გუშინ ისანში: „ვიტ ჯორჯია" — „გურია". გურული თიბილაშვილი (მარჯვნივ) ვიტელი ჭუმბურიძის შეჩერებას ლამობს

სად მტკვარი და სად რიონი...

ადგება ვინმე სავლე და მორიდებით იტყვის — ამადაამ კანტორაში საქმე მთლად კარგად ვერ მიდის და მისახედიაო.

წამოუხტება ვინმე პავლე რიხითა და ნიშნისმოგებით — ამას ნურაფერს დაუჯერებთ, ტიპიური პროვაკატორია, ათას მამაძაღლობასა და ცუღლუტობაში შემჩნეულიო.

სავლე თავისას არ იშლის — მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, საქმე მართლა ცუდად არის და რაღაცა ვილონოთო.

კვლავ გამოენთება პავლე, ახლა უკვე მუშტების ქნევითა და თვალების ბრიალით — გააჩუმეთ ეგ არამზადა, ნამუსი რომ ჰქონდეს, თავი არც გამოეყოფა, ბავშვობაში მტკვარში იხრჩობოდა და უარესიც სჭირს, მაგის მეზობელს შარშან მუცელი მოეშალაო.

ერიჰა!

სად მტკვარი და სად რიონი...

რიონზე გამახსენდა. ამასწინათ დავით ხახალეიშვილს, მგონი, ოლიმპიურ ჩემპიონს, დაახლოებით ასეთი რამ უთქვამს: სპორტის დეპარტამენტმა ფუნქცია დაკარგა და მისახედიაო. კაცი ამ ჭკუაზე დამდგარა და ეს ამბავი „რეზონანსისთვის" გულუბრყვილოდ გაუმხელია.

რეზონანსი აწი ნახეთ. დეპარტამენტის პრესცენტრელებმა ეს ცენტნერნახევრიანი კაცი (ამბობენ — ოლიმპიური ჩემპიონი) ფეხქვეშ მოიგდეს და სულ წიხლები ურტყეს, მერე მახრჩობელა და მტკივნეული ილეთებიც გაუხსენეს — რაც რამ აუღია და მიუღია, სულ ძმრად ადინეს. ოდესღაც რაღაც ოლიმპიური ჯილდო, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლები კი მოუგია, მაგრამ ისიც იკითხეთ, ჩვენგან რა მოგება ნახაო — მისხალ-მისხალ დაუთვალეს პრემიები და საჩუქრები, ლარები და დოლარები, მადლობის სიგელ-გუჯრები. ბოლოს კი მოაყოლეს: აი, ასეთმა პატივნაცემმა და ხელისგულზე ნატარებმა კაცმა უკადრებელი იკადრა და ჩვენს ბოსტანში ქვა ისროლაო.

ესეც შენი ოლიმპიური ჩემპიონი!

ოგავას წამებში წამქცევი კაცი, აგერ, ჩვენს თვალწინ ბავშვივით მოისროლეს და გაგუდეს (წარმოიდგინეთ, წერილფეხობას რას უზამენ). ახლა, თურმე, იძახის — თქვე კაი ხალხო, ამის ფასი რა დაგიშავეთ, აზრი გამოვთქვი, კანონი ხომ არ გამომიცააო.

აბა, რას იფიქრებდა, აზრის გამოთქმა „კანონით" თუ ისჯებოდა.

სავლეს და პავლეს ამბავზეც, ეტყობა, არაფერი სმენია.

არადა, ასეთი ამბები განა ერთი და ორი ხდება.

აგერ, სულ ცინცხალი მაგალითი: სპორტულმა ჟურნალისტებმა, საფეხბურთო მიმომხილველებმა, ფეხბურთის ფედერაციას წერილი აახლეს: ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ქართულ ფეხბურთს საშველი დააყენეთო.

პასუხად ისევ ქილიკი და ქილიკური. ესენიო, ეს „მიმომხილველებიო", ფედერაციის წინა ყრილობაზე ყალბ მანდატებს მოითხოვდნენო; ზოგიერთ მათგანს ფედერაციის და მისი თანამშრომლის ვალი მართებს და დღემდე არ დაუბრუნებიაო; ამ ხალხმა „ანა-ბანა" ფედერაციაში ისწავლეა და თუ რაიმეს წარმოადგენენ, ისევ ჩვენი და „ქართული ფეხბურთის" დამსახურებააო.

ერთი კითხულობს: რომელი საათია?

მეორე პასუხობს: ხვალ იწვიმებს.

როგორია!

ხახალეიშვილი ამბობს — სპორტის დეპარტამენტი გარდასაქმნელია!

იქიდან ეუბნებიან — ნახეთ, რა უმადურია, ამდენი ფული მივეცით და მაინც ძირს გვითხრისო.

ჟურნალისტები წერენ — ფედერაციამ ფეხბურთს მიხედოსო.

იქიდან პასუხობენ: თქვენ რომ ჩვენი ვალი არ გაგისტუმრებიათო.

სავლემ რა ქნას, თორემ პავლე ქე არის ყიჩად და გულარხეინად.

თავი ისე უჭირავს, თითქოს ჩვენმა სპორტმა და ჩვენმა ფეხბურთმა მიწაზე რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო და ახლა ცაში ვარსკვლავებს ეთამაშება.

პავლე, რა თქმა უნდა, ტყუის.

მაგრამ ვიდრე ამას ხმამაღლა იტყოდეთ, კარგად დაფიქრდით და გაიხსენეთ: ბავშვობაში მტკვარში ხომ არ გიბანავიათ ან თქვენი კარის მეზობელს ცუდი რამ ხომ არ შემთხვევია.

ელგუჯა ბერიშვილი
საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი

ვიტ ჯორჯია

თბილისი „შევარდენი" 15 მაისი

ვიტ ჯორჯია 1:0 გურია

ვიტ ჯორჯია: დ. ჯანელიძე, ილურიძე, კველიშვილი, ჭოხონელიძე, მ. ბურდული (ლამბაშიძე 89), დვალიშვილი, ქუთათელაძე (რუხაძე 69), მაისურაძე, ლ. ნოზაძე (ალავიძე 90), გოჩაშვილი
გურია: გოგუა, ლურწკაია, ჭ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ფაცურია, თიბილაშვილი, ზ. კვეკვესკირი (ჯაშიაშვილი 73), განევი, ჩხეტია (ბაბუნაშვილი 85), ბუკია (პატარაია 69), ბულუხია
1:0 გოჩაშვილი (83)
გაფრთხილებები: კველიშვილი, ბუკია, პატარაია
მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სულო, ცოდვილო!

კობა ინასარიძე

დრომ ასეც იცის, ლამისაა ლანჩხუთის „გურია" შეიწიროს. საქართველოს თასის პირველ მფლობელს უმძიმესი დროება დაუდგა და პირველ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

სულო, ცოდვილო, განა „გურია" არაა ღირსი, ერთი შეძლებული, ფეხბურთით დაინტერესებული სპონსორი ჰყავდეს, თუნდაც სუფსის ნავთობის ტერმინალი?

წავიდა ის დრო, გურულებს ოჯახიდან ფული რომ გამოჰქონდათ და ფეხბურთელებს აუგის თქმის უფლებას არ აძლევდნენ.

ცოცხალი რომ იყოს ევგრაფი შევარდნაძე, ყველაფერი ხომ სხვაგვარად იქნებოდა. ახლა?

გუშინ „შევარდენზე" ერთმა გულშემატკივარმა ხელი ჩაიქნია და... ევგრაფი ბატონი საფლავში გადაბრუნდებაო, თქვა. კაცს სინანულის ცრემლები ახრჩობდა.

ის „გურია" აღარ არის, აღარც ფეხბურთელები შერჩენიათ თუნდაც ისეთი თამაშისთვის, ჯგუფში ადგილის შენარჩუნება პრობლემა რომ არ იყოს.

გაიხსენეთ ძველი დრო. ახლა კი „გურიას" შეხედეთ. გუნდი თბილისში ჩამოვიდა, უშუალო კონკურენტს ეთამაშებოდა. ფრე. მით უფრო მოგება სიცოცხლის ტოლფასი იყო. „გურიამ" ხეირიანად ერთხელაც ვერ შეუტია. ჯანელიძეს ერთხელ დაურტყეს ბურთი და კინაღამ მტკვარში ჩააგდეს. გურულებს ასეთი თამაშით უნდა წაეგოთ, მასპინძლებს — პირიქით. განგებამ ასეც ინება. ვიტელებმა მოინდომეს, მთელი მატჩის განმავლობაში სტუმრები თავიანთ საჯარიმოზე მიაჯაჭვეს, გოლი კი როდის-როდის გაიტანეს. გოჩაშვილმა იყოჩაღა, კუკულაძის შეცდომის ფასად გოგუასთან პირისპირ დარჩა და კვარაცხელიას საბოლოო სასტვენამდე 7 წუთით ადრე „შევარდენზე" დამსწრენი გაახარა. გაიხარა თავადაც, მაგრამ გოლიდან ორიოდ წუთში კვლავ მეკარესთან პირისპირ გასულმა ხელმეორედ ველარ იხეირა. „გურიას" ბრძოლა საფინალო სასტვენამდე იყო მოსალოდნელი, მაგრამ ისე დაბეჩავებულან, ამის ძალაც აღარ შესწევთ. მოვალეობის გულისთვის თამაში კი რისი მომასწავებელია, კარგად უწყით.

ჯერ მეორე სერიაც ვნახოთ

— შემოუშვით ჟურნალისტები, ნახონ და გაიგონ ყველაფერი, რაც აქ მოხდება — ამბობდნენ სადისციპლინო კომისიის წევრები — გოგი დემეტრაძე და ნუგზარ მდივანი. მათმა მოთხოვნამ გაჭრა. ფედერაციამ აქამდე არნახული და არგაგონილი ნაბიჯი გადადგა — ჟურნალისტები სადისციპლინო კომისიის სხდომას დაასწრო. ბევრი მოვისმინეთ და ჩავიწერეთ, ისეთიც, ჩვენ რომ არ უნდა შეგვეტყო. სხდომაზე იყო დიალოგი, ურთიერთდაპირისპირება და ენებათაღელვა, წამოძახილებიც, მაგრამ დავა-კამათი ცივილიზებულ ფორმებს არ გასცდენია. ყველაზე მთავარი კი მაინც ისაა, რომ ვნახეთ ფირი, რომლის სიმძაფრეზეც ლეგენდებს ჰყვებოდნენ. აქედანვე ვიტყვით — ფოთში განსაკუთრებული და დღემდე უნახავი არაფერი მომხდარა. მსგავსი ყოველ მეორე ტურში ხდება, მით უმეტეს, ჩემპიონატის ფინიშზე და იმ მატჩში, რომელმაც ფაქტობრივად პრიზიორთა ბედი უნდა გაარკვიოს. საინტერესო სხვა რამ გახლდათ, კერძოდ ის, რომ „კოლხეთი" აშკარად გადარჩა მინუს ხუთს. თუ რატომ, ამაზე ქვემოთ დაწვრილებით მოგახსენებთ.

ვიდეოფირი

ადრეც ვწერდით, რომ „კოლხეთი" — „ტორპედოს" თამაშს სამი ოპერატორი აფიქსირებდა. აქედან გამომდინარე, სადისციპლინო კომისიის განკარგულებაში სამი ვიდეოკასეტა გახლდათ. რადგანაც მომჩივნის როლში ქუთაისელები გამოდიოდნენ, კომისიამ განსახილველად ქუთაისური კლუბის ოპერატორის გადაღებული ირჩია. დავსხედით და ვუყურეთ მატჩის მეორე ტაიმს, ძირითადი მოვლენები სწორედ ბოლო ორმოცდახუთ წუთში განვითარდა.

ფირზე არც ერთი სადაო მომენტი გარკვევით არ არის აღბეჭდილი. თამაში ერთი კუთხიდანაა დაფიქსირებული. მოგვიტეოს ქუთაისელთა ოპერატორმა, მაგრამ მისი ნამუშევარი ვერ იყო მაღალ დონეზე შესრულებული.

ღლანიძემ მართლა მოუქნია ფეხი ლაცაბიძეს, მაგრამ ვერავინ იტყვის, ფოთელმა მსაჯს დაარტყაო. ეს უფრო დარტყმის მცდელობაა, ვიდრე ფიზიკური შეურაცხყოფა. მსაჯის ცემას გიორგაძეც ცდილობს, ხელსაც მოუქნევს და მიქაბერიძე რომ არა, ლაცაბიძეს ალიყური განაღდებული ექნებოდა. ფირზე აღბეჭდილით თუ ვიმსჯელებთ, გიორგაძის ხელი მიქაბერიძეს ხვდება. ისე, ლაცაბიძე ტურას სანთლებს უნდა უნთებდეს. ფოთელთა ვეტერანი რომ არ ყოფილიყო, მსაჯი ცოცხალი ვერ წამოვიდოდა.

გვასალიას მიერ გატანილი და მსაჯის არჩათვლილი გოლისთვის ლაცაბიძის საქებარი სიტყვებიც დაგვცდება. ხელით თამაში მხოლოდ მას უნახავს, დანარჩენმა ვერავინ შეძლო, ეს დაეფიქსირებინა. მეც არ მინახავს, მხოლოდ ინტუიციით მივხვდი, თავდამსხმელმა რომ ხელით ითამაშა — აღიარა ლაცაბიძემ. იმ ინტუიციამ რატომ უღალატა პენალტის დანიშვნის დროს, ვერაფრით აგვიხსნია. ვაშაკიძე მართლა ქაჩავს მაისურზე ნოზაძეს, მაგრამ ეს საჯარიმოს გარეთ ხდება. ან რატომ არ გააძევა ჩხაიძე და გიორგაძე? ამათ ისეთი მუშტი-კრივი გამართეს, თქვენი მოწონებული. ასეთი ჰუკები ჩვენში მოკრივეებსაც შეშურდებოდათ.

არადა, ლაცაბიძემ 70 წუთი წესის და რიგის მიხედვით განსაჯა. მერე უდიდეს ზეწოლას ვერ გაუძლო. შეცდომებიც მინდორზე არანორმალურმა ვითარებამ გამოიწვია. სხვათა შორის, ბუნტისთავები სტუმართა გუნდის რიგებშიც ერია.

ფირზე ისიც არაა აღბეჭდილი, რა ხდებოდა სტუმართა სათადარიგო სკამთან და მათ გასახდელში. არადა, ბესიკ ჯიქიასა და ცალკეული ფეხბურთელების შესამკობი უწმაწური გინებები მკაფიოდ ისმის. მოკლედ, ფოთში ექსცესებს ჰქონია ადგილი, მაგრამ ამას ქუთაისელები მხოლოდ სიტყვით ამტკიცებენ, ვიდეოფირზე არაფერი ჩანს და არც მსაჯი და დელეგატი იტყობინება არაფერს. ყოველ შემთხვევაში, ამათი მოხსენებები სრულ წესრიგზე მიუთითებენ.

იხილეთ მეორე გვერდი

ხვალინდელი დღის იმედით

ესპანეთის ქალაქი ოვიედო ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს მასპინძლობს და, ბუნებრივია, ჩვენი ყურადღებაც იქეთკენაა მიმართული. ქართველი ძიუდოისტებისგან ყოველთვის გამარჯვებებს ველით და ამ იმედითაც დავუკავშირდით ნაკრების მთავარ მწვრთნელს შოთა ხაბარელს. სამწუხაროდ, გია გუგავა და სოსო ლიპარტელიანი უკვე გამოეთიშნენ ასპარეზობას. გია ფეხის ტრავმას შეუწუხებია, ხოლო სოსოს მსაჯების სიმპათია ვერაფრით დაუმსახურებია და მათაც მოწინააღმდეგისთვის მიუნიჭებიათ გამარჯვება.

რაც შეეხება გიორგი რევაზიშვილსა და ნესტორ ხერგიანს, ისინი დღეს ფრანგ და გერმანელ ფალავნებს შეერკინებიან ფინალში გადამსვლელ ორთაბრძოლებში. ბრინჯაოს მოპოვების კარგი შანსი აქვთ ჯონდო მუზაშვილსა და რამაზ ჩოჩიშვილს. თუ როგორ განვითარდება მოვლენები ოვიედოში, „სარბიელის" ორშაბათის ნომერში შეიტყობთ.

სტეფანია და ნაცვლიშვილი ბევრს უნდა

ჩვენი ნაკრების წამყვანი მოთამაშეებით — ვლადიმერ სტეფანიათი და ვახტანგ ნაცვლიშვილით ბევრი დაინტერესდა. როგორც „სარბიელის" წინა ნომერში გაუწყეთ, ისინი ნბა-ს წლევანდელ დრაფტში არიან. სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ მათი ხელში ჩაგდება რუსეთის ჩემპიონ მოსკოვის ცსკა-საც მოუწადინებია. თვით ევროპის ჩემპიონთა თასის წლევანდელ მფლობელს ბოლონიის „კინდერსაც" სურს, ვახტანგ ნაცვლიშვილი თავის რიგებში იხილოს.

სამშაბათობით და ხუთშაბათობით
სარბიელი FRANCE98
წარმოგიდგენთ მონაწილეებს
adidas Canon Coca-Cola Gillette JVC OPEL PHILIPS

ბიბლიოთეკა

მეხამრიდმაც ვერ უშველა

ქუთაისი
„გივი კილაძე"
15 მაისი

ტორპედო 1:0 ბათუმი

ტორპედო: ასლანაძე, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, ი. ფაშაკიძე, მაღლაკელიძე, ჩხაიძე, კ. კვეტენაძე (ჩხეტიანი 89), შ. ხუჯაძე, დ. ჯანაშია, მეგრელაძე (ვაჩიბერაძე 70), კ. მეტრეველი (თურმანიძე 78)
ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი (ლლონტი 71), მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, კანტიძე, სოლოლაშვილი
1:0 ხუჯაძე (26)
გაფრთხილება: სოლოლაშვილი, ჩხაბერიძე, შეყილაძე, ჯანაშია
მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

ვახტანგ ბზიკაძე ქუთაისიდან

ათგუნდიანი ჩემპიონატის გამართვის არც მოწინააღმდეგე ვყოფილვარ და არც გულმხურვალე მხარდამჭერი, მაგრამ გუშინდელი მატჩის შემდეგ ამაში დავრწმუნდი, ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას დაფიქრება რომ მოუწევს. რას, რას და ამ წყვილის მატჩებს სეზონში ოთხჯერ კი არა, რატომ მეტჯერაც არ ნახავს კაცი? ათი ათასამდე მაყურებელი, ბრძოლის ჟინგამჯდარი, მოსაგებად ანთებული ორი ჩინებული გუნდი და ობიექტური, მაღალი დონის მსაჯობა. განა მსგავს მატჩთა გაუთავებელი რეპეტე არ სჯობს ისეთთა ხილვას, რომლებზეც მხოლოდ სამსახურებრივი პასუხისმგებლობის გრძნობა არ გაგაძლებინებს?

შეხვედრისადმი ინტერესზე მაყურებელთა სიმრავლის გარდა მათი სიჭრელეც მეტყველებდა. აქ იყვნენ ფოთელები, ბათუმელები, ზუგდიდში მოთამაშე „დინამოს" მწვრთნელი მურთაზ ხურცილავაც კი. ბატონ მურთაზს ჩემპიონატის მიწურულს სხვათა მატჩების ხილვა და მოთამაშეთა შეგულება სჩვევია, მაგრამ ვისაც ქართული ფეხბურთის კეთილდღეობა სურს, „ტორპედოს" და „ბათუმს", საქმე და თამაში, როგორც იქნა, რომ აუწყვიათ, ხელი არავინ უნდა ახლოს.

ამ გუნდებმა გუშინ ორი საათით გააბედნიერეს ქუთაისელები. 25-მდე სახიფათო, სანახევროდ საგოლე მომენტი ყველა თამაშში როდი იქმნება. უკვე პირველ ხუთ წუთში გახდა ნათელი, რომ „გივი კილაძეზე" მისულნი დიდებული სანახაობის მოწმენი შეიქმნებოდნენ. ჯერ ჯანაშიამ და ჭიჭვეიშვილმა გაცვალეს მომენტები — უშედეგოდ, ყველაზე ახლოს კი გოლის გატანასთან მაღლაკელიძე იყო. მე-6 წუთზე კუთხურზე დახვედრებული ავტოგოლისგან „ტორპედო" ძელმა იხსნა. მაღლაკელიძემ ორიენტაცია მალე აღიდგინა და ტოგონიძეც შეაწუხა, მაგრამ ამ ეპიზოდმაც ისევე უშედეგოდ ჩაიარა, როგორც თორლაშვილის თუ მეგრელაძის დარტყმამ. ხიფათი ამჯერადაც მეკარეებმა აიცილეს გუნდებს. ტაიმის პირველი მესამედის ბოლოს კი სოლოლაშვილმა ოდნავ ააცილა შორიდან კარს. ორ წუთში ტოგონიძემ ჯანაშიას დარტყმული და ჭიჭვეიშვილის ფეხიდან ასხლეტილი აილო. წუთს აქეთ კი „ბათუმმა" თავად შეუტია, თუმცა კანტიძის კედელსგარტყმულ ჯარიმაზე შეყილაძის დარტყმაც აცდა და 5 წუთში სიჭინავასიც. თენგიზმა ის ხუთწუთეული დააბოლოვა, „ბათუმმა" ქუთაისელებს ბურთი რომ დაუჭირა და საკუთარი უპირატესობა აგრძნობინა, მაგრამ... მეხის გავარდნას ჰგავდა 30-35 მეტრიდან შალვა ხუჯაძის გასროლილი, ტოგონიძის დარმა მეხამრიდმაც ვერ ააცილა „ბათუმს" გოლი. ეს იყო და ბათუმელები კიდევ უფრო გაშმაგდნენ, გოლის გატანას იქით ლამობდნენ და არ გაუშვეს? გაუშვეს, მაგრამ ერთს ვინლა ჩიოდა, ჯანაშიამ კინაღამ პირველ ტაიმშივე დააშამათა სტუმრები. შეყილაძისგან მეტრეველის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ხარიხას ისე აძგერა, დავით თოდუას ნაცვლად თანამსაჯი ტოფიკ ბახრამოვი რომ ყოფილიყო, იქნებ გოლიც ჩაეთვალა.

პირველ ტაიმში ეს იყო, მეორის დასაწყისში კი ქუთაისელებმა არანაკლები დღე აყარეს ზღვისპირელთ. მათ სტუმრები ექვსჯერ გამოიჭირეს კონტრიერიშზე, მაგრამ ერთხელაც ვერ დასაჯეს. ჯერ ტოგონიძემ იმარჯვა ჯანაშიას ძლიერ დარტყმაზე, მერე კვეტენაძემ ააცილა მეტრეველის პასი დაუცველ კარს, ხუჯაძე-მეგრელაძეს კი შეთანხმებულად რომ ეთამაშათ, ოდენ ტოგონიძესთან დარჩენილთ გატანა აღარ გაუჭირდებოდათ. მეგრელაძემ ერთხელაც მიბაძა მამამისს ახალგაზრდობაში, შორეულ ძელს რომ ჩაუქროლა მისმა დარტყმულმა. ორჯერ კი ჯანაშიას არ დაუფასდა თავგადაკრული ბრძოლა, ძველებურად და ჩვეულად სწრაფი, ეფექტური თამაში.

რაც ვთქვით, მეორე ნახევრის პირველ 25 წუთში მოხდა. მერე კი ორივე გუნდი, ტოგონიძის გამოკლებით, „ტორპედოს" ნახევარზე დასახლდა. სტუმრები დიდი ძალებით უტევდნენ, მასპინძლები კი მონდომებით იგერიებდნენ იერიშებს.

ქუთაისელი ქომაგები შეხვედრის ბოლო წამებამდე დაძაბულნი იყვნენ. დროის გაყვანა ტორპედოელებმა სხვადასხვა ხერხით სცადეს. შეცვლილი კვეტენაძე სანამ ხვევნა-კოცნით არ დაემშვიდობა შეყილაძეს, მოედნიდან არ გავიდა, ჩხეტიანმა კი კუთხურთან ცნობილი ილეთით თამაშიც დააცხრო და კუთხურის უფლებაც მოიპოვა.

არაფერი გაუვიდათ

ზუგდიდი
ცენტრალური
15 მაისი

ოდიში 1:5 დინამო

ოდიში: გაბელია (ივარდავა 46), ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, აკობია, ბარქაია, გელა ქორიძე, ჩადუნელი, ენდელაძე (შედანია 46), გლუნჩაძე, ისიანი (იოსავა 65), კალანდაძე
დინამო: ზოიძე (ლომაია 52), არსოშვილი, გუჩუა, ჯელაძე, ა. სახვაძე, კვარაცხელია, კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია, ცქიტიშვილი (ქემოკლიძე 54), ხომერიკი (მუჯირი 27)
0:1, 0:2 ხომერიკი (11, 15), 0:3, 0:4, 0:5 აშვეთია (35, 46, 65), 1:5 კალანდაძე (85)
მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

იუზა კაციტაძე ზუგდიდიდან

კალენდრის მიხედვით რომ ჩატარებულიყო, ამ მატჩს მაშინ ექნებოდა ინტრიგა. და მერე როგორი! 21-ე ტურისთვის „დინამო" და „ოდიში" მეზობლად, პირველ-მეორე ადგილებზე იყვნენ. მათ ერთმანეთთან არცთუ ბევრი, 7 ქულა აშორებდა. მას შემდეგ რა, თვენახევარსაც არ გაუვლია, მაგრამ დახეთ, „დინამომ" მეცხრედ გაჩემპიონება მოასწრო. „ოდიშმა" კი ორად ორი ქულა შემატა და ახლა მედლებზე და ევროპაზე ფიქრობს კი არა, ლამის მეხუთე პოზიციაც ვერ შეინარჩუნოს გათამაშების ცხრილში. ზუგდიდელებს ცუდად ნამდვილად არ დაუწყიათ. პირველი საგოლე მომენტიც მათ შექმნეს.

მე-10 წუთზე გლუნჩაძემ შორეულ საჯარიმოში მიიღო ბურთი, თითქოს კარგადაც დაარტყა, მაგრამ ხარიხას გადააცილა. „დინამო" აკადემიურ სტილში კი თამაშობდა, მაგრამ ამ გამოხდომას სწრაფი კონტრდარტყმით უპასუხა და აშვეთიას გადაცემით ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერმა ხომერიკმა თავისი მე-20 ბურთი გაიტანა. სტუმრებმა მეორეც მალე შეაგდეს. გუჩუას მოედნის ცენტრიდან წინ დარტყმული ერთ-ერთ ზუგდიდელს მოხვდა და საჯარიმოს კთხესთან აშვეთიას მიუვიდა, მიხო მეურვეს იოლად დაუსხლტა და გვერდზე ხომერიკს დაუგორა. მანაც არ დააყოვნა და დუბლი გაახერხა. ამის შემდეგ ზუგდიდელებს ჰქონდათ ორი კარგი მომენტი, მაგრამ ვერ გამოიყენეს. გლუნჩაძემ ჩადუნელის ჩაწოდებულს მიმართულება ვერ შეუცვალა, თუმცა ახლოდან ურტყამდა თავურს, ხოლო კალანდაძის თითქმის მეკარის ბაქნიდან დარტყმული ზოიძემ მოიგერია. მალე ხომერიკმა ფეხი იტკინა და მოედანი დატოვა. აშვეთიამაც აღარ იკმარა ასისტენტობა და ახლა თავად დაუშინა ზუგდიდელთა კარს. პირველის გატანაში მას ბარქაია წაეხმარა. დინამოელი მარჯვნიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, ერთი შეხედვით ჩაწოდებაც დააპირა, მაგრამ კარში დარტყმა უფრო გამოუვიდა, ბურთი კარის ხაზს, ალბათ, ისედაც გადაკვეთდა, ბარქაიამ გოლი მხოლოდ დააჩქარა.

მასპინძელთა შემადგენლობაში გუშინ რამდენიმე გამოუცდელმა ფეხბურთელმა ითამაშა, ერთი მათგანი მეკარე ივარდავა გახლდათ. ჰოდა, ამას იყო, რომ აშვეთიამ კარში ჩადგომაც არ აცალა. განახლდა თუ არა თამაში, კიკნაძემ ზუსტი პასი მისცა მიხოს და მანაც გოლკიპერს დებიუტი ჩაუმწარა. ცოდონი კი იყვნენ, მასპინძლები ბევრს ცდილობდნენ, მაგრამ თავდასხმაში არაფერი გამოსდიოდათ. დინამოელთა დაცვა მშვიდად იგერიებდა შეტევებს. ამიტომაც იყო, რომ 64-ე წუთზე კალანდაძემ შორიდან სცადა სტუმართა კარის დალაშქვრა, მაგრამ ოდნავ ააცილა. დინამოელთა საპასუხო იერიში კი მე-5 გოლით დასრულდა. ამჯერადაც აშვეთიამ ითამაშა ჩინებულად, მცველი და მეკარე ერთად მოატყუა. მასპინძლებმა კი მაინც დააღწიეს თავი მშრალი ანგარიშით მარცხს, ბოლოს და ბოლოს, კალანდაძემ ივარგა, თუმცა რა შეღავათია, „ოდიში" ასე გამანადგურებლად შინ პირველად დამარცხდა.

გოლებიც ცვიოდა, ქვებიც

ჭიათურა
ცენტრალური
15 მაისი

მაღაროელი 0:3 რუსთავი

მაღაროელი: გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე (აბრამიშვილი 75), მ.გაბრიჭიძე, ბარამიძე, შველაშვილი, ბუიშვილი, თ.სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი
რუსთავი: მ. ქორიძე, მენთეშაშვილი (კედელაშვილი 26), მელაძე, შილაკაძე, მ.სახვაძე, ცომაია, ზირაქაძე, ბ. შენგელია (ბოკერია 75), ჩუხუა, ყიფიანი (პატარიძე 65), კ. ალადაშვილი
0:1 ჩუხუა (54), 0:2 პატარიძე (74), 0:3 ჩუხუა (77)
გაფრთხილება: გველესიანი, კიპაროიძე, ბუიშვილი, ქორიძე, შილაკაძე, ყიფიანი
მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან

ცხადი იყო, რომ ეს გადატანილი შეხვედრა ყველაზე პრინციპული, დაძაბული და საინტერესო იქნებოდა. აკი ფეხბურთის ფედერაციიდანაც ორი დელეგატი იყო მოვლინებული.

მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მეხუთე წუთზე მწყერაშვილს შეეძლო გატანა, მაგრამ რუსთაველთა მცველები და მეკარე ჩინებულად გაისარჯნენ. მომენტი იმით დამთავრდა, რომ ჭიათურელთა ზედიზედ რამდენიმე დარტყმის შემდეგ სახვაძემ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა.

მასპინძელთა შეტევები მარცხენა ფრთიდან იწყებოდა, სადაც რუსთაველთა განაპირა მცველი მენთეშაშვილი საგრძნობლად მოისუსტებდა. სტუმართა თავკაცმა იგი კედელაშვილით შეცვალა, რომელმაც დროულად შეკრა დაცვა.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული გახლდათ, როცა მანამდე საიმედოდ მოთამაშე მასპინძელთა ლიბერო დავით იობაშვილმა უხეში შეცდომა დაუშვა. რუსთველმა ჩუხუამ მას ბურთი მოპარა, გზად კიდევ ორი მცველი — კიპაროიძე და გაბრიჭიძე ჩამოიშორა და მეკარესთან პირისპირ გასულმა ანგარიში გახსნა. სამიოდ წუთში იობაშვილმა უკან დაუგორა გველესიანს. მეკარემ ბურთის მოგერიების ნაცვლად ყიფიანის მოტყუება მოინდომა, რაც ვერ შეძლო. ყიფიანი გველესიანს გაცდა და ბურთის ცარიელ კარში შეგდებასაც აღარაფერი ედგა წინ, მაგრამ მეკარემ სტუმარს უკნიდან სარმა გამოსდო გველესიანი წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ მაჭარაძემ ყვითელი აკმარა. ჯარიმა კი რუსთაველებმა ვერ გამოიყენეს.

ამის შემდეგ ჭიათურელები სულ აირივნენ. რა დაემართა მუდამ მშვიდ და თავდაჯერებულ იობაშვილს, ძნელი სათქმელია. სტუმრებმა რამდენჯერმე შეძლეს მეკარესთან პირისპირ გასვლა, მაგრამ გველესიანის თავგანწირულმა თამაშმა „მაღაროელი" არაერთხელ იხსნა.

მასპინძელთა დაცვის დაუდევრობამ მაინც ასარგებლა სტუმრები, რომლებმაც 74-ე და 77-ე წუთებზე ორი ტყუპისცალი გოლი გაიტანეს. ორჯერვე მარჯვენა ფრთიდან ზირაქაძემ კუთხური ჩამოაწოდა, ხოლო ჯერ პატარიძემ, მერე კი ჩუხუამ თითოჯერ შეარხიეს მასპინძელთა კარის ბადე. გოლებს გულშემატკივართა გულისწყრომა მოჰყვა, რაც მინდორზე ქვების სროლაში გადაიზარდა. რომ არა ადგილობრივ სამართალდამცავთა მონდომება, ადვილად შესაძლებელი გახლდათ, სამიოდ წუთით შეჩერებული მატჩი არც გაგრძელებულიყო.

ჯერ მეორე სერიას ვნახავთ

დასაწყისი პირველ გვერდზე

რა ვქნათ?

თავიდან სადისციპლინო კომიტეტი ისე იყო შემართული, „კოლხეთს" ხუთი ქულის ჩამოკლება არ ასცდებოდა, მაგრამ ვიდეოფირის ხილვის მერე აზრები ორად გაიყო. ადრინდელი ტონი მხოლოდ ნუგზარ მდივანმა შეინარჩუნა.

— ფოთში ძალადობის მცდელობა ყოფილა. მსაჯს ცოტაზე წამოარტყეს კიდეც. განა სხვაგან განსაკუთრებული რამ იყო? „სიონს" და „მერანს" ხომ დავაკლით ქულები. ახლაც მსგავს განაჩენს ვითხოვ.

გოგი დემეტრაძემ კენჭისყრისას თავი შეიკავა.

დანარჩენი სამი წევრი — შალვა კაკაბაძე, ლევან მელიქია და კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ ციბაძე ძალადობის ფაქტს უარყოფდნენ.

— ჩვენ პირველ რიგში საკუთარ თავთან უნდა ვიყოთ მართლები. ფოთელები სასჯელს ვერ გადაურჩებოდნენ, მაგრამ ამის საშუალებას ვიდეოფირი არ იძლევა. არც მსაჯი და დელეგატი გამოთქვამენ ფოთელთა საწინააღმდეგოს. ამიტომ ხუთი ქულის ჩამოკლება არასწორად მიგვაჩნია. ასევე მხარს არ ვუჭერთ მატჩის გადათამაშებას. ფეხბურთელები კი უნდა დაისაჯონ.

დასჯილთა შორის არიან კოლხები — ზაველი ღლანიძე და გიორგი გიორგაძე, ქუთაისელი გია ჩხაიძე. მათ კომისიამ თითო მატჩიანი დისკვალიფიკაცია დაუდგინა, რაც უკვე გამოტოვეს, წინა ტურში ფედერაციამ თამაშის უფლება რომ შეუჩერათ.

გამოდის, ამრევები დაუსჯელები არიან, რაშიც სადისციპლინო კომისიას ვერ დავეთანხმებით. თუ ვინმეს ჩემი აზრით აინტერესებს, მაშინ უფრო გაცილებით მკაცრი სასჯელი უპრიანი იქნებოდა, რადგან მოსალოდნელია, მათ მსგავსი რამ კვლავ გაიმეორონ.

რატომ წავედი

თამაზ ლაცაბიძეს ფოთში სამსაჯოდ წასვლა არ უნდოდა, ამას საქვეყნოდაც ამბობდა, მაგრამ ვინ დაუჯერა. კომისიის წევრებმაც გვარიანად შეუტიეს, ხომ თქვი, არ წავალო, პრინციპულობა რად არ გამოიჩინეო. ლაცაბიძემ თავი იმართლა, სხვა წამსვლელიც არავინ იყო, თავს ვძლიე და დავყაბულდიო.

ლაცაბიძეს კუჭი სტკივა, ფოთშიც თამაშის წინ წამალი დაულევია. იქნებ არ ღირდა ასეთ დაძაბულ მატჩზე მისი დანიშვნა. ისე გამოდის, ვილაცამ მსაჯი გასაწირად გაიმეტა.

ასეთმა გამოცდილმა და გამორჩეულმა მსაჯმა დაბალი შეფასება როგორ მიიღო, არ ცხრებოდნენ კომისიის წევრები. ლაცაბიძემ შეცდომები აღიარა და აქცენტი თამაშის დაძაბულობაზე გადაიტანა.

— მინდოდა, ყველაფერი მაღალ დონეზე ჩამეტარებინა, ვფიქრობ, ბოლომდე კაცურად ვიდექი. მართალია, შეცდომებიც მქონდა, მაგრამ ფიზიკურ შეურაცხყოფას და ძალადობას ადგილი არ ჰქონია. არც ვინმე დამპირებია რამეს. რაც შემეძლო, ყველაფერი გავილე, ახლა კი თქვენი საქმისა თქვენ უკეთ იცით — დაასრულა თავისი გამოსვლა ლაცაბიძემ და სკამზე მძიმედ დაეშვა.

ფედერაცია ერთი მხრივ ძალიანაც შეცდა, ფოთში ავადმყოფი ლაცაბიძე რომ გაუშვა. თუ აუცილებლად გამოცდილი მსაჯები უნდა დაენიშნათ, მაშინ სად იყვნენ გუნთაძე, მალაღურაძე, კვარაცხელია, ასკაროღლი და ლორთქიფანიძე? რაღა შეუძლოდ მყოფი შეარჩიეს. ალექსანდრე შილაკაძეს უნდობლობა თავად ქუთაისელებმა გამოუცხადეს. ბესიკ ჯიქიამ ეს შემდეგნაირად ახსნა — საშას დანიშვნის ამბავი მატჩამდე სამი დღით ადრე შევიტყვე. ფედერაციაში გადავრეკე და დამიდასტურეს, ამან ეჭვი დაბადა და შილაკაძის შეცვლაც ამიტომ მოვითხოვეო.

კარგით, ჯიქიას და მალაღურაძის კონფლიქტი ქვეყანამ შეიტყო და ფედერაციამ თავი ამიტომ შეიკავა, კვარაცხელია ზუგდიდელია, ფოთელების მეზობელი. გუნთაძე გადაღლილიაო, კი, ბატონო, მაგრამ ასკაროღლი, გინდაც კახიანი საქმეს თავს ვერ მოაბამდნენ? ფანიაშვილი და შალამბერიძე რატომ გვავიწყდება. არა, ფედერაციას მსაჯების ნაკლებობა თანაც კვალიფიციურის, არ დაეჩივლება, მაინც შეუძლოდ მყოფი ლაცაბიძე არჩიეს. ბუნებრივია, ერთი უბრალო კითხვა იბადება. რატომ?

მე დავამტკიცებ

სადისციპლინო კომისიის სხდომა სამსათ ნახევარს გრძელდებოდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ვინანე, თათბირზე რომ დაგვასწრეს. განა იმიტომ, რომ არ მაინტერესებდა, პირიქით, ძალიანაც საინტერესო ამბები ტრიალებდა, მაგრამ არ მინდოდა, მეხილა მდგომარეობიდან გამოსული, უაღრესად განერვიულებული თამაზ ლაცაბიძე. იგი ამდენი ხანია მსაჯობს, გარკვეული იმიჯი შეუქნია და ბესიკ ჯიქიას და ლაცაბიძის დაპირისპირება ასე სახალხოდ არ უნდა შემდგარიყო. ქუთაისელთა პრეზიდენტმა მსაჯი მიწასთან გაასწორა. ესაუბრათ, გაერჩიათ, მაგრამ სანამ ჟურნალისტები იქ ვიყავით, ეს არ უნდა მომხდარიყო. ლაცაბიძისთვის ძნელად მოსასმენი გახლდათ, ჯიქიას მონოლოგი. იგი მაშინ შემოვიდა, როცა კომისიას გადაწყვეტილება უკვე გამოტანილი ჰქონდა:

— მე საჯაროდ გიცხადებთ, რომ ეს კაცი, თამაზ ლაცაბიძე, ტყუის და ვეცდები, დავამტკიცო. მატჩის მეორე დღეს ლაცაბიძეს ველაპარაკე და მან ყველაფერი აღიარა. კასეტაში მაინც ყველაფერი გამოჩნდება. მე ფაქტის წინაშე ვდგები და ისედაც მომიწევს ყველაფრის თქმა. გარდა ამისა, ლაცაბიძემ ოთხ პიროვნებასთან აღიარა მასზე ძალადობის ფაქტები და დალილავებული ფეხები აჩვენა. ახლა საპირისპიროს ამტკიცებს. მას დღევანდლამდე ვიდეოფირი არ უნდა ენახა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ოპერატორს ძალადობა დაფიქსირებული ჰქონდა. როცა დარწმუნდა, ფირზე არაფერი ჩანსო, მერე ადრინდელი ნათქვამიც გადათქვა. გვაჩვენოს ფეხები და წყლულებსაც თავად ნახავთ.

ლაცაბიძე გადაფითრდა. აიწია შარვლის ტოტები, სადაც ცალ ფეხზე, მუხლს ზემოთ ოდნავ რაღაც ემჩნეოდა, მაგრამ მსაჯმა იმით ახსნა, რომ შინ რემონტი აქვს.

— ექსპერტიზაზე გამიყვანეთ, სადაც გინდა წავიდეთ, რას მაბრალებ, არ გრცხვენია, ბესო — გამწარდა ლაცაბიძე.

— შენ გრცხვენოდეს, შვილიშვილები დაიფიცე, თამაშ. მე წარვადგენ იმ ხალხს და დაგიმტკიცებ ყველაფერს.

გადათამაშებას იმიტომ ვითხოვ, რომ სტადიონზე არანორმალური ვითარება სუფევდა. ჩვენს სათადარიგო ფეხბურთელებს ასლანაძეს და შენგელიას ქვები დააყარეს, ქებაძეს დააფურთხეს. მეგრელაძეს თავად პოლიციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ზურგში მუშტი უთავაზა, მეც ასევე გამიმასპინძლდა, ხოლო გასახდელში ვილაც ორი პიროვნება აპირებდა შემოვარდნას. მე და ერთმა ფეხბურთელმა მოვასწარით კარების ჩაკეტვა. როცა ოპერატორმა ყველაფრის დაფიქსირება მოინდომა, ვილაცეებმა ამის უფლება არ მისცეს. ამ ფაქტებს ვერ დაინახავდა ვერც მატჩის დელეგატი თემურ ფანიაშვილი და ვერც ბადრი ქარქაშაძე. ესენი ლოჟაში ისხდნენ, იქიდან კი მინდორის და საპირისპირო ტრიბუნების მეტი არაფერი ჩანს.

ხალხი ღობეს არყევდა, მოედანზე გადმოსვლას იწყებდა, ხოლო სოსო ფრუიძეს ოცი წუთი თამაშისთვის არც უყურებია, არ მისცეს ამის საშუალება. თამაშის მერე დავურეკე ალექსანდრე ჩივაძეს, ვთხოვე, ლაცაბიძეს მანამდე გასაუბრებოდა, სანამ ვიდეოფირს ნახავდა. ლაცაბიძემ, ეტყობა, ფირის ხილვა მანამდე მოასწრო.

აი, ჩემი პრეტენზიები და ამიტომ ვაგრძელებ საქმის მსვლელობას.

ტყუის ჯიქია

სიტყვა, რა თქმა უნდა, „კოლხეთის" წარმომადგენელსაც ეკუთვნოდა. ვლადიმერ ხოხობიამ ჯიქიას ბრალდებები უარყო.

— გვასალიას გოლის არჩათვლის შემდეგ სტადიონზე გულშემატკივარი შოკში ჩავარდა, რადგან ხელით თამაში არავის უნახავს. წამოიშალნენ და მოჰყვნენ ჯიქიას გინებას, რომელიც ამ დროს ტელეფონზე ვილაცას ესაუბრებოდა და 2:0 ვიგებთო ამბობდა. ხალხი გამწარდა. მერე სტუმართა ფეხბურთელებმა გულშემატკივრებს აგინეს. ამან მთლად გადარია მაყურებელი. ამ დროს იყო, ღობის მორყევა რომ დააპირეს და მინდორზე შეჭრას ლამობდნენ. ყოველივე ფუჭ მცდელობად დაურჩათ, რადგან პოლიციამ არ მისცათ ამის საშუალება. ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

სულ ეს იყო, მაგრამ ნუ გგონიათ, საქმე ჩამთავრდა. ჯერ მეორე სერიაც ვიხილოთ. ჯიქიამ ხომ საკითხი სააპელაციო კომისიაში შეიტანა.

მამუკა ქვანტალიანი

მალხაზ მახარაძე ჩაწყობილ თამაშებზე და ჩაწყობის პრინციპზე

ვინღა დარჩა? საბჭოეთგამოვლილ ფეხბურთელ-ვეტერანთაგან „კოლხეთის“ ნუგზარ მიქაბერიძე, „ბათუმის“ როსტომ თორღამვილი და მალხაზ მახარაძე შემორჩნენ საქართველოს. ესენი მაშინაც თამაშობდნენ და ახლაც, თავიანთ კლუბებში ხომ გამორჩეული ფიგურები არიან. ამათგან თორღამვილთან ინტერვიუ უკვე გაახლეთ. ახლა მეორის ჯერია — მალხაზ მახარაძე.

თავის დროზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, იმ თაობისა, რომელსაც დაკარგულს უწოდებენ. ბევრნი არიან, საკმაოდ ბევრნი, ჩამოთვლაც ძნელია. მახო მახარაძეს მათ შორისაც გამოარჩევდით — დიდი საფეხბურთო გონება, ტექნიკა, სისწრაფე. მაშინ ჯერ კიდევ ჭაბუკი თვალს ბევრს სჭრიდა. მერე ლანჩხუთის დიდი „გურიაც“ იყო და ბათუმის „დინამოც“. თავის წონა-ავტორიტეტი ყველგან ჰქონდა. ახლანდელი თანაგუნდელებიც გამორჩეული პატივისცემით ეპყრობიან. მახო მათი იმედია, წინამძღოლი და კოლორიტი, ალალი და ბათუმელთაგან დაფასებული, მეგობრული და ისეთი, გამარჯობის თქმასაც რომ ვერ დაასწრებ, სალამს თითქმის ყველას უძღვნის.

მალხაზ მახარაძე 35 წლისაა, ბევრი უნახავს, ბევრსაც მოსწრებია, ფეხბურთზე თავის მინებებას კი ჯერაც არ აპირებს, თუმცა, მერე ეგ დროც მოვა, მოვა და...

თორღამვილის არ იყოს, მახარაძესაც პირველად ეს ვკითხეთ:

— ფეხბურთში დარჩენა მსურს — ამბობს „ბათუმის“ კაპიტანი — მიყვარს, უბურთოდ ვერ გავძლებ. მწვრთნელობას ვაპირებ. როცა საქმეს გულით ეკიდები, არ არსებობს, არ გამოგივიდეს. ფეხბურთს თავს შევწირავ.

— ჯერ კიდევ თამაშობ...

— სადამდეც შევძლებ, ვითამაშებ. კარგა ხანია, ბუცების გვერდზე გადადებას ვფიქრობ, მაგრამ ვგრძნობ, გონებაც ძველებურად მიჭრის და უსაშველოდ არც სისწრაფე დამიკარგავს. როცა ფეხბურთისთვის დავუძლურდები, ამასაც მოვესწრები. ისე, საქართველოს პირველობა რა დონისაა, ყველამ იცის, ჰოდა, ამ პირობაზე, მგონი, ნორმალურად ვირჯები. მიუხედავად ასაკისა, ვეცდები, პატარა წვლილი მეც შევიტანო ქართული ფეხბურთისა და „ბათუმის“ საკეთილდღეოდ.

— ადრე მშვიდი და უემოციო რომ იყავი, ახლა რა მოგივიდა? გეტყობა, ნერვიულობ, ზოგჯერ მსაჯსაც მიადგები, საქმეებს ურჩევ ასაკის ბრალია?

— არც უმისობაა. მართალია, იშვიათად, მაგრამ ხდება, როცა მსაჯებს ავუხირდები-ხოლმე, თავს მაქსიმალურად ვიკავებ, მაგრამ ბოლომდე აღარ გამომდის. ყველაფერი უსამართლობის ბრალია. პატიოსანი კაცი ვარ და ყველასგან ამას მოვითხოვ. ჩემდაუნებურად კი ხანდახან ისე ავღშფოთდები, რომ უკმაყოფილებას საჯაროდ გამოვხატავ. როცა ამას ვამბობ, მსაჯებს ვგულისხმობ. საქართველოში ფეხბურთი კორუმპირებული იყო და, მგონი, კიდევ დიდხანს ასე იქნება. ურეფორმოდ არაფერი გვეშველება. განადგურების, დალუპვის გზაზეა ჩვენი ფეხბურთი.

— როგორც ვეტერანს და „ბათუმის“ კაპიტანს ისე გეკითხები, შეგიძლიათ ძლიერ გუნდებს ითლად გაუმკლავდეთ მაშინ, როცა მეტად სუსტებთან უსახურად მარცხდებით. ჩანს, გუნდს ზოგჯერ მონდომება აკლია, მთელი ძალით არ თამაშობს...

— ფსიქოლოგიური მომენტებია. ახსნა მიჭირს. მოგება კი გვინდა, მაგრამ... ვერაფერს გეტყვი, ეს მწვრთნელების კომპეტენციაა, რომელშიც მე არ ვერევი. შეიძლება ისეთი რამ ვთქვა, ვინმესთვის საწყენად დარჩეს. როცა მთელი გუნდი ვიკრიბებით, ამ თემაზე მაშინ ვსაუბრობთ. მწვრთნელი შენიშვნებს გვაძლევს, ჩვენც ვითვალისწინებთ. ვცდილობთ, საქმე როგორმე გამოვასწოროთ.

— ქართული ფეხბურთი კორუმპირებულიაო, თქვი. ალბათ, ჩაწყობილ, ნაყიდ მატჩებსაც გულისხმობდი.

— ყოფილა შემთხვევები, ბევრი მაგალითი არსებობს. ხან მთლიანად გუნდი „უწვება“ მეტოქეს, ხან მსაჯებს ყიდულობენ. რა ვიცი, ათასი რამ ხდება. ყველაფერი მატერიალურ უზრუნველყოფაზეა დამოკიდებული. მსაჯს ნორმალური ხელფასი რომ ჰქონდეს, ფეხბურთელსაც პრემიები, მაშინ, ალბათ, მდგომარეობა გამოსწორდება. თამაშების გაყიდვები ყველგან ხდება, დიდ ევროპულ საფეხბურთო ქვეყნებშიც. ბევრიც დაუსჯიათ, ოღონდ ფაქტებია საჭირო. წინასწარ გარიგება თუ დამტკიცდა, დამნაშავე მკაცრად უნდა დაისაჯოს.

— ფაქტი მეტი რა არის, შენ ხომ ფეხბურთელი ხარ, ჩაწყობილი მატჩი არ გითამაშია?

— გინდ დაიჯერე, გინდ არა, მაგრამ „ბათუმი“ და, მგონი, „დინამო“, ის გუნდებია, რომლებსაც ჩაწყობილი მატჩი არ უთამაშია. ყოველ შემთხვევაში, ასეთ თამაშში მე პირადად მონაწილეობა არ მიმიღია, არ მახსოვს. უჩემოდ თუ ითამაშეს, ვერ გეტყვი.

— არც საბჭოთა კავშირის დროს?

— მაშინ სსრკ-ის ჩემპიონატში გუნდი არ იყო, ჩაწყობილი თამაში არ ეთამაშოს.

— ვინ გეგმავდა?

— ყველას თავის სტრატეგია ჰქონდა. გადახედავდნენ სატურნირო მდგომარეობას და ამის მიხედვით მოქმედებდნენ. საჭიროების შემთხვევაში ერთი მეორეს აძლევდა, მეორე მესამეს. ფეხბურთელებიც იყვნენ თამაშებს რომ ყიდიდნენ.

— იტყვი რომელიმეს?

— არა, არ მინდა.

— კარგი, ის ხომ თითქმის ყველამ იცის, საბჭოეთის დროს „დინამო“ და „გურია“ შეთანხმებულად რომ მოქმედებდნენ? სხვა რესპუბლიკის გუნდს რომელიმე ჩვენებური „უწვებოდა“, მერე კი ის სხვა, ისევ ერთ-ერთ ჩვენებურს მოაგებინებდა.

— იყო მსგავსი ლაპარაკი. ერთხელ ისეთი მდგომარეობა შეიქნა, ან „დინამო“ ვარდებოდა უმაღლესი ლიგიდან, ან „გურია“. ყველა გუნდი ხერხს ხმარობდა ლიგაში დასარჩენად. რა როგორ იყო, დაფიქრდით და მიხვდებით. შეიძლება, ეს ამბავი გაზეთში დასაწერი არც იყოს, მაინც საქართველოს და ქართველებს ეხება. ბევრს ეწყინება, გული დაეთუთქება.

— საერთოდ, თამაშები როგორ უნდა ჩააწყო?

— დიდი ფილოსოფია არ არის. დაინტერესებული გუნდი მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელს „გამაზავს“, ასე ვთქვათ, ფულს შესთავაზებს. საამისოდ სამ-ოთხ მოთამაშეს შეარჩევს. ეს ამბავი მათ გარდა არავინ იცის, არც მწვრთნელმა. ესენიც თამაშობენ, ბურთს შეგნებულად ფეხს აცილებენ, გასატანს არ გაიტანენ, ნახევარი ძალითაც არ ირჯებიან. ჰოდა, სამი-ოთხი კაცი ძალებს რომ დაზოგავს, გუნდიც წააგებს. მეტოქეს გოლის გასატანად ხელს უწყობენ. არის მეორე ვარიანტიც, როცა ერთ-ერთ გუნდს ქულა არ სჭირდება, მაშინ მთლიანად ყველა შეთანხმება და თერთმეტივე ფეხბურთელი დათმობს. ეს უკვე მწვრთნელმაც იცის, ექიმმაც, გუნდის ნებისმიერმა თანამშრომელმა.

— სხვა თემაზეც ვისაუბროთ. ისევ როგორც ვეტერანს — მოახლოებული ფეხბურთის ფედერაციის ყრილობისგან რას ელი?

— პირველ ყოვლისა იმას, რომ ქართული ფეხბურთის ხელმძღვანელობაში ახალგაზრდა თაობა მოვა. მიხვდებოდით, მერაბ ჟორდანიასკენ მიგანიშნებთ. კანდიდატებს შორის, რომლებიც შესაძლოა ფედერაციის მომავალი პრეზიდენტი იყოს, ჟორდანიას ყველაზე მისაღებად ვთვლი. მგონი, ის უკეთ გაუძლვება ჩვენს ფეხბურთს.

— ფაქტობრივად, ფედერაციაზე ხელი გაქვს ჩაქნეული?

— არა, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ მაინც ბევრია გასაკეთებელი. ახლანდელი ფედერაცია ისევ ნოდარ ახალკაცისეულად მაქვს წარმოდგენილი. კი, ალექსანდრე ჩივაძეს უდიდეს პატივს ვცემ, ერთადაც გვითამაშია „დინამოში“, მაგრამ მერაბ ჟორდანია, მგონი, უფრო კარგად მოუვლის ჩვენს სათაყვანებელ ფეხბურთს, ვიდრე სხვა. მე ასე ვფიქრობ.

— ფეხბურთში დარჩენა რომ გსურს, მომავალში შენც პრეზიდენტობას ხომ არ უმიზნებ?

— არ მიფიქრია. ფაქტი კია, ფეხბურთში უნდა დავრჩე. რა ფორმით? ამას ცხოვრება გვიჩვენებს. წლების მერე გონება როგორ გადამიტრიალდება, ღმერთმა იცის.

კობა ინასარიძე

მალხაზ მახარაძემ (მარჯვნივ) დინამოელთა მორიგი შეტევა ჩაშალა

ჩემპიონს ჩემპიონისა, ქიჟმანს?..

„მეორე ნახევარში მოხდა ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ველოდით... ყველაზე საკვირველი სტუმართა გუნდის მწვრთნელის, დავით ყიფიანის მოქმედება გახლდათ.

ყიფიანი გულშემატკივრებისა და სათადარიგო მსაჯის მოთხოვნას არ დაგიდევდათ და ზედ მინდვრის პირას მისული მსაჯებს უწმაწური სიტყვებით იკლებდა.

მატჩი რომ დასრულდა, თანამსაჯ რუსიშვილს თბილისელთა დამრიგებელმა იდაყვი ჰკრა სახეში და თან მიაყოლა: ერთ კვირაში ფედერაციასაც დაგიშლით და პედარასტებადაც დაგტოვებთო...“

შარშან, მეთერთმეტე ტურის შემდეგ, „სარბიელს“ ზემოთნათქვამის დასაწერი მიზეზი რომ არ ჰქონოდა, თბილისის „დინამო“ გაცილებით ადრე გაჩემპიონდებოდა, ეს სტატიაც აქამდე დაიბეჭდებოდა, მაგრამ... ისევ „სარბიელი“, ამჯერად 27 დეკემბრისა: „ალმასკომმა „დინამოს“ ხუთი ქულა მოაკლო. ყიფიანს, მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა, იდაყვის უშნოდ აქნევა არ ეპატია. ჩემპიონი დაზარალდა. ახლა მას მდევართან ქულაღა აშორებს“. ასეთი ვერდიქტი ალმასკომის სხდომამ გამოიტანა და უარყო სადისციპლინო კომისიის ორი თვის წინანდელი გადაწყვეტილება — ჭიათურის ინციდენტი „დინამოს“ ვაპატიოთო.

ვნებათაღელვა და ფორიაქი, ინტრიგა და ინტერესიც ამის შემდეგ გაიზარდა. მეორე წრის დაწყებამდე „დინამოს“ 33 ქულა ჰქონდა, „ბათუმს“ — 32, „ოდიშს“ — 31. „კოლხეთი“ და „ტორპედოც“ კუდში იყვნენ. ვითარება დაიძაბა, მაგრამ მეთექვსმეტე ტურის შემდეგ ხალხს უწინდელი ეჭვი გაუჩნდა. „დინამომ“ რუსთავში მოიგო, „ბათუმი“ ბოლნისში დამარცხდა, გაიმარჯვა „ოდიშმაც“, თუმცა ლიდერსა და უახლოეს მდევარს შორის სხვაობა უკვე ორი ქულა გახდა. შემდეგ ტურში ზუგდიდელებმა წააგეს, „ბათუმმა“ და „დინამომ“ მოიგო, სხვაობამაც ოთხ ქულას მიაღწია. ორი ტური ასე გაგრძელდა. ოც-ოცი მატჩის მერე კი შვიდი ქულა აშორებდათ თბილისელებს ბათუმელებთან. ტურის ჩაგდებით „ბათუმი“ დედაქალაქში ჩამოვიდა, საჩემპიონო მატჩი გველოდა. „დინამომ“ 2:0 მოიგო და მატჩნაკლულმა (ოდიში — დინამო გუშინღა გაიმართა) კვლავ შვიდი ქულით გაუსწრო კონკურენტს. თუმცა, ფოთში ჩემპიონის სტუმრობა უქულოდ დამთავრდა — ოთხი, დღემდე შეუმცირებელი ქულა. ოცდამეექვსეში „ბათუმმაც“ გუშინდლისთვის გადადო „ტორპედოსთან“ თამაში, „დინამომ“ ჩემპიონის საკადრისად „მაღაროელი“ დაამარცხა და მანამდე „მერანთან“ მშვიდობიანად გაყრილი „ბათუმი“ ცხრა ქულით ჩამოიტოვა. შემდეგ ორი ქულით ისევ შემცირდა სხვაობა, 27-ე თამაში კი, რუსთავში, ბათუმელებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ისინი „დინამოს“ ველარ დაეწევიან — „დინამო“ ცხრიდან მეცხრედ ზეიმობს ჩემპიონობას. იშრომეს, ითამაშეს, არავინ დაინდეს და დაიმსახურეს. ქომაგთათვის რომ გეკითხათ, მეცხრე ჩემპიონატის დაწყებისთანავე გამოიცნობდნენ ჩემპიონის ვინაობას, მაგრამ ზემოთ რომ ვთქვით, იმ ფაქტმა ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც დააეჭვა.

„დინამოსთვის“ ოქროს მედლების დარიგებას პირობითი თუ ეთქვამის, თორემ პირველად გაჩემპიონებისა და ოპერის თეატრში გამართული ლამაზი საღამოს მერე „დინამოს“ პირველობა ისე აღიქმება, როგორც არაფერი, ფურცელზე ცხრილი საბოლოო სახეს მიიღებს და მორჩა, მის იქით არაფერი, ოდენ გაზეთების პირველი გვერდი — „დინამო“ ჩემპიონია!

ჩემპიონს პატივისცემა უნდა, ჩემპიონს ქომაგობა სჭირდება, ჩემპიონისთვის ტკბილი სიტყვა ალალია, აუცილებელია.

რა მოვლენა ეგააო? — იკითხავს მავანი. პასუხი მზადაა — დიახაც რომ მოვლენაა. „დინამოს“ მეცხრედ ზედიზედ გაჩემპიონებაც ისევეა აღსანიშნი, როგორც პირველი, მაშინ, როცა ქვეყანა ოდნავ დალაგებული იყო და კონკურენტიც მრისხანე ჰყავდა — „გურია“. „დინამო“ დღესაც „დინამოდ“ რჩება, ცხოვრების გამოსწორებამდეც ასე იქნება — სეზონში ორჯერ გადახალისდება, თავიანთი სკოლა ბიჭებს გაზრდის, რამდენიმე სეზონი აქ იბურთავებენ და წავლენ. მერე ახალი პროცესი დაიწყება. ყიფიანები, ძოძუაშვილები, ნოდიები, კუტივაძეები, ხურცილავები კიდევ დაფიქრდებიან, ახალგაზრდებს თვალს შეავლებენ, თამაშს ასწავლიან, დაარიგებენ და... ცხრაჯერ ასე მოხდა, ღმერთმა იცის, მომავალში „დინამოს“ ჰეგემონია გაგრძელდება თუ არა. გაგრძელდეს, იმას ნუ იტყვით, ახლა სხვამ იჩემპიონოსო. სანამ ღირსნი იქნებიან, იყვნენ პირველები. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვას სჯობნიან, მჯობნი კი მუდამ საკადრის ადგილს უნდა ამშვენებდეს. აგერ, ბატონო, ბურთი და მოედანი, პერსპექტიული და ფეხბურთზე შეყვარებული პატარა ბიჭები, ქომაგები, ბევრი ქვეყანა რომ ვერ დაიტრაბახებს ისეთი. ჰოდა, მზიან დილას გაიღვიძოს ერთმა კაცმა და თავის თავს უთხრას — მოდი, ძმაბიჭებს გვერდით დავიყენებ, ახალგაზრდებს შევკრებ, ვეტერანებს დავიხმარებ, გონიერ მწვრთნელსაც დავუძახებ, სტადიონს ავაშენებ ან გავარემონტებ და „დინამოს“ ჩემპიონობას წავართმევო. სასურველია, შესაძლებელია. საამისოდ საუკუნეზე მეტი ხნის წინანდელი მაგალითი ივარგებს: კათოლიკე ირლანდიელებმა შიმშილობის გამო სამშობლო მიატოვეს და შოტლანდიაში გადასახლდნენ. 1888 წელი იდგა, როცა ჩვენი ახლანდელი ოცნება ერთმა კათოლიკე ირლანდიელმა ემიგრანტმა რეალობად აქცია. დილას თვალები გაახილა და თქვა — პროტესტანტ „გლაზგო რეინჯერსის“ მოქიშპე გუნდს ჩამოვაყალიბებო. იფიქრა, ძმაკაცებს უხმო და... იცით, იმ კლუბს ახლა რა ჰქვია? — „სელტიკი“. გუნდი, რომელიც რამდენიმე დღის წინ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა. მანამდე კი, ჩვენი „დინამოსი“ არ იყოს, ერთი პერიოდი, ზედიზედ ცხრაჯერ მოიტოვა დანარჩენები. იმდროინდელ შოტლანდიაში „რეინჯერსი“ უკონკურენციო გახლდათ. ახლა? მაშ, იმედი გვქონდეს, ეგებ, ოდესმე „დინამო“ ჯერაც უცნობმა კლუბმა შეცვალოს. ასე თუ მოხდება, ხომ კარგი, არსებული ინტრიგა ერთიორად გაიზრდება, თუ არადა, ისევ ჩარუებს, ფურცელაძეებს, ჯიქიებს, გუნავებს, გეგიძეებს, აბაშიძეებს ველოდოთ. ამათი წყალობაა, „დინამოს“ რომ ერთი-ორი კონკურენტი ყოველთვის ჰყავდა და, ალბათ, მომავალშიც ეყოლება.

წლევანდელ ჩემპიონატში თბილისელები „ბათუმმა“ და „კოლხეთმა“ სხვებზე მეტად ანერვიულა, მაგრამ ვერას გახდნენ. რიგით მე-10 სეზონი აგვისტოში დაიწყება, მომავალ მაისამდე კი თბილისის „დინამო“ ცხრაგზის ჩემპიონია. დავით ყიფიანის დაწყებული საქმე ნოდარ აკობიამ განაგრძო, ჩემპიონობა კი მურთაზ ხურცილავას ბიჭებმა დაიბევს, როცა აწ უკვე დაუძლურებული „გურია“ გაანადგურეს. შარშანდელი აგვისტოდან მოყოლებული „დინამოდან“ ბევრი წავიდა, ახლებიც მივიდნენ, მაგრამ მათ არაფერი დასტყობიათ. ის ხუთი ქულაც „დინამოსი“ იყოს, რომელიც ფეხბურთელებმა ოფლის ფასად მოიპოვეს, ალმასკომმა კი, ეტყობა, იფიქრა, ამათ ათიც რომ დავაკლოთ, მაინც ჩემპიონები იქნებიანო.

„დინამომ“ გაუმართლათ, „დინამომ“ გაგვიმართლა, „დინამო“ საქართველოს ცხრაგზის ჩემპიონია!!!

კობა ინასარიძე

კონკურენტები

თბილისის „დინამოს“ გარდა ევროპაში ოდენ ოთხი ქვეყნის ხუთი გუნდია, თავის დროზე ზედიზედ ცხრაჯერ და მეტჯერ რომ ყოფილა თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

ქვეყანა	გუნდი	საჩემპიონო წლები
უნგრეთი	მტკ	1914-25
ბულგარეთი	ცდნა (ახლანდელი ცსკა)	1954-62
შოტლანდია	სელტიკი	1966-74
გდრ	„დინამო“ ბერლინი	1979-88
შოტლანდია	„რეინჯერსი“	1989-97

თუ გავითვალისწინებთ 1915-16 წლების პირველ მსოფლიო ომს, გამოდის, რომ უნგრეთის მტკ ქვეყნის 12-გზის უცვლელი ჩემპიონია. ომის დროს უნგრული ჩემპიონატი არ იმართებოდა. ჰოდა, მანამდე წლით ადრე მოპოვებული პირველობა მტკ-ამ 1925 წელს დათმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ქეცბა»

ყოველწლიურად ხორვატიაში, აგვისტოს მიწურულს, ევროპის მწერალთა კონფერენცია ტარდება. ხორვატებიც ყოველწლიურად, სულგრძელად გვპატიჟებენ კონფერენციაზე და ჩვენი შარშანდელი სტუმრობა სწორედ ზაგრების „კროაციასა" და „ნიუკასლის" თამაშს დაემთხვა ევროპის ჩემპიონთა თასზე. ჩასვლისთანავე ხორვატიის ტელევიზიამ ინტერვიუ ჩამოგვართვა. მეც სულგრძელად გადავუხადე ხორვატებს მადლობა იმის გამო რომ ჩემი მოთხრობები თარგმნეს და დაბეჭდეს, მაგრამ ინტერვიუს ბოლოს არალიტერატურულ თემაზე გადავედი და გულწრფელად ვთქვი, რომ მიუხედავად მათ მიმართ უზარმაზარი პატივისცემისა, მეორე დღეს ინგლისური კლუბის გულშემატკივარი ვიქნებოდი ქართველი ლეგიონერის გამო. ოპერატორს ჩემს სიტყვებზე რომ გაეცინა, იქვე დავამატე — თემურ ქეცბაია გოლსაც აუცილებლად გაიტანს-მეთქი. ტელეოპერატორს კიდევ უფრო გულიანად გაეცინა — ძალიან ძლიერი გუნდი გვყავსო და ზაგრების „კროაცია" მართლაც ძლიერი გუნდი გამოდგა. ისეთივე ძლიერი, როგორიც ხორვატიის ნაკრებია, რომელმაც სერიოზულ წარმატებებს ევროპულ ასპარეზზე უკვე მიაღწია, მიუხედავად იმისა რომ ჩვენი, საქართველოს ნაკრებისა არ იყოს, ძალზედ ახალგაზრდული ასაკისაა. უფრო მეტიც — როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ხორვატია საქართველოზე უმცროსია, მაგრამ ფეხბურთი ამ პატარა ქვეყნისთვის საერთო საზრუნავად იქცა და (ალბათ) მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში პირველებმა სწორედ ხორვატებმა თქვეს უარი ფულად ანაზღაურებაზე ნაკრების შემადგენლობაში. ნაკრებში თამაში და ნაკრების წარმატება, ხორვატებისთვის გაიგივდა სიტყვასთან „სამშობლო" და ყველას გვახსოვს როგორი ჯიგრით ეთამაშებოდნენ ხორვატები მათზე გაცილებით ძლიერ და ტიტულოვან მეტოქეებს. ეთამაშებოდნენ სწორედ ისეთი ჯიგრითა და ჟინით, არაერთხელ (სამწუხაროდ) უკვე რომ ვინატრეთ ქართული ფეხბურთის ქომაგებმა თუ უბრალოდ ავადმყოფებმა.

ხორვატიაშიც, ისევ ჩვენი არ იყოს, ისეთივე ავადმყოფური დამოკიდებულებაა ფეხბურთისადმი, როგორც ჯანმრთელ გულშემატკივრებს სჩვევიათ და იმ დღეებში მთელი ხორვატია, სწორედ ამ მატჩის მოლოდინით ცხოვრობდა. აჟიოტაჟი ამ მოლოდინის გამო, ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობოდა. რასაც პრესა და ტელევიზია აშკარად ღიად და გამიზნულად უწყობდა ხელს და ჩემი ინტერვიუც (აშკარა გამძაფრების მიზნით) რამდენჯერმე გაიმეორეს მატჩის დაწყებამდე. თავად მატჩს კი ბესო ხაინდრავასთან ერთად ხორვატებით სავსე ბარში ვუყურეთ და როგორც დასავლეთში (ასეთ სიტუაციაში ხდება ხოლმე) პირველი ტაიმის ბოლოსთვის ყველა ხორვატი, ანუ მთელი ბარი მთვრალი იყო. მთელმა მთვრალმა ბარმა იცოდა რომ მათთან ერთად თამაშს უყურებდა ორი ქართველი (ჩვენი სახით) და რამდენჯერმე ნიშნის მოგებით გადმოგვძახეს, ის თქვენი ქეცბაია რატომ არ გამოყავთო. მატჩის დაწყებამდე ბესო ხაინდრავა სრულიად სამართლიანად გამომიტყდა, ქეცბამ მართლა რომ გაიტანოს და წააგონ, შეიძლება გვცემონო და სერიოზულად დაეფიქრდი, რა უნდა გვექნა. ორასამდე ხორვატთან რა უნდა გველონა ორადორ ქართველს თუნდაც ბარი სმიტის დახმარებით, რომელიც ჰოლანდიელი მწერალია, ამსტერდამში ცხოვრობს, ჩემი წიგნი ჰოლანდიურ ენაზე თარგმნა და „აიაქსის" გულშემატკივარია. თამაშის წინ დაგვპირდა — თუ გაგიხურებენ, თქვენთან ერთად ვიჩხუბებ ვითომ როტერდამში „ფეიენოორდს" ვხვდებითო. ბარი სმიტი ფიზიკურად საკმაოდ ჯანიანი კაცია და ბესო მთელი თამაშის მანძილზე ლუდზე ეპატიჟებოდა — ემანდ არ გადაიფიქროსო (თუ არ იჩხუბებდა, ხომ გადაგვეფარებოდა მაინც და ესეც საქმე იყო ჩვენს უმწეობაში), მაგრამ მთელი თამაში ხორვატების უპირატესობით მიმდინარეობდა საოცრად დრამატულ მატჩში და „კროაცია" ისე ლამაზად, ჯიგრიანად თამაშობდა, „ნიუკასლისადმი" მხარდაჭერა არც გაგვიმჟღავნებია. ვისაც უნახავს ფილმი „პური და შოკოლადი" შესანიშნავი ნინო მანფრედის მონაწილეობით, ადვილად მიხვდება, რაც ჩვენ იქ დაგვემართა — თემურ ქეცბაია დამატებითი დროის ბოლო წუთებზე შეიყვანეს და ქეცბამ მშვენიერი, გადამწყვეტი გოლი შეაგდო.

ბესო ხაინდრავას (როგორც მოსალოდნელი იყო) გონება დაებინდა, სამარისებურ სიჩუმეში წამოხტა, „ხო შევუგდეთო" — განწირული ხმით იკივლა და მე გადამეხვია. (იმის ახსნას, რომ ამ კაცს საერთოდ არ ვიცნობდი, აზრი არ ჰქონდა, რადგან სიხარულისგან ცრემლები წამომივიდა). იმავე, სამარისებურ სიჩუმეში ორასამდე მთვრალი ხორვატი ჩვენსკენ შემობრუნდა სისხლიანი თვალებით და ამან უფრო დაუბინდა გონება ჩემს ბესოს — „აი თქვენი კროაციაო" — იყვირა ქართულად კიდევ უფრო განწირული ხმით (თან შესაბამისი მოძრაობა გააკეთა) და გვცემონ ახლა, რამდენიც უნდათო, — მე გადმომძახა. დარწმუნებული ვიყავი რომ ცემით გაგვხეთქავდნენ, მაგრამ იმ სამარისებურ სიჩუმეში სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა — ადგა მთასავით ხორვატი, აიღო მძიმე, ზურგიანი სკამი და ერთი დარტყმით დააბრყელა ტელევიზორი. ადგა მეორე მთასავით ხორვატი, აიღო ისეთივე მძიმე სკამი და ერთი სროლით ჩამოხსნა ჩამოკონწიალებული ჭაღი. ადგა მესამე და ლეწა სკამი მინას. მიბაძა იქვე მეოთხემ, მერე მეხუთემ, მეექვსემ და მთელმა ბარმა, მონდომებით დალეწა მთელი ბარი. ისეთი გამეტებით დაამტვრიეს ყველაფერი, რომ გაოგნებისგან გაპარვაც ვერ მოვახერხეთ. თუმცა აზრიც არ ჰქონდა — როგორც ჩანს, რადგან სტუმრები ვიყავით, უბრალოდ არ გაგვიმეტეს. მაგრამ მეორე დღეს მაინც მოვერიდეთ ქუჩაში ხეტიალს, რადგან ყველა მცნობდა — საფეხბურთო მიმოხილვაში აჩვენეს ნაწყვეტი ჩემი ინტერვიუდან და მერე ქეცბაიას გოლი, ერთად დამონტაჟებული. მესამე დღეს ვნებები (როგორც ჩანს) დაცხრა, ქუჩაში ხელს მართმევდნენ, ან უბრალოდ მიღიმოდნენ...

მაშინ იქ ხორვატიაში პირველად ენახე თემურ ქეცბაია „ნიუკასლის" შემადგენლობაში სადაც მან ბოლო რამდენიმე წუთი ითამაშა. მას შემდეგ ყოველ თამაშში ერთიდაიგივე მეორდებოდა — დალგლიშს ქეცბა მხოლოდ მატჩის მიწურულს შეჰყავს, თემურ ქეცბაიას გოლი გააქვს და „ნიუკასლი" გამარჯვებული ტოვებს მოედანს. თუ ყოველ მატჩში ასე არ ხდება, ფაქტია, რომ ხდება ხშირად და ვერაფრით დავადგინეთ რას ერჩის დალგლიში შესანიშნავ ქართველ ფეხბურთელს. „ლივერპულისა" და ჩვენი „დინამოს" დროინდელი წყენა თუ დღემდე აწუხებს, ცოტა ძნელი დასაჯერებელია, არადა კიგანმა ზუსტად იცოდა რასაც აკეთებდა, როცა თემურ ქეცბაია „ნიუკასლს" შემატა. კევინ კიგანის ხელი ხომ აშკარად დააკლდა ამ ინგლისურ კლუბს, მაგრამ ქეცბამ, მისი წასვლის შემდეგ, ყველაზე მეტად იზარალა. კევინ კიგანმა კი მართლა ზუსტად იცოდა როგორ არჩევანს აკეთებდა, რისი დაჯერებაც სამწუხაროდ დალგლიშს არაფრით სურს. დალგლიშს, რომელსაც არაფრით გამოუჩენია თავი თბილისის „დინამოს" სტადიონზე, განსხვავებით კიგანისაგან, ოთარ გაბელიათი დაწყებული, მთელი საქართველო, პირდაღებული რომ დაგვტოვა. კევინ კიგანი სწორედ ის უცხოელი ფეხბურთელია, ვინც ჩვენმა თაობამ თბილისში საკუთარი თვალით ნახა და პირადად ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება სწორედ კიგანმა მოახდინა, იმ უცხოელთა შორის

სარჩიელის არქივიდან

„კამპ ნოუზე". მიმქრალ „ნიუკასლში" მხოლოდ ქეცბაია ანათებდა

სარჩიელის არქივიდან

რას ერჩის დალგლიში?

ვისაც აქ „დინამოს" სტადიონზე უთამაშია. უფროსი თაობის გულშემატკივრებს ჩვენზე მეტი უნახავთ და ბუნებრივია მეტიც ახსოვთ, ახსოვთ ის თამაშიც ქართველები რომ ბრაზილიელებს შეხვდნენ და ბრაზილიელებს კარში, არც მეტი, არც ნაკლები, მაიმუნი ეყენათ რომელსაც გოლი ჩვენებმა ვერაფრით გაუტანეს და მხოლოდ მატჩის ბოლოს, ბორის პაიჭაძემ პენალტი რომ დაურტყა, ბრაზილიელთა კარის ბადე მაიმუნიანად გახია (ვერის ბაღში რამდენჯერმე სპეციალურად იმის დასადგენად ჩავედი, კონკრეტულად როდის და სად გაიმართა ეს თამაში, მაგრამ უშედეგოდ).

უფროს თაობას ჩვენზე მეტი უნახავს, ჩვენზე უკეთ იცის ყველაფერი და შეკამათებასაც აზრი არა აქვს. ჩვენ რაც გვინახავს იმას ვამბობ და ახლაც მახსოვს სამარისებური სიჩუმე და გაოგნებული ჩვენი სტადიონი, როცა მოედანზე გუცაევის გოლის საპასუხოდ კევინ კიგანი დატრიალდა ფეხზე დაბმული ბურთით. (ასეთივე გამაოგნებელი იყო ჩვიდმეტი წლის დიეგო მარადონა ფეხზე დაბმული ბურთით შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ). შესანიშნავი ფეხბურთელი კევინ კიგანი კი, მშვენიერი მწვრთნელი და მენეჯერიც გამოდგა. მშვენიერი გუნდიც შექმნა უმოკლეს დროში და სერიოზულ წარმატებასაც მიაღწია. კიგანის გარეშე კი (ასევე უმოკლეს დროში) იმავე „ნიუკასლში" ასევე სერიოზული კრიზისი დაიწყო. ფაქტია რომ კიგანის ალმა ხნული, დალგლიშმა დალმა ფარცხა და პრემიერლიგის წლევანდელი სეზონი, ზემოთქმულის უმარტივესი დადასტურებაა. განსხვავება გუნდის ორ თავკაცს შორის მართლაც თვალშისაცემია და წლევანდელ სეზონში დალგლიშის სიჯიუტე და მისი დამოკიდებულებაც თემურ ქეცბაიასადმი გაკვირვებას იწვევს. არა მხოლოდ იმის გამო რომ იგი ჩვენი თანამემამულეა და ჩვენს პრეტენზიას მხოლოდ სუბიექტური საფუძველი აქვს. ობიექტურადაც „ნიუკასლში" იგი ერთ-ერთი საუკეთესოა სტაბილურობით, ტექნიკით, მოძრაობით, ენერგიით, პასით, გოლითა თუ მოედნის ხედვით. მხოლოდ ერთი, ერთადერთი თვისება, რომელიც არ გამოარჩევს ინგლისში თემურ ქეცბაიას, პროფესიონალიზმია, პროფესიონალური დამოკიდებულება ფეხბურთისადმი და ამაზე საუბარიც კი ინგლისურ ფეხბურთში ნებისმიერი მოთამაშისა თუ გულშემატკივრისთვის მხოლოდ ღიმილისმომგვრელია. პროფესიონალური დამოკიდებულება ფეხბურთისადმი იქ ჩვეულებრივი, რიგითი, აუცილებელი მოვლენაა და პირიქით, თემურ ქეცბაიას, (სამწუხაროდ) ეს ძვირფასი და მართლაც მნიშვნელოვანი მოვლენა მკვეთრად გამოარჩევს ჩვენი დროის სხვა ქართველ ფეხბურთელთაგან. ჩვენ არ გვინახავს (და არც ყოფილა მატჩი), სადაც ქეცბა ბოლომდე, მთლიანად არ დაიხარჯა და მისი თამაშის მიხედვით შეუძლებელია მიხვდე, ამხანაგურია შეხვედრა თუ ოფიციალური. თემურ ქეცბაიასთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი და ნაკლებადმნიშვნელოვანი მატჩი, იგი მოედანზე ყოველ თამაშში მხოლოდ იმისთვის გადის რომ სრულად გაილოს ის, რისი გალებაც შეუძლია. და რამდენჯერ გვინახავს მატჩი, სადაც მისი ქართველი თანაგუნდელები (მიუხედავად არანაკლები ნიჭიერებისა) უბრალოდ იდგნენ წელზე შემორტყმული დოინჯით და ქეცბა კი დაუღალავად, უკანასკნელ წუთამდე მარტოდმარტო მოძრაობდა და იბრძოდა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე დასამახსოვრებელიც (ბოლო წლების მანძილზე) თემურ ქეცბაიას თამაშები იყო. თუმცა საბედნიეროდ ქართულ ფეხბურთში არსებობენ სახელები, ევროპულ კლუბებში უკვე რომ გაიბრწყინეს, მაგრამ ქეცბასთვის ყველაზე მეტადაა გაიგივებული სიტყვა „სამშობლო" ეროვნული ნაკრების მაისურთან, განსხვავებით სხვა ქართველი ვარსკვლავებისგან. და ჩვენი სუბიექტური აზრით, (როგორც კატეგორიულადაც არ უნდა ჟღერდეს) ნებისმიერი ქართველი ფეხბურთელი, როგორ სახელოვან ევროპულ კლუბშიც არ უნდა ბრწყინავდეს, უპირველესად საქართველოს ეროვნული ნაკრების ღირსებასა და წარმატებაზე უნდა ფიქრობდეს. უპირველესად ნაკრების გამარჯვება უნდა იყოს მისთვის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი. თემურ ქეცბაია სწორედ ამგვარი პასუხისმგებლობის ნიმუშია — რომელმაც ზუსტად იცის როგორ სჭირდება ჩვენს დანგრეულ, პატივაყრილ და (უბრალოდ) მშიერ სამშობლოს თუნდაც პატარა იმედი იმ დიდი გამარჯვებისა, ასეთი მოთმინებით, საშინელი სიჯიუტით, მაინც რომ ველით...

პირადად თემურ ქეცბაიას არასდროს შევხვედრივარ, მაგრამ გადმოცემით ვიცი როგორ გამოირჩევა ეს კაცი იმ პიროვნული თვისებებით, რის გამოც კაცი შეიძლება საერთოდ გიყვარდეს. ვიცი როგორ კაცურად, გულწრფელად და უანგაროდ ეხმარება უამრავ ადამიანს თემურ ქეცბაია და მისი პიროვნული თვისებები განსაზღვრავს კიდეც ამ შესანიშნავი ფეხბურთელის სახელსა და ავტორიტეტს. იგი დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს როგორც ინგლისში, ასევე საქართველოში და ეკუთვნის ფეხბურთელთა იმ თაობას, რომელსაც ჩვენში არ გაუმართლა. არ გაუმართლა სუბიექტური თუ ობიექტურად შექმნილი გარემოსა და დროის გამო და თემურ ქეცბაიამ საკუთარი საფეხბურთო კარიერა, თავად შექმნა საკუთარი შრომითა და რუდუნებით. ეს გზა იყო გრძელი და რთული, მაგრამ ქეცბას (როგორც ჩანს) მაინც სჯეროდა რომ აუცილებლად ითამაშებდა დიდ ფეხბურთს, ითამაშებდა ადრე თუ გვიან და არეული დროის გამო, ვინ იცის რამდენი მშვენიერი სახელი დაკარგა ქართულმა ფეხბურთმა. რამდენმა ნიჭიერმა მობურთალმა, საქართველოში შექმნილ მდგომარეობას უყურა, უყურა და ხელი ჩაიქნია. ქეცბაიამ კი გაუძლო, გაუძლო დროს, ლოდინსა და ნერვებს. იგი მალე გადააბიჯებს ოცდაათს და მისი ასაკი, (როგორც მიღებულია) საფეხბურთო კარიერის ბოლო ნაწილისკენ გადაიხარა. თუმცა თემურ ქეცბაია ასაკსაც იოლად მოერევა (ჩვენის აზრით) და დღეს, თუ დალგლიშმა ინება, მისი თამაში აუცილებლად დაამშვენებს ინგლისური თასის ფინალს ზღაპრულ „უემბლიზე".

თუ ღმერთმა ინება და ევროპის ფინალურ ეტაპზე მონაწილეთა შორის, ქართული დროშაც აფრიალდა, ერთ-ერთი პირველი ვინც ნაკრების მაისურით ბელგიისა და ჰოლანდიის სტადიონებზე უნდა გამოვიდეს, აუცილებლად უნდა იყოს თემურ ქეცბაია. რადგან იგი უცილობლადაა მათ შორის, ვინც შექმნა ჩვენი დროის ქართული ფეხბურთი და თემურ ქეცბაიამ მართლა დაიმსახურა მონაწილეობის უფლება ამ ზეიმსა და დღესასწაულში, რომელიც გველის. რომელიც გველის, აუცილებლად გველის, თუ საქართველოს ნაკრების ყოველ წევრს, ისეთივე დამოკიდებულება და პასუხისმგებლობა ექნება ფეხბურთისა და საკუთარი მისიის, სამშობლოს მიმართ, როგორიც აქვს თემურ ქეცბაიას — შესანიშნავ კაცსა და ფეხბურთელს, მისი თაყვანისმცემლებისთვის უბრალოდ ქეცბას...

დათო ტურაშვილი

სარჩიელის არქივიდან

მეტოქის რიდი არ შეიძლება — ქეცბაია მუდამ ბოლომდე იბრძვის

გიო ახვლედიანის

სვეტი

გოლი მეთოთხმეტე წოგრისგან

ჭეშმარიტად არ ვიცი, ჩააღწევს თუ არა ეს გაზეთი დღეს „უემბლიმდე“, ანუ თუ ჩააღწევს, მოხვდება თუ არა „ნიუკასლის“ ფეხბურთელების, გამორჩევით კი თემურ ქცებაიას ხელში.

ამიტომ, უფრო ჩვენთვის ვილაპარაკოთ, ვიდრე სამ ზღვას აქეთ დადებ„ული კუნძულისთვის.

განა არ ვიცით, რომ მსოფლიო ჩემპიონატი ახლოვდება და ამ დიდ ტურნირზე ფიქრით ფანობას ტვინიც კი დაეღალა, მაგრამ დღეს ხომ მსოფლიოს უძველესი სათასო შეჯიბრების ფინალია?

პირველად „უემბლიზე“, კლუბის შემადგენლობაში ქართველი გამოვა.

ნიუკასლის საკლუბო ჟურნალ „ბლექქნდ ვაითის“ ერთ-ერთ ხომერში თემურ ქცებაიას გამონათქვამს წავაწყდი, ამ ქალაქში ყველაფერი ბომწონს სათადარიგოთა სკამზე ჯდომის გარდაო. ნამდვილად ასეა.

ქცებაია რომ „ნიუკასლში“ გადადიოდა, მე და ჩემს ძმაკაცს გვარიანი კამათი მოგვვიდა. მეუბნებოდა, ნახავ, დაგლეჯავს და ძირითადშიც უპრობლემოდ დაიმკვიდრებაო. მე ვეუბნებოდი (ეჭვიანი ვარ) როგორ შეეგუება არ ვიცი, ჩემპიონატის ნახევარი თამაშები თუ გაატარა ძირითადში, კარგი იქნება-მეთქი.

არც ერთს არ გაგვიმართლა და აი, რატომ:

დალგლიში კიგანი გვეგონა და „ნიუკასლის“ ცეცხლოვანი თამაში და დაგვნებული შემადგენლობა რომ გვახსოვდა, სხვადასხვას ვამბობდით (ერთი ოპტიმისტურს, მეორე — პესიმისტურს). მაგრამ დალგლიში კიგანი არ გამოდგა. „ნიუკასლმა“ ფარდალალა სეზონი გალია, ცხრილის ბოლოში დამკვიდრდა, ქცებაიამ კარგად ითამაშა, მაგრამ იმ ეშმაკმა სჭოთმა არა და არ დაამკვიდრა ძირითადში.

და დღეს ფინალია.

გამარჯვებული „არსენალი“ უღიმღამო „ნიუკასლის“ წინააღმდეგ. მეთოფეებს დუბლი სწყურიათ, ეს იღბლიანი დალგლიში კი ევროპაში უკვე გაძვრა. შესაძლებლობათა განსჯისას, უეჭველად „არსენალის“ წარმატებაზე იფიქრებს კაცი. ველაფერს რომ თავი დაანებო, მესამე კვირა მიმდინარეობს, რაც ჩემპიონთა ძირითადი შემადგენლობა სწორედ ამ ფინალისთვის ისვენებს.

„ნიუკასლი“ სეზონის უმნიშვნელოვანესი თამაშის პირას დგას. მოიგებს და განვლილი უფერულობის მიუხედავად, ოფლი ამაოდ დაღვრილად არ ჩაითვლება. TOON ARMY გამარჯვებული დარჩება! და ამათ შორის თემურ ქცებაია!

ნამდვილად არ ვიცით „ნიუკასლის“ ძირითადი, მაგრამ ჩვენ ვიცით ქცებაიას „ფილკის“ ამბავი. ჩვენ გვახსოვს, მისი სათასო თავგადასავალი. ახა დაგვავიწყდებოდა ზაგრებული ამბავი? ან, თუნდაც, ამავ ასოციაციის თასზე მისი თამაში. როდის გამოვა ქცებაია? სასტარტოში, მეორე ტაიმში, თუ დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, მისი განწყობა ერთი უნდა იყოს. ამ კაცს ისე დაებედა, გამარჯვების გოლები გააქვს მთელი სეზონია და ახლა მის წინ „უემბლია“, თასის ფინალი.

იფ, რა იქნება, რომ დაუჯახოს ბატონ დეივიდ სიმენს?

ჩვენ აქეთა ვართ, ძალიან შორს. ღრიალითაც რომ მოვკვდეთ, ჩვენს ფანურ ჟივილს „უემბლის“ ვერ მივაწვდენთ, მაგრამ ერთი კი უნდა შევძახოთ: „ნიუკასლს“ მოტივაცია მეტი აქვს! შორეს მოტივაცია მეტი აქვს! დალგლიშს მოტივაცია მეტი აქვს, ვიდრე „არსენალს“! და რა თქმა უნდა, ქცებაიას სურს (უკვე შერამდენედ) დაამტკიცოს, რომ ქცებაიას მოუგია თამაშები. ეს ამ სეზონშიც არაერთხელ გაუკეთებია და კიდევ სურს გააკეთოს.

დალგლიშს რას გაუგებ.

მაგრამ, მაინც მჯერა, რომ თუ რაიმე ფარსავი არ მოხდა, ქცებაია ითამაშებს და აუცილებლად ისე, როგორც ველით.

ერთიც ვნახოთ და ეს ძველი თასი ჯორდების ქვეყნისკენ დაიძრა!

ჩვენც იქ ვიქნებით, იმ თასთან ერთად, იმიტომ, რომ „ნიუკასლის“ მეოთხმეტე ნომრის გარეშე ამ თასის მოგება ძნელი წარმოსადგენია.

„ნიუკასლი“ ძალზე დიდხანს იყო ჩრდილში იმისთვის, რომ სეზონში ერთი დიდებული თამაში არ გამოიმეტოს. ჩემპიონატის ჯახები სათვალავში აღარცაა ჩასაგდები. სეზონი დამთავრდა. „არსენალმა“ უკვე სცა პატივი ჯორდებს და თასების თასზე გაისტუმრა. ახლა „ნიუკასლმა“ უნდა დაასაბუთოს, რომ ევროპაში ვიღაცის გაჩემპიონების გამო არ მიემგზავრება.

Come on, Kets! — ალბათ, ამასაც დაიძახებენ ფანები და ჩვენც ავაყოლოთ ხმა:

Come on, Kets! — ჩვენ გვინდა გოლი მეოთხმეტე ნომრისგან. ეს დალგლიში რომ არა, სულაც არ ვიდარდებდით.

თემურის მეორედ მოსვლა

ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი

დღეს, 16 მაისს, ისტორიას ჩაბარდება მორიგი ინგლისური სეზონი. შესანიშნავ „უემბლიზე“ დაპირისპირებული ლონდონელი „მეთოფეები“ და ნიუკასლელი „ჯორდები“ ასოციაციის თასის, იგივე ქვეყნის თასის მფლობელს გამოარკვევენ — დღეს უაღრესად დაძაბული მატჩია.

— ამ სეზონში ერთადერთ მიზნად თასის მოგება დაგვრჩენია. ჩემპიონატში ვერ ვივარგეთ და ახლა მთელ ძალებს თასის მოგებას მოვახმართ — „ნიუკასლის“ შოტლანდიელმა მწვრთნელმა კენი დალგლიშმა მეორე წრეში პრემიერლიგაზე ხელი ჩაიქნია და გუნდის სათასოდ განწყობა განიზრახა. სხვათა შორის, თუ მოხდა და „ნიუკასლმა“ „არსენალს“ სძლია, ინგლისის თასის ისტორიაში კენი დალგლიში მეორე მწვრთნელი გახდება, ვისაც ჯილდო ორ სხვადასხვა კლუბში მუშაობისას დაუსაკუთრებია. ჯერჯერობით კი რეკორდი ბილი უოკერს ეკუთვნის, რომელმაც თასი 1935 წელს „შეფილდ უენსდეის“ მოაგებინა. 24 წლის შემდეგ კი „ნოტინგემ ფორესტს“. დალგლიშს ასოციაციის თასი აქამდე „ლივერპულში“ მოღვაწეობისას აღუმართავს 1986 და 1989 წლებში.

— ბრწყინვალე სეზონი გვქონდა. რადგან დავამტკიცეთ, რომ „არსენალი“ ძლიერი გუნდია. ახლა უკვე თასზეც შეიძლება ლაპარაკი. დუბლი ნამდვილად შესანიშნავი იქნება — ჩემპიონთა ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერიც არაა უარზე, თასი ჩაიბაროს.

ვის უფრო აქვს გამარჯვების შანსი? ალბათ, „არსენალს“. მთელი სეზონის განმავლობაში ლონდონელები გაცილებით უკეთეს შთაბეჭდილებას სტოვებდნენ, ვიდრე ნიუკასლელები. ესეც არ იყოს, დღესდღეობით „არსენალი“ აღმავლობას განიცდის, კენი დალგლიშის გუნდი კი გუნდიც არაა. ეს უფრო ინდივიდუალურად მობურთალთა თავყრილობაა, ვიდრე ტაქტიკურად გამართულად მოთამაშე კლუბი. ფინალში დაპირისპირებული მეტოქენი ამ სეზონში ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და „არსენალმა“ ორჯერვე სძლია „ნიუკასლი“. ვითომ გატყება ნავსი? საეჭვოა. ძალიან საეჭვოა.

და მაინც, „ნიუკასლს“ აქვს შანსი, მოიგოს ინგლისის ასოციაციის თასი, თუ... თემურ ქცებაიას ათამაშებს. ნაკლებ სავარაუდოა, დალგლიშმა ქართველი ლეგიონერი ძირითადში გაამწესოს, მაგრამ ისიც საეჭვოა, „ნიუკასლმა“ ქცებაიას თამაშით რაიმე წააგოს. ამ სეზონში ხშირად მომხდარა, შეცვლაზე შესულ თემურს გუნდი გარდაუვალი მარცხისგან უხსნია, ეცეც არ იყოს, ქცებაიას თასებზე თამაშისას მუდამ უმართლებს — საბერძნეთში იყო და ათენის აეკი ორჯერ გახდა თასის მფლობელი, ახლა დაჩაჩანაკებულ „ნიუკასლშია“ და გუნდი ინგლისის თასის ფინალში „შეიპარა“. დიახ, „შეიპარა“ და არა გავიდა. ბედმა ისე ინება, ქვეყნის საფეხბურთო გრანდები წინა ეტაპზე ერთმანეთს შეახვედრა, ჩრდილოინგლისელებს კი ფინალამდე ერთი ნორმალური კლუბი არ დაპირისპირებია — აქეთ „სტივენეიჯ ბორო“, იქით „ტრანმერ როვერსი.“ მერე საერთოდაც „ბარნსლი“. საოცარია, რა?

— წლეულს ძალიან შევრცხვით. ვგონებ, მობილიზება გვმართებს. დროა, „ნიუკასლმა“ რაიმე ჯილდო მოიგოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე ძალიან ცუდად იქნება. გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვისხდეთ და ჩემპიონ მეტოქეს არ უნდა შეეუშინდეთ. სხვა თუ არაფერი, ჩვენც ფეხბურთელები ვართ და თამაში გვმართებს — ნიუკასლელთა მთავარი „დამრტყმელი ძალა“ ალან შირერი მხნედაა. ან კი რატომ უნდა იყოს ნირწამხდარი? კაცმა პრემიერლიგის მატჩში ლესტერელ ნილ ლენონს ცხვირ-პირი დაამტვრია და სასჯელს გადაურჩა.

ისე, თუ ვინმეს „ნიუკასლის“ ფინალში გასვლაში წვლილი მოუძღვის, ეს შირერია. ინგლისის ნაკრების კაპიტნის კარიერაში პირველად მოხდა, რომ მან თასზე უფრო მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე პრემიერლიგაში. შარშან აგვისტოში, ერთერთ ამხანაგურ მატჩში მიღებულმა კოჭის ტრავმამ შირერს ჩემპიონატის ნახევარი გააცდენინა, რაც ცხადია, თავდამსხმელის შედეგიანობასაც დაეტყო.

არსენალი



დაარსდა: 1886 წელს. „არსენალამდე“ ერქვა „დეილ სპური“ (1886), „როიალ არსენალი“ (1986-91), „გულვიჩ არსენალი“ (1891-1914), 1914 წლიდან „არსენალად“ იწოდება.

ტიტული: ინგლისის ჩემპიონი - 1931, 1933, 1934, 1935, 1938, 1948, 1953, 1971, 1989, 1991, 1998

ქვეყნის თასი — 1930, 1936, 1950, 1971, 1979, 1993

ლიგის თასი — 1987, 1993

თასების თასი — 1994

უეფას თასი — 1970

სტადიონი: „ჰაიბერი“ 38.500

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ყველაზე მეტი მატჩი: დევიდ ოლირი 558 (1975-93 წწ)

ყველაზე მეტი გოლი: იან რაიტი 187 (1991 წლიდან)

მეტსახელი: „მეთოფეები“

ნიუკასლ იუნაიტედი

დაარსდა: 1892 წელს. „ნიუკასლ იუნაიტედამდე“ იწოდებოდა „ნიუკასლ ისტ ენდი“ (1892-1900), „ნიუკასლ ვესტ ენდი“ (1990-05), 1906 წლიდან კი „ნიუკასლ იუნაიტედი“ ჰქვია.

ტიტული: ინგლისის ჩემპიონი — 1905, 1907, 1909, 1927

ინგლისის თასი — 1910, 1924, 1932, 1951, 1952, 1955

უეფას თასი — 1969

სტადიონი: „სენტ ჯეიმსის პარკი“ 36.610

მწვრთნელი: კენი დალგლიში

ყველაზე მეტი მატჩი: ჯიმ ლოურენსი 432 (1904-22 წწ)

ყველაზე მეტი გოლი: ჯეკი მილბერნი 177 (1946-57 წწ)

მეტსახელი: „ჯორდები“

ARSENAL vs NEWCASTLE

„არსენალსაც“ ჰყავს მეგოლე — ჰოლანდიელი დენის ბერკამპი, თუმცა ორიოდ კვირის წინ, ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა თავდამსხმელმა დღეს შეიძლება ვერც ითამაშოს. ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში მან ბარძაყის კუნთის სერიოზული ტრავმა მიიღო და ცდილობს, ტკივილი მსოფლიო ჩემპიონატამდე დათამოს. ერთმა მატჩმა, სრულად შესაძლებელია, ბერკამპის კარიერა დაასრულოს, ეს კი ცხადია არავისთვისაა სასურველი.

რისი იმედი აქვს „არსენალს“? უპირველესად, საკუთარი თავის, გამარჯვებას მოწყურებული ფეხბურთელების, მერე კი იმის, რომ ალბათ, „ნიუკასლთან“ უეღბლო ფინალების სერიას შეწყვეტს — თემურ ქცებაიას გუნდის ადრინდელმა თაობამ 1932 და 1952 წლებში „არსენალი“ თასის ფინალში ორჯერ დაამარცხა. სხვათა შორის, „ნიუკასლი“ და „არსენალი“ ასოციაციის თასის ისტორიაში მხოლოდ მეორე წყვილი გახდება, სამჯერ რომ დაპირისპირებიან ერთმანეთს ფინალში — 1887, 1892 და 1895 წელს თასი „ასტონ ვილამ“ და „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ გაითამაშეს.

ერთი სიტყვით, დღეს, დიდებულ „უემბლიზე“ უპრინციპულესი თამაშია — ინგლისის თასის მფლობელი ირკვევა. იმედია, ამ შეხვედრის მონაწილე ერთადერთი ქართველის, ნიუკასლელთა ნახევარმცველის თემურ ქცებაიას „მეორედ მოსვლა“ „უემბლიზე“ (პირველი 1997 წლის აპრილში იყო ინგლისი — საქართველოს მატჩისას), ამჯერად მაინც გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ლაშა გოდუაძე

გზა ფინალამდე

არსენალი

1/32	შ	პორტ ვეილი	0:0	
	გ	პორტ ვეილი	1:1 (პენ 4:3)	ბერკამპი (100)
1/16	გ	მიდლსბრო	2:1	ოვერმარსი (1), პარლოუ (19)
1/8	შ	კრ. პალასი	0:0	
	გ	კრ. პალასი	2:1	ანელკა (2), ბერკამპი (28)
1/4	შ	ვესტ ჰემი	1:1	ბერკამპი (26 პ)
	გ	ვესტ ჰემი	1:1 (პენ 4:3)	ანელკა (45)
1/2	ნ	ვულვერჰემპტონი	1:0	ვრე (13)

ნიუკასლი

1/32	გ	ევერტონი	1:0	რაში (67)
1/16	გ	სტივენეიჯი	1:1	შირერი (3)
	შ	სტივენეიჯი	2:1	შირერი (16, 65)
1/8	შ	ტრანმერი	1:0	შირერი (17)
1/4	შ	ბარნსლი	3:1	ქცებაია (17), სპიდი (27), ბეტი (90)
1/2	ნ	შეფილდ იუნ.	1:0	შირერი (60)

წინა შეხვედრები ასოციაციის თასზე

1901-02	1 ეტ.	არსენალი — ნიუკასლი	0:2
1905-06	1/2	ნიუკასლი — არსენალი	2:0
1931-32	ფ	ნიუკასლი — არსენალი	2:1
1935-36	1/4	ნიუკასლი — არსენალი	3:3
		არსენალი — ნიუკასლი	3:0
1951-52	ფ	ნიუკასლი — არსენალი	1:0

არგენტინულ ფეხბურთში ძალადობა მეფობს

ამ ბოლო დროს არგენტინულ ფეხბურთში მდგომარეობა მეტად დაიძაბა. ფაქტობრივად ტური არ გავა, რომ რაიმე ამაზრზენი არ მოხდეს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის ჩემპიონატი თავის ნებაზე მიუშვა და გულშემატკივრებიც თამაშის საყურებლად კი არა, ერთმანეთის დასახოცად დადიან სტადიონზე. ასეთი ქაოსი რომ დიდ ხანს გაგრძელებულიყო, არ შეიძლებოდა და მართლაც, ოთხშაბათიდან ადგილობრივ ჩემპიონატში გამეფებულ ძალმომრეობას ბოლო მოელო. ყოველ შემთხვევაში, დროებით შეჩერდა მაინც. არგენტინელმა მოსამართლემ ვიქტორ პეროტამ უპრეცენდენტო განაჩენი გამოუტანა ფეხბურთის ფედერაციას: მისი ეგიდით ყოველგვარი მატჩის ჩატარება აკრძალა.

— არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული ოფიციალური ჩემპიონატის ჩატარება დროებით შეწყდა და იქამდე არ განახლდება, სანამ სტადიონებზე გულშემატკივართა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი არ იქნება — განაცხადა მსაჯულმა, რომელიც თებერვლიდან მოყოლებული გამუდმებით აფრთხილებდა ფედერაციასა და კლუბებს, რომ მდგომარეობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში მეტად არასასურველი სანქციების მიღება მოუწევდა, მაგრამ მისი სიტყვები ყურად არავინ იღო.

ქვეყნის ფეხბურთის მამები, რა თქმა უნდა, უარყოფითად შეხვდნენ პეროტას გადაწყვეტილებას.

— ფეხბურთში შექმნილი ძალადობა სოციალური პრობლემა უფროა, ვიდრე სპორტული. მსაჯულის მიერ გამოტანილი განაჩენი სცილდება თამაშის ფარგლებს და მეტად შორს მიდის. ამიტომ ჩვენ გავასაჩივრებთ ამ გადაწყვეტილებას — საპასუხო გამოსვლაში აღშფოთება ვერ დამალა არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა ხულიო გრონდონამ.

ქვეყნის პრეზიდენტი კარლოს მენემი, რომელიც ფეხბურთის დიდ გულშემატკივარია და ნაკრების ყოფილ კაპიტან დიეგო მარადონასთან მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, პეროტას მიერ გამოტანილი განაჩენით მეტად კმაყოფილი დარჩენილა.

— ძალადობის ტალღამ მთელ ქვეყანას გადაუარა და იგი ვერავინ შეაჩერა. ამიტომ გადამჭრელი ზომების მიღება აუცილებელი იყო — განაცხადა მენემმა. მაგრამ კლუბებმა რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდებიან ჩემპიონატის შეწყვეტით (ეს ბუნებრივია, რადგან სტადიონებზე ბილეთები არ გაიყიდება), კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პრინციპული მსაჯული.

— თუ მისი კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ ჰამბურგერების გაყიდვაც უნდა ავკრძალოთ, რადგან მაკდონალდში ახალგაზრდა ბიჭი დაცხრილეს — თავისი აზრი გამოთქვა „რასინგის“ პრეზიდენტმა დანიელ ლატინმა.

— ამგვარი გადაწყვეტილებებით ფეხბურთში ძალადობას ვერ აღმოფხვრით. ეს უფრო საზოგადოების პრობლემაა და შექმნილ სიტუაციაში ჩვენ ყველანი ვართ დამნაშავე. — ეს „არგენტინოს ხუნიორსის“ პრეზიდენტის ოსკარ ხიმენესის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ გასულ დეკემბერში, მას შემდეგ რაც „ჭურაკანის“ 24 წლის გულშემატკივარი ერთ-ერთი მატჩის დროს თავში გასროლით მოკლეს, მთავრობამ პოლიციას მოსთხოვა, დამატებითი ძალები გამოეყო.

ბოლო წლების განმავლობაში მსგავსი შემთხვევები საკმაოდ გახშირდა, თუმცა კლუბები ამ ფაქტებს დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ და ამბობდნენ, რომ ერთი მუჭა ნაძირალები ყველგან არიან

ხულიო გრონდონას საქმე სასციოლოდ აღარ აქვს

და მათ შორის შეტაკებებს ვერაფერს მოვუხერხებთო.

აღსანიშნავია, რომ პეროტას განაჩენი არგენტინის ეროვნული ნაკრების თამაშებზე არ ვრცელდება. ამიტომ პასარელას გუნდმა წყნარად განაგრძო მზადება და ხუთშაბათს ბოსნიელებთან ამხანაგური მატჩიც გამართა. ეროვნული ჩემპიონატი კი ჯერჯერობით ვერ განახლდება. არადა, გათამაშების დასასრულამდე (დღეისათვის პირველ ადგილზე „ველეტ სარსფილდი“ იმყოფება) სულ რაღაც ათი დღე რჩებოდა.

ირაკლი ხმელიძე

ამბავი ჩელსისა და თასებისა

თასების თასი. ფინალი

Cup Winners' Cup

ჩელსი 1:0 შტუტგარტი

ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ, ლებეფი, კლარკი, პოიეტი (ნიუტონი 81), დაბერი, უაიზი, გრენვილი, დი მატეო, ვიალი, ტ. ფლო (ძოლა 71)

შტუტგარტი: ვოლფარტი, შნაიდერი (ენდრესი 55), ბეჯტოლდი, პოშნერი, იაკინი, ჰაგნერი (რისტიჩი 29), ჰაბერი (ჯორჯევიჩი 75), სოლდო, ბალაკოვი, ბობიჩი, აგპობორი

1:0 ძოლა (71)

— როცა რაიმეთი დაკმაყოფილდები, უფრო შორს ვეღარ წახვალ. ჩვენს ადგილზე ბევრი თასების თასის ფინალში გასვლასაც მიღწევად ჩათვლიდა, მაგრამ როცა თასამდე ერთი მატჩიღაა დარჩენილი, მთლიანად უნდა დაიხარჯო. უნდა გაათვითცნობიერო, რომ ამხელა გზა ტყუილ უბრალოდ, ფინალში დამარცხებისთვის არ გაგივლია. ჩვენ, უკლებლივ ყველა ჩელსელს, ღრმად გვჯეროდა, რომ თასს მოვიგებდით. რწმენამ გამარჯვება მოგვაპოვებინა — 27 წლის შემდეგ „ჩელსიმ“ იტალიელი მწვრთნელის, ჯანლუკა ვიალის თავკაცობით მეორე ევროთასი იგდო ხელთ.

ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ლონდონელთა გულშემატკივრები ასეთ წარმატებაზე ვერც კი იოცნებებდნენ: ასოციაციის თასი, ლიგის თასი და ახლა, ქართველთათვის ტაბილად მოსაგონარ 13 მაისს, ყოლეველივე ამას აგვირგვინებს თასების მფლობელთა თასი, ჯილდო, რომელზეც „ჩელსის“ პრეზიდენტი კენ ბეიტსი აგერ უკვე რამდენი ხანია, ოცნებობდა.

თუ მოინდომებ, მიუწვდომელი არაფერია. როგორც ჩანს, „ჩელსიმ“ მეტოქეზე უფრო მოინდომა, თუმცა თამაშის დასაწყისის შემხედვარე ამას ნამდვილად ვერ იტყოდი — იქ, ცხრა მთას იქით, სტოკჰოლმის „რასუნდას“ პატარა და კოხტა სტადიონზე, თასთა თასის წლევანდელი სეზონის გადამწყვეტ მატჩში, უფრო სწორად კი შეხვედრის დასაწყისში გერმანელებმა „ჩელსის“ ისეთი შტურმი მოუწყვეს, ინგლისელთა წარმატებაში ბევრს ეჭვიც კი შეეპარა, მაგრამ...

13 მაისის ფინალი ვარსკვლავის გამოჩენამ და ზუსტად მოქნეულმა მარჯვენამ მოიგო. მართალია, ჯანფრანკო ძოლა ძველებურად ველარ კაშკაშებს, მაგრამ მაინც, სწორედ მისმა გოლმა ამარჯვა „ჩელსი“. „შტუტგარტს“ კი ვარსკვლავი არ ჰყავდა. იქნებ ამიტომაც დატოვა მინდორი დარცხვენილმა — მეორედ იყვნენ გერმანელები ევროთასის ფინალში და 1989 წელს წაგებული უეფას თასის დარად, კვლავ დამარცხდნენ.

— ძოლას თამაშში ჩართვა ჩემი იდეა არ იყო. უბრალოდ, ჯანფრანკოსი გრემ რიქსს (ვიალის თანაშემწეა) სწამდა. თავდაპირველად რიქსმა ჩემი შეცვლა დაპირა, მაგრამ ისე ვიუარე, ხმა აღარ ამოუღია. ტორე ანდრე ფლოც სწორედ ჩემი სიჯიუტის გამო შეცვალეს — ჩელსელთა მოთამაშე მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ რიქსს დამსახურება არ დაუკარგა. როგორც ჩანს, წარსულში ინგლისის ნაკრების და „არსენალის“ ნახევარმცველს, ამასთანავე შესანიშნავ ფეხბურთელს გრემ რიქსს ძოლას მოდანზე შეშვების აუცილებლობა არ გამოპარვია — საჭირო იყო „ჩელსის“ თამაშის სახეცვლა, ჩია აპენინელზე უკეთ კი ამას ვერავინ მოახერხებდა.

შარშან ინგლისში გადაბარგებული ჯანფრანკო იმავე სეზონში პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. წლეულს საქმეები სათანადოდ ვერ აეწყო. მეტიც, შეიძლება ითქვას, ძოლას წლევანდელი ჩემპიონატი ჩაუვარდა, ამას თან ტრავმაც დაერთო. ერთი სიტყვით, ძოლას წლეულს არაფერი გაუკეთებია ისეთი, აღნიშვნას რომ იმსახურებდეს. ამიტომაც დაკარგა „სკუადრა აძურაში“ ადგილი. აქედან გამომდინარე, ბევრმა ძოლას გამოჩენა შეიძლება „ჩელსის“ თავკაცთა შეცდომათაც აღიქვა, მაგრამ პესიმისტთა რწმენა არც მეტი, არც ნაკლები, 23 წამში დაიმსხვრა — კაპიტან დენის უაიზის შესანიშნავი პასი, ზუსტად მოხელთებული მომენტი და 1:0 — „ჩელსი“ თასთა თასს კიდევ უფრო მიუახლოვდა.

— ყველას აქვს ცხოვრებაში დღე, რომელიც არასდროს დაავიწყდება. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი საღამო ჩვენთვის სწორედ ასეთია. ახლა ჯეროვნად მოლხენაც შეიძლება — ერთადერთი გოლის შემქმნელი დენის უაიზი თანაკლუბელთა დარად ხარობდა. ან კი რა ჰქონდა მოსაწყენი? ხელხვაიანმა კაპიტანმა ერთ წელიწადში სამი თასი ჩაიბარა. ახლა „ჩელსის“ პრემიერლიგაღა დარჩა მოსაგები.

თასთა თასის ფინალმაც ვერ ჩაიარა გაძევებულთა გარეშე. უეფას თასის გადამწყვეტი შეხვედრა ფინალისტებმა კაცნაკლულობაში ჩაამთავრეს და ახლაც, ბოლო ხუთ წუთში ჯერ „ჩელსის“ რუმინელი მცველი დან პეტრესკუ გააგდეს, მერე, ბოლო წამებში კი გერმანელი გერჰარდ პოშნერიც. ორივე შემთხვევაში ფეხბურთელებს ნერვებმა უმტყუნა, თუმცა პეტრესკუს მოქმედებას იაკინის მიმართ კორექტული არ ეთქმოდა.

და მაინც, მეორე ტაიმში გაუხეშებული თამაშის მიუხედავად, შეხვედრამ მთლიანობაში საინტერესო ჩაიარა. უეფას თასის დარად, არც ახლა შეჩერებულა მატჩი ზედმეტად — იყო ორთაბრძოლა, ის, რაც ასე ალამაზებს გადამწყვეტ შეხვედრებს.

ჯერ კიდევ მეოთხედფინალში, როცა „ჩელსიმ“ სევილიაში „ბეტისი“ დაამარცხა, ესპანელთა თავდამსხმელმა ალფონსო პერესმა განაცხადა, ნახევარფინალში გასვლისთვის კი ვიბრძოლებთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. აი „ჩელსიმ“ თუ გვაჯობა, მეეჭვება, ვინმე თასის მოგებაში შეეცილოსო. ალფონსო მართალი გამოდგა — თუ საწყის რამდენიმე წუთს არ ჩავთვლით, ლონდონელები მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ. თუმცა იყო მომენტები, „შტუტგარტს“ რომ გამართლებოდა, თასს შინ, „გოტლიბ დაიმლერ შტადიონზე“ (შტუტგარტელთა სარბიელია) დააბინავებდა.

კრასიმირ ბალაკოვი, ჯონათან აკპობორი, ფრედი ბობიჩი, მატიას ჰაგნერი — ესენი ის შტუტგარტელები არიან, გადამწყვეტ მომენტში რომ არ უმართლებდათ. ზოგჯერ მეტოქის ჰოლანდიელი მეკარე ედ დე გუი ირჯებოდა სათანადოდ, ანაც ბურთი კარში არ შედიოდა. ლონდონელებსაც არ სწყალობდათ ბედი: დენის უაიზმა ორჯერ უძლიერესად და მეტად სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ამდენჯერვე ააცილა. დი მატეოც გაწბილდა. ვოლფარტსაც ნუ დავუკარგავთ თავისას — ავსტრიელი მეკარე მართლაც კარგად თამაშობდა.

— არ მეგონა, იღბალი კვლავ თუ გვაქცევდა ზურგს. იმედი მქონდა, წაგებული უეფას თასის შემდეგ თასების თასს მაინც მოვიგებდით. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ძალიან საწყენია მხოლოდ ფინალისტობა — „შტუტგარტის“ გამოცდილი მცველი ტომას ბერტოლდი გულნატკენი გაბრუნდათ.

რა ხდებოდა ამ დროს „რასუნდაზე“? მსაჯის საფინალო სასტვენმა 15 ათასამდე გულშემატკივარი აღაფრთოვანა. საყვარელი გუნდის საქომაგოდ შვედეთს ჩასულ ფანებს მეტი რა საქმე ჰქონდათ. იმ ღამით არ ეძინათ სტოკჰოლმელებს. ეგებ ძალიანაც უნდოდათ ჩათვლემა, მაგრამ ვინ მოასვენებდა? 13 მაისს სხვა ქვეყნის გუნდმა კი არა, ინგლისის „ჩელსიმ“ იმარჯვა! ინგლისელ გულშემატკივართა თავქარიანობა კი არავისთვისაა ახალი.

რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, „ჩელსის“ გამარჯვება ბირმინგემშიც ძალიან გაუხარდათ. ახლა, მომავალ სეზონში, „ჩელსი“ თასების თასის შენარჩუნებას რომ შეეცდება, „ასტონ ვილა“ უეფაზე ცდის ბედს.

ლაშა გოდუაძე

REUTERS სტოკჰოლმიდან

ერთვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი ორთაბრძოლებისას ვიალი კინაღამ გაიკვანძა

პრეზიდენტობისთვის ბრძოლა გრძელდება

საფეხბურთო სამყაროში პირველი სავარძლის მოსაპოვებლად კარგა ხნის წინათ დაწყებული ბრძოლა თავის კულმინაციას მიუახლოვდა.

შეგახსენებთ, თუმცა რა შეხსენება უნდა, რომ დასრულდა ბრაზილიელი ჟოაო აველანჟის 24-წლიანი ბატონობა და ახლა ფიფას ახალი პრეზიდენტის ადგილს ორი კანდიდატი ეცილება ერთმანეთს — უეფას პრეზიდენტი, 68 წლის ლენარტ იუჰანსონი და ფიფას გენერალური მდივანი, 62 წლის შვეიცარიელი ზეპ ბლატერი. ამ ორი პატივცემული ადამიანის ქიშპობაზე იმდენი ითქვა, რომ ახალი თითქოს აღარაფერია მოსალოდნელი, მაგრამ 8 ივნისამდე, როცა ფიფას კონგრესზე საცე-პრეზიდენტმა, კორეელმა ჩანგ მონგ იონმა, რომელიც მეტად გავლენიანი პიროვნება გახლავთ საფეხბურთო სამყაროში, კარგად „დაამუშავა“ დამსწრე დელეგატები და შეეცადა დაერწმუნებინა, რომ 8 ივნისს პარიზის კონგრესზე პრეზიდენტობის საკითხის განხილვისას საუკეთესო გადაწყვეტილება ლენარტ იუჰანსონისთვის ხმის მიცემა იქნება.

— ძალიან მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ 24-წლიანი ერთფეროვანი კურსის შემდეგ აუცილებელია ახალი ხედვა და ახალი პრეზიდენტი. ასეთი კი ლენარტია — განაცხადა იანგმა.

იუჰანსონმა აზიელთა გული ვერაფრით მოიგო

აღსანიშნავია, რომ კორეელმა ეს სიტყვები მალაიზიაში 45-კაციან კონგრესზე წარმოთქვა. დარბაზში კი სხვებთან ერთად ფიფას პირველი ჩინოსნობის ორივე კანდიდატი იყო. კმაყოფილმა შვედმა, რომელიც საქვეყნოდ ამტკიცებს, რომ უეფადან და აფრიკის ფედერაციიდან სრული მხარდაჭერა ექნება, იონგის გამოსვლის საპასუხოდ განაცხადა — მე ისეთ დაპირებებს არ ვიძლევი, რისი შესრულებაც არ შემიძლია. არჩევნებში ჩემი გამარჯვება თითოეული თქვენთაგანის გამარჯვება იქნება.

ბლატერის რეაქციამ არ დააყოვნა, თუმცა შვეიცარიელის სიტყვები ჩვეულებისამებრ კარგად აწონ-დაწონილი იყო:

— მე არ ვაპირებ რაიმეს კარდინალურ შეცვლას. მმართველობით აპარატში ბოლო ოცდაოთხი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებს ხაზი არ გადაესმება. უფრო მეტიც, ჩემს მომავალ საქმიანობას სწორედ შექმნილ ფუნდამენტზე ავაგებ. პოლიტიკას რომ დავესესხოთ, ფეხბურთში მარქსისტი ვარ და იმ დიდ ფულს, რომელიც ჩემი პრეზიდენტობის შემთხვევაში ფიფაში შემოგვივა, ისევ და ისევ ჩვენი საყვარელი თამაშის განვითარებას მოვახმარო.

მიუხედავად იმისა, რომ ორი კვირის წინ დუბლინში გამართულ უეფას კონგრესზე დელეგატების მხრიდან იუჰანსონის მხარდაჭერა საგრძნობი იყო და ფეხბურთის მეფეს, პელეს სიმპათიებიც სხვების მსგავსად შვედის მხარეს გადაიხარა, კუალა ლუმპურში ბლატერი მაინც მხნედ გამოიყურებოდა და განაცხადა, სხვა თუ არავინ, აზიელები ხომ მაინც მე მენდობიანო. თუმც შვეიცარიელი არა მარტო აზიელთა იმედზეა:

— დღესდეობით არც ევროპაა ერთიანი და აფრიკაც საკმაოდ დანაწევრებულია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათში მხოლოდ ერთი, იუჰანსონისთვის სასურველი აზრი ვერ იქნება. აზიელები კი დიდი ხანია, პოზიტიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ ჩემს მიმართ. შექმნილი სიტუაცია რწმენას მმატებს და დარწმუნებული ვარ, დიდი უმრავლესობა იმ კაცს მისცემს ხმას, რომელიც ფეხბურთის აგერ უკვე 23 წელიწადია ერთგულად ემსახურება.

ბლატერი თურმე არჩევნებში შესაძლო მარცხისთვისაც მზადაა და ისიც გარკვეული ჰქონია, თუ რას გააკეთებს ამ შემთხვევაში.

— თუ პრეზიდენტად არ ამირჩევენ, ტრაგედია არ იქნება. ამით არც ფეხბურთს, არც ფიფას და არც ზეპ ბლატერს დააკლდებათ რამე. უბრალოდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემს მისიას შევასრულებ და შემდეგ ფიფას გენერალური მდივნის მანდატს სხვას გადავუდოცავ. მე კი დაგემშვიდობებით და ჩემს პირველ სიყვარულს — ჟურნალისტიკას დავუბრუნდები.

ირაკლი ხმელიძე

ფეხბურთის რუკასთან

უნგრეთის თასის გამარჯვებული გახდა ბუდაპეშტის მტკ ფინანსი დედაქალაქელებმა „უიპეშტი“ დაამარცხეს 1:0.

ინგლისში ზედა დივიზიონებში გამსვლელთა განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. პირველი დივიზიონი: სანდერლენდი — შეფილდ იუნაიტედი 2:0, (ორი მატჩის ჯამში გაიმარჯვა სანდერლენდმა 3:2), ჩარლტონი — იფსვიჩი 1:0 (2:0), ფინალი 25 მაისს „უუემბლიზე“ შედგება. მეორე დივიზიონი: გრიმსბი — ფულჰემი 1:0 (2:1), ნორტჰემპტონი — ბრისტოლ როვერსი 3:0 (4:3), ფინალი 24 მაისს „უემბლიზე“. მესამე დივიზიონი: კოლჩესტერი — ბარნეტი 3:1 (3:2), ტორკუეი — სკარბორო 4:1 (7:2). ფინალი 22 მაისს „უემბლიზე“.

თურქეთის „ტრაბზონსფორს“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, ინგლისელი სპეციალისტი გორდონ მილნი. აქამდე იგი ორ თურქულ კლუბს თავკაცობდა — „ბეშიქთაშს“ 7 წელი და „ბურსასფორს“ ერთი სეზონი. მილნისა და „ტრაბზონს“ შორის კონტრაქტი ორწლიანია.

ბულგარეთის თასის ფინალი: ლუვსკი (სოფია) — ცსკა (სოფია) 5:0 (2:0).

ინგლისის პირველი დივიზიონის წლევანდელმა გამარჯვებულმა „ნოტინგემ ფორესტმა“ თავის ფრანგ ლეგიონერ ტიერი ბონალაირთან კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. აქამდე ბონალაირი „ნანტში“, „მონპელიესა“ და შვეიცარიის „ცსკა-ში“ გამოდიოდა.

ინგლისის „ლიგერპულის“ თავდამსხმელი რობი ფაულერი წლის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. ამის მიზეზი თებერვალში, მერსისაიდურ დერბიში „ევერტონის“ ნორვეგიელ მეკარე ტომას მერისთან შეჯახების შედეგად მიღებული მუხლის ტრავმა ყოფილა. „იყო ლაპარაკი, რომ ფაულერი მორიგი სეზონის დასაწყისისთვის ჩადგება ფორმაში, მაგრამ მერწმუნეთ, შობამდე მისი თამაში გამორიცხულია“ — განაცხადა კლუბის ექიმმა მარკ ლეტერმა.

იტალიის „ლაციოსა“ და ინგლისის „ჩელსის“ შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს პიერლუიჯი კაბირაგის ლონდონურ კლუბში გადასვლის თაობაზე. იტალიური პრესის ცნობით, „ჩელსი“ მზადაა 29 წლის თავდამსხმელში 10 მილიონი დოლარი გადაიბადოს, 2 მილიონით ნაკლები იმაზე, რასაც „ლაციო“ ითხოვს. როგორც ცნობილია, ინგლისურ კლუბში უკვე თამაშობს კაბირაგის სამი თანამემამულე — ჯანლუკა ვიალი, რობერტო დი მატეო და ჯანფრანკო ძოლა. იტალიის ნაკრების შემადგენლობაში კაბირაგის 44 მატჩში 13 გოლი აქვს გატანილი, რომელთა შორის ყველაზე ძვირფასი ალბათ შარშან, ნოემბერში, შეგდებული საფრანგეთი 98-ის საგუშაგოს ჯიმპოვებელი გოლია.

ფრანგი სპეციალისტი, „პსჟ-ს“ სპორტული დირექტორი და კამერუნის ნაკრების მწვრთნელი კლოდ ლერუა პირველი დივიზიონის სტრასბურის „რასინგის“ მენეჯერი გახდა. ამ პოსტზე იგი ბერნარ გარდონს შეცვლის. რაც შეეხება „რასინგის“ ახალ მწვრთნელს, კლუბის პრეზიდენტის პატრიკ პროიზის განცხადებით, ამ ადგილს დაიკავებს ლერუას ასისტენტი კამერუნისკრებში და „პსჟ“-ს ახალგაზრდული გუნდის უფროსი პიერ მანკოსკი.

საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბერნარ ლამამ და დანიელმა თავდამსხმელმა მარკო ბუგერსმა დატოვეს ლონდონის „ვესტ ჰემი“.

შვედმა ფეხბურთელმა ტომას ბროლინმა უარი განაცხადა „კრისტალ პალასში“ დარჩენაზე მას შემდეგ, რაც გუნდი პრემიერლიგიდან გაეარდა. წარსულში ბროლინი „ლიდსში“ და „პარმაში“ თამაშობდა და საკმაოდ კარგადაც, მაგრამ ახლა მისი სათამაშო ფორმა აშკარად შორსაა სასურველისგან. ჯერჯერობით ბროლინის სამომავლო გეგმები უცნობია.

დარჩა 23 დღე

FRANCE98

ფუტბოლის დროშით

ბრაზილიას ტრავმებმა ხელი დარია

როდესაც გასული კვირის ბოლოს ბრაზილიელებმა ნაკრების საფრანგეთო შემადგენლობა დაასახელეს, ზოგიერთ ფრთხილ გულშემატკივარს გულის სიღრმეში ცუდად გაჰკრა — ღირდა კი ერთი თვით ადრე საბოლოო სიის გამოქვეყნება, ასეთი სიჩქარე და თავდაჯერებულება უკან არ შემოგვიტრიალდესო. ისემც ყველაფერი აგიხდეთ, როგორ ამათი წინათგრძნობა ახდა. წინასაჩემპიონატო შეკრებაზე მყოფ ბრაზილიელ ფეხბურთელებს ოთხშაბათიდან ბედი არ სწყალობთ — ზოგს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი, რამოდენიმეს კი, მთავარი მწვრთნელის ჩათვლით, საშინელი გრიპი შეეყარა. ამის შემდეგ მარიო ზაგალოსათვის ნათელი გახდა, რომ გუნდის საფუძვლიანად გაწვრთნას მაშინღა თუ შეძლებს, როცა ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა ფეხბურთელი გამოჯანმრთელდება და საფრანგეთში შეიკრიბება.

თუ ზოგიერთი მოთამაშის მზადყოფნა ეჭვს არ იწვევს, სან პაულუს მცველ მარსიო სანტოს თამამად შეუძლია ჩათვალოს, რომ ჯერ არდაწყებული ჩემპიონატის ყველაზე უიღბლო მონაწილეა. ნაკრების საბოლოო შემადგენლობაში მისი გვარი ფიგურირებდა და ხელმძღვანელობაც დიდი იმედით უყურებდა, მაგრამ კვირას პაულისტას ჩემპიონატში სან პაულუსა და კორინთიანსს შორის გამართულ ფინალურ მატჩში მარსიო სანტოსმა ტრავმა მიიღო.

— ფეხის კუნთის გაჭიმვა სერიოზულ ტრავმად არ ითვლება, მაგრამ სანტოსი სამი კვირის განმავლობაში ბურთით ვარჯიშს ვერ შეძლებს. ჩვენ კი ნაკრებში მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვუხმობთ, რომლებიც ასი პროცენტით მზად არიან. სწორედ ამიტომ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მარსიო სანტოსს გუნდის მიღმა დარჩენა მოუწევს — თქვა ბრაზილიელთა ექიმმა ლიდიო ტოლედომ.

სანტოსის შემცვლელად მილანელი ანდრე კრუზი, პალმეირასელი კლებერი და სანპაულოელი ბორდონი დაასახელდნენ, რომელთაგანაც მწვრთნელებმა საბოლოო არჩევანი პირველზე შეაჩერეს. ამრიგად, 1994 წლიდან მოყოლებული ნაკრებში რეგულარულად მოთამაშე მარსიო სანტოსს მსოფლიოს ჩემპიონატზე „მილანის“ მცველი ანდრე კრუზი შეცვლის.

მსუბუქად დაშავებულთა შორის ნახევარმცველი ფლავიო კონსეისაო და თავდამსხმელები — რომარიო და სეზარ სამპაიოც არიან, მაგრამ მარსიო სანტოსის ბედის გაზიარება მხოლოდ „დეპორტივოში“ მოთამაშე კონსეისაოს ემუქრება.

— ჯერ კიდევ გასულ თვეში, როდესაც არგენტინას ამხანაგურად გავეჯიბრეთ, იგი ტრავმირებული ჩამოსულა მაგრამ რატომღაც ჩვენთვის არაფერი უთქვამს და იმის ნაცვლად რომ სამკურნალოდ შინ გაგვეგზავნებინა, ძირითადში დავაყენეთ. ამით ის მოიმკო, რომ ახლაც ტრავმირებულია და თუ კვირას თავის გუნდის შემადგენლობაში თამაშს ვერ შეძლებს, აღარც ვიცით, რა გზას დავადგეთ — განაცხადა კონსეისაოს საქციელით აღშფოთებულმა ტოლედომ.

გრიპშეყრილ ფეხბურთელებში რივალდო და ბებეტოც არიან, ხოლო სესარ სამპაიოს ტრავმის უფრო სერიოზულად გამოკვლევის მიზნით რიო დე ჟანეიროში გაგზავნას უპირებენ.

შეკრებაზე მყოფ ბრაზილიელებს ევროპელი ლეგიონერები — კაფუ, ლეონარდო, რონალდო, რობერტო კარლოსი და ალდაირი აკლიათ. ეს ფეხბურთელები თავთავიანთ კლუბებში შეყოვნდნენ, ხოლო სათადარიგო გოლკიპერი კარლოს ჟერმანო და ნახევარმცველი დენილსონი ადგილობრივი ჩემპიონატის მატჩში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ.

ყოველივე ამ უბედობის შემდეგ საბრალო ზაგალოს რიოდან 100 კილომეტრით დაშორებულ, ბრწყინვალე მთიან კურორტ ტერესოპოლისში ნაკრებისათვის მოწყობილ შეკრებაზე მხოლოდ ცხრა ფეხბურთელი — ტაფარელი, დიდა, დუნგა, ზე რობერტო, რივალდო, ჯოვანი, ჟუნიორ ბაიანო, დორივა და გონსალვეში შერჩა.

ბრაზილიელები შეკრებაზე 21 მაისამდე დარჩებიან. შემდეგ კი ჩარტერული რეისით საფრანგეთს მიაშურებენ. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიური ავიაკამპანიის ლაინერი ნაკრებს საფრანგეთში ყოფნისას ერთი თვის განმავლობაში მოემსახურება და იგი ეროვნული გუნდის ფერებში იქნება შეღებილი.

ბრაზილიის ნაკრების საბოლოო (შესწორებული) შემადგენლობა:

მეკარეები: ტაფარელი (ატლეტიკო მინეირო), კარლოს ჟერმანო (ვასკო და გამა), დიდა (კრუზეირო); მცველები: კაფუ, ალდაირი (რომა, იტალია), გონსალვეში (ბოტაფოგო), ჟუნიორ ბაიანო, ზე რობერტო (ფლამენგო), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ანდრე კრუზი (მილანი, იტალია); ნახევარმცველები: დუნგა (ჯუბილო ივატა, იაპონია), დორივა (პორტუ, პორტუგალია), რივალდო (ბარსელონა, ესპანეთი), ლეონარდო (მილანი, იტალია), დენილსონი (სან პაულუ), ფლავიო კონსეისაო (დეპორტივო, ესპანეთი), სესარ სამპაიო (ანა სატო კოიო, იაპონია), ჯოვანი (ბარსელონა, ესპანეთი); თავდამსხმელები: რომარიო (ფლამენგო), ედმუნდო (ფიორენტინა, იტალია), ბებეტო (ბოტაფოგო), რონალდო (ინტერი, იტალია).

იქნება კი სანტოსი (15) ამ ბრწყინვალე ასხმიდან ერთადერთი ამოვარდნილი რგოლი?

ნიგერია

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ ორშაბათს ის 26 კაცი დაასახელა, რომლებიც 30 მაისს იუგოსლავიელებთან სტუმრად გასამართი ამხანაგური მატჩისთვის მოემზადებიან. აღსანიშნავია, რომ ნაკრებში გამოძახებულთაგან ერთის გარდა ყველა ლეგიონერია.

ნიგერიელთა შემადგენლობა შემდეგია: მეკარეები — იკე შორუნმუ (ციურიხი, შვეიცარია), ვილი ოკპარა (ორლანდო პაირატსი, აშშ), ჯასტინ აკუბუიკე (იესპერ იუნაიტედი); მცველები — მობი ოპარუკუ (კაპელენი), უჩე ოკენუკვუ (ფერენცვაჩჩე, თურქეთი), ტარიბო ვესტი (ინტერი, იტალია), სელესტინ ბაბაიარო (ჩელსი, ინგლისი), იერო შაკოკე (რეჯანა, იტალია), კინგსლი ობიკვუ (ვოლ ეჰედ ივლსი, ჰოლანდია), ჟვიბადე ბაბალადე (ჩითასი, კორეა), უჩე ოკაფორე (კანზას სტარ ვიზარდსი, აშშ); ნახევარმცველები — გარბა ლავალი (როდა, ჰოლანდია), სანდი ოლისე (აიაქსი, ჰოლანდია), ავგუსტინ ოკოჩა (ფენერბახჩე, თურქეთი), კარიბე ოჯიგვე (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), სტივენ მუსა (ზაარბრიუკენი, გერმანია), გოდვინ ოკპარა (სტრასბური, საფრანგეთი), მუტიუ ადეპოჟუ (სოსიედადი, ესპანეთი), უილსონ ორუმა (ლანსი); თავდამსხმელები: ფინიდი ჯორჯი (ბეტისი, ესპანეთი), ტიჯანი ბაბანგიდა (აიაქსი), ნვანკვო კანუ (ინტერი, იტალია), ვიკტორ იკპება (მონაკო, საფრანგეთი), დანიელ ამოკაში (ბეშიქთაში, თურქეთი), რაშიდი იეკინი (ციურიხი, შვეიცარია), ემანუელ ამუნიკე (ბარსელონა, ესპანეთი).

მაროკო

მთავარმა მწვრთნელმა, ანრი მიშელმა ოთხშაბათს გამოაცხადა იმ 27 ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაც ნაკრების წინასაჩემპიონატო შეკრებაზე იახლებს:

მეკარეები — აბდელჰადერ ელ ბრაზი (სამეფო შეიარაღებული ძალები), დრის ბენზერკა (სატატი), მუსტაფა ჩადლი (რაჯა კასაბლანკა); მცველები — ლაქენ აბრამი (ვიდად კასაბლანკა), აბდელქარიმ ელ ჰადრიუი (ბენფიკა, პორტუგალია), იუსეფ როსი (რენი, საფრანგეთი), აბდელაჰ საბერი (სპორტინგ ლისაბონი, პორტუგალია), გუნარ ლააროსი (აკადემიკა), რაშიდ ნექრუში (ბარი, იტალია), ნურედინ ნაიბეთი (დეპორტივო, ესპანეთი), სმაჰი ტრიკი (ლოზანა, შვეიცარია); ნახევარმცველები — რაშიდ აზუზი (ფიურტი, გერმანია), საიდ ჩიბა (კომპოსტელა, ესპანეთი), მუსტაფა ჰაჯი (დეპორტივო, ესპანეთი), აბდერაჰიმ ოაკილი (მიუნხენ 1860, გერმანია), რედა რიაი (რაჯა კასაბლანკა), ჯამალ სელამი (რაჯა კასაბლანკა), ტაჰერ ლაჰლეი (ბენფიკა, პორტუგალია), იუსეფ ჩიპო (პორტუ, პორტუგალია), ჰარიბ ამზინე (მალჰაუსი); თავდამსხმელები — სალაჰედინ ბასირი (დეპორტივო, ესპანეთი), იასინ აბდელაუი (რაიო ვალეკანო, ესპანეთი), ალი ელ ხატაბი (ჰერენვენი, ჰოლანდია), ხალიდ რაჯიბი (სეტატი), რაშიდ როკი (ჩაბაბ მოჰამედია), მუსტაფა მუსტაოდა (რაჯა კასაბლანკა), აბდელჯალილ ჰადა (კლუბ აფრიკანი, ტუნისი)

შოტლანდია

შოტლანდიელებმა მაისის ბოლოს გასამართ ორ ამხანაგურ მატჩზე გამოძახებული ფეხბურთელების სია გამოაქვეყნეს. შეგახსენებთ, რომ გუნდი ერთ კვირაში ამერიკას გაემგზავრება და 23 მაისს ნიუ იორკში კოლუმბიას, ხოლო 30-ში ვაშინგტონში მასპინძელთა ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება.

შოტლანდიელთა შემადგენლობა აშშ-ში გამგზავრების წინ: მეკარეები — ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ენდი გორამი (რეინჯერსი), ნილ სალივანი (უიმბლდონი, ინგლისი); მცველები: ტომი ბოიდი, ტოშ მაკინლი (სელტიკი), კრისტიან დეილი (დერბი, ინგლისი), მეტ ელიოტი (ლესტერი, ინგლისი), კოლინ ჰენდრი (ბლეკბერნი, ინგლისი), დევიდ ვეირი (ჰართსი), დერიკ უაიტი (აბერდინი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი, ინგლისი); ნახევარმცველები — კრეგ ბარლი, პოლ ლამბერტი, ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), ჯონ კოლინზი (მონაკო, საფრანგეთი), სკოტ ჯემილი (ნოტინგემი, ინგლისი), ბილი მაკინლი (ბლეკბერნი, ინგლისი); თავდამსხმელები: სკოტ ბუთი (დორტმუნდი, გერმანია), სიმონ დონელი, დარენ ჯეკსონი (სელტიკი), გორდონ დიური (რეინჯერსი), კევინ გალაჰერი (ბლეკბერნი, ინგლისი)

საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

— *ნახე, „ჩელსიმ“?*

— ვნახე, ვნახე და ახალი სადარდებელი გამიჩნდა.

— *რა?*

— რა და მალე ევროპის ჩემპიონატს გააუქმებენ.

— *რატომ?*

— რაღა რატომ, „უარსენალი“ რომ „ჩელსის“ შეხვდება, საფრანგეთი და იტალია არ არის? რაღად უნდა ევროპის ჩემპიონატი?

— *მარტო იტალია და საფრანგეთი რას ეყოფა?*

— იქედან „ბლექბერნი“ და „მანჩესტერი“ წამოეშველება თავისი ნორვეგიელებით, იქედან „ვესტ ჰემი“, და ვინმეები ხორვატებით და სხვა ვინ თამაშობს ევროპაში ფეხბურთს?

— *ხო, მაგრამ ინგლისელები?*

— ინგლისელები „სიტიში“ თამაშობენ.

— *არ მომწონს ეგ ამბავი. ევროპის ჩემპიონატი არ უნდა გაუქმდეს.*

— ელოდებიან და გააუქმებენო.

— *რას ელოდებიან?*

— თამაშგარეს გაუქმებას.

— *ეგ როგორ შეიძლება?*

— როგორ და ჩვეულებრივად. გაუქმებული არ არის? ყველა გოლი ან თამაშგარეა, ან თამაშგარე გვონია.

— *ხუმრობ?*

— ხუმრობა მაშინ ნახე, ემე ჟაკეს რომ „ლესტერის“ მწვრთნელად დანიშნავენ.

— *არასერიოზული მოსაუბრე ხარ. რა უნდა ჟაკეს ლესტერში?*

— ოო, ლესტერში ერთი სნუკერის მოთამაშე ცხოვრობს, უფრო სწორად, ბევრი სნუკერის მოთამაშე და იმათ მწვრთნელად იქნება.

— *სნუკერი რა არის?*

— ბილიარდია, ეგეთი, ფეხბურთს ჰგავს.

— *მერე ჟაკეს ბილიარდში რა უნდა?*

— ფეხბურთი არ უყვარს და ეგებ ბილიარდში მაინც გაიხაროს.

— *საიდან მოიტანე, რომ ჟაკეს ფეხბურთი არ უყვარს?*

— აბა ნაკრებში მარტო მძლეოსნებს იწვევს და...

— *ვინ, ზიდანია მძლეოსანი?*

— არა, ზიდანი შემთხვევით მოხვდა ნაკრებში.

— *რას ნიშნავს შემთხვევით?*

— ბაბუამისი რომ ალჟირიდან გერმანიაში წასულიყო, იქნებოდა საფრანგეთის ნაკრებში?

— *ეგ ეგ რა შუაშია?*

— შუაში კი არა, თავშია. შინ დაბდი გერმანელია და ოლივეირა ბელგიელი, მეტი რაღა გინდა?

— *შენ ფიქრობ, რომ ეს ცუდია?*

— მე ვფიქრობ, რომ ოცი წლის შემდეგ ბელგიის ნაკრებში მხოლოდ კონგოელები ითამაშებენ.

— *და კონგოს ნაკრებში?*

— კონგოს ნაკრებში განელები, განის ნაკრებში ტუნისელები, სომხეთის ნაკრებში ქართველები, საქართველოს ნაკრებში სომხები...

— *კარგი, ნუ გააჭრელებ აკი ევროპის ჩემპიონატი გაუქმდებაო?*

— არა, არ გაუქმდება, უბრალოდ, ერთდროულად იქნება აფრიკის თასი, რიო დე ჟანეიროს პირველობა, არგენტინის კლაუსურა, სერია A და ევროპის ჩემპიონატი, რაც ჯამში გამოვა მსოფლიო ჩემპიონატი.

— *და გაზა?*

— გაზა რა შუაშია?

— *გაზა რომელ ნაკრებში ითამაშებს?*

— ავსტრიის ცხვრისმპარსავთა ასოციაციის მეორე ნაკრებში.

— *რატომ?*

— ოცი წლის შემდეგ გაზა ოცი კილოთი მძიმე და ოცი წლით ბებერი იქნება.

— *ჭეშმარიტი ფეხბურთელი ხომ არ ბერდება?*

— და ვინ არის ჭეშმარიტი ფეხბურთელი, გაზა?

ჩემპიონიც ძველია და პრობლემებიც

საინტერესოდ დასრულდა საქართველოს მე-7 ჩემპიონატი. უძიმეს, ხუთმატჩიან ფინალურ სერიაში გამარჯვებული კვლავ თბილისის „ვითა" გამოვიდა და კიდევ ერთი ცდა, იგი საჩემპიონო ტახტიდან ჩამოეგდოთ, არ შედგა.

წლევანდელი სეზონი სპორტული თვალსაზრისით შარშანდელზე გაცილებით საინტერესო გამოდგა. უმთავრესი მოვლენა მაინც, ალბათ, რუსთავის „აზოტის" კარგი თამაში იყო. რუსთავში კარგი გუნდის შექმნა, გარდა სპორტული მნიშვნელობისა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც ერთობ ფასეული გახლდათ — მათ დაამტკიცეს, რომ დედაქალაქის გარეთაც შეიძლება შექმნას გუნდი, რომელიც არა მხოლოდ მონაწილეობას მიიღებს ჩემპიონატში, არამედ უმაღლეს ტიტულზეც განაცხადებს პრეტენზიას. ჩვენს პირველობას სწორედ რუსთაველებმა მისცეს საქართველოს ჩემპიონატის სახე, თორემ მათ გარეშე თბილისის ასპარეზობას უფრო დაემგვანებოდა. სოხუმის „კოლხა" გასაგები მიზეზების გამო თბილისშია დაბანაკებული. ქუთაისელები უკვე ზედიზედ მეორე ჩემპიონატს ვერ ამთავრებენ და მხოლოდ რუსთაველებს შეუძლიათ, მეტოქეობა გაუწიონ დედაქალაქის გუნდებს.

რუსთავში კარგი მოთამაშეები აღიზარდნენ. რაც მთავარია, ოთარ ხმელიძის გუნდში თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა რუსთავის აღზრდილია. ერთადერთი არარუსთაველი ზაზა გაბისონია გახლავთ, თუმცა ისიც უკვე იმდენი ხანია „აზოტის" შემადგენლობაში გამოდის, რუსთაველები თავისად აღიქვამენ. ისინი წინა ორ ჩემპიონატშიც პრიზიორთა რიგებში იყვნენ, მაგრამ მათი თამაშის კლასი მკვეთრად ჩამოუვარდებოდა „ვითასა" და „დინამოს" მოთამაშეთა ოსტატობას. წლევანდელ სეზონში კი რუსთაველებმა თავიდანვე იკისრეს ლიდერობა. ჩინებული სეზონი ჩაატარეს ირაკლი ჯაფარიძემ და რამაზ გოგობერიშვილმა, რომლებიც უდავოდ საუკეთესონი იყვნენ ჩვენს ჩემპიონატში. ძალიან მიუმატეს თამაშს ვლადიმერ ბოისამ და ზაზა გაბისონიამ. თითოეული მათგანი ნაკრების კანდიდატიც გახდა. „აზოტმა" ღირსეულად განვლო სეზონი და მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ სერიაში გულნაკლულნი დარჩნენ, მაინც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგეს წინ. იმედია, გუნდის დამფინანსებლები მომავალშიც ამოუდგებიან კალათბურთელებს მხარში, რათა მათ კვლავ გააგრძელონ თავიანთი საქმე და გულშემატკივრები გაახარონ.

სეზონის დასაწყისში, როცა ჩემპიონ „ვითადან" ერთბაშად 10 კალათბურთელი წავიდა უფროსი მწვრთნელიანად, ალბათ, ბევრი ვერც იფიქრებდა, რომ იგი ტიტულის შენარჩუნებას შეძლებდა. მისი ხელმძღვანელობა ამ სეზონს უფრო გარდამავალ ეტაპად თვლიდა ახალი, კარგი გუნდის შესაქმნელად. მართალია, „ვითას" პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა ისიც აღნიშნა, რომ მათ გუნდს ამბიციები ყოველთვის აქვს და ჩემპიონობას ადვილად არ დათმობს, მაგრამ სეზონის დასაწყისში ის მაინც ლიტონ სიტყვებად ჩანდა, რადგან „ვითა" სხვა ძლიერი გუნდებისგან არაფრით გამოირჩეოდა, რუსთაველები კი მასზე უკეთ გამოიყურებოდნენ. სეზონის ბოლოსთვის კი ახალმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ შეძლო ბრძოლისუნარიანი გუნდის შექმნა. „ვითა" ნელ-ნელა უმატებდა თამაშს და მისი ჩემპიონობაც უკვე აღარაა შემთხვევითი. ეს ფაქტიც წლევანდელი ჩემპიონატის პლუსად უნდა ჩაითვალოს. ჩვენ საქმეში გავიცანით ახალგაზრდა მწვრთნელი, რომელმაც ჩემპიონს თავისი სტილი და სახე ჩამოუყალიბა.

ამ ჩემპიონატის დადებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ერთბაშად ხუთი გუნდი აცხადებდა საპრიზო ადგილებზე პრეტენზიას და ურთიერთშეხვედრებში წინასწარ ვერავინ ამოიცნობდა, რა შედეგით დასრულდებოდა მატჩები.

მესამე ადგილი ჩემპიონატში სდასუ-მ დაიკავა, რომელმაც წინა ორ წელს საპრიზო ადგილი რუსთაველებთან ჭიდილში დაკარგა. წელს კი ბოლოს და ბოლოს მიაღწია საწადელს. როდესაც თავის დროზე სდასუ-ს რექტორმა და გუნდის პრეზიდენტმა თეიმურაზ ქორიძემ დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ბაზაზე საკალათბურთო გუნდი ჩამოაყალიბა, ბევრი ფიქრობდა, რომ სდასუ დიდ ხანს ვერ შეინარჩუნებდა ადგილს საკალათბურთო ელიტაში, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ბოლომდე მისდია საქმეს და მისი სახით ქართულ კალათბურთს მზრუნველი ხელი გამოუჩნდა. სდასუ-ში, მართალია, სხვა გუნდებიდან მოდიან გამოცდილი მოთამაშენი, მაგრამ ამ გუნდის არსებობა ჩვენს ჩემპიონატსაც აძლევს ლაზათს და თვით დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ცხოვრებასაც ახალისებს. ალბათ, ჩემპიონატში ყველაზე ერთგული გულშემატკივარი სწორედ სდასუ-ს ჰყავს.

რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო დინამოელთა საპრიზო ადგილების მიღმა დარჩენა. სეზონის დასაწყისში სწორედ „დინამო" აღიქმებოდა რუსთავის „აზოტის" მთავარ მოცილედ პირველობისთვის ბრძოლაში და ეს აზრი უფრო განმტკიცდა, როცა გუნდს კახაბერ შენგელია დაუბრუნდა, მაგრამ დინამოელები მდგომარეობიდან გამოყვანა იმ საყოველთაოდ ცნობილმა ფაქტმა და მათ ნახევარფინალიც და მესამე ადგილისთვის ბრძოლაც პრაქტიკულად უბრძოლველად დათმეს. რა თქმა უნდა, ამ საქციელის გამართლება არანაირად არ შეიძლება, მაგრამ დასანანია, რომ ამით ისეთი კალათბურთელები დაისაჯნენ, რომლებიც არასდროს განეკუთნებოდნენ უდისციპლინოთა რიცხვს.

ჩემპიონატს თავისებური იერი შესძინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა და ეს სასიხარულოა. ჩვენი კალათბურთი ყოველთვის სტუდენტურ სპორტზე იყო აღმოცენებული და თსუ-ს უძლიერესთა რიგებში გამოჩენა მისასალმებელია. თსუ-მ მეტოქეთ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია და „აზოტის" გარდა ყველა ძლიერ გუნდთან მოახერხა გამარჯვება. თსუ-ს პრიზიორობამდე ცოტა დააკლდა. დანარჩენ გუნდებზე მისი უპირატესობა კი აშკარა იყო. მათ ალბათ, მომავალში არ მოაკლდებათ ყურადღებაც, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძლიერი გუნდის ყოლა ჩვენი საკალათბურთო ცხოვრებისთვის აუცილებელია.

ასევე შეიძლება ითქვას უმდიდრესი საკალათბურთო ტრადიციების მქონე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდზეც. მართალია, სტუ ჯერჯერობით სათანადოდ ვერ შეებრძოლა კლასით უფრო მაღალ გუნდებს, მაგრამ ჩემპიონატში თავისი ადგილი დაიმკვიდრა და მომავალში ამ გუნდისგანაც გარკვეულ პროგრესს უნდა ველოდეთ.

თავისი შესაძლებლობის გათვალისწინებით კარგად ითამაშეს ჩემპიონატში „მაკაბისა" და „შევარდენის" გამოცდილმა გუნდებმა. ერთსაც და მეორესაც „გრძელი სკამის" უქონლობა უშლით ხელს, წინააღმდეგობა გაუწიონ უფრო ძლიერ გუნდებს. ამ ვითარებაში კი მათი ჩემპიონატში გამოსვლა დამაკმაყოფილებელია.

უდავო პროგრესს განიცდის არმიელთა ახალგაზრდული გუნდი. თბილისის ასკ-მ საპატიო მეექვსე ადგილი დაიკავა და თანაც ისე, რომ მთელი ჩემპიონატის მანძილზე დაამტკიცა თავისი უპირატესობა უძლიერესი ხუთეულის გარეთ მდგომ ყველა გუნდთან.

კარგად ითამაშეს დინამოს ახალგაზრდებმაც. ეს ყველაზე ტემპერამენტიანი და ჟინიანი გუნდი იყო გათამაშებაში და მათთან უკვე ისე ადვილად აღარ შეიძლებოდა გამარჯვება, როგორც ეს წინა წელს იყო. გასაგებია, მოთამაშეებს ერთი წლის გამოცდილება მოემატათ. თუმცა ისინი ჯერ კიდევ უფრო ჭაბუკურ აზარტულ კალათბურთს თამაშობენ და დაოსტატებამდე შორი გზა აქვთ.

თავის პოტენციურ შესაძლებლობებზე უარესად გამოვიდა სოხუმის „კოლხა". ამ გუნდში ნიჭიერი, პერსპექტიული მოთამაშენი გამოდიან, მაგრამ სეზონი მათთვის არასახარბიელოდ აეწყო. ბევრ შეხვედრაში „კოლხამ" უკანასკნელ წუთებში დათმო მატჩები და ამან გარკვეულწილად იმოქმედა გუნდის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ამ გუნდის მოთამაშეებს მიხედვა სჭირდებათ, შეიძლება მათგან კარგი დონის კალათბურთელები დადგნენ.

გულდასაწყვეტი ის იყო, რომ ისეთი დიდი საკალათბურთო ტრადიციების ქალაქის გუნდი, როგორიც ქუთაისია უკვე მერამდენედ დროზე ადრე წყვეტს ჩემპიონატს. ძალიან ცუდი იქნება, თუ შეწყდა წყარო, რომელიც ქართულ კალათბურთს, უმაღლესი კლასის მოთამაშეებით ამარაგებდა. სასწრაფოდ უნდა მიეხედოს ქუთაისურ კალათბურთს, რადგან იქ ამ სახეობის ჩაკვდომა, ფაქტიურად, მთელ დასავლეთ საქართველოში კალათბურთის განვითარების მოშლას ნიშნავს, ეს კი რა სავალალო შედეგს გამოიღებს, ყველასთვის ნათელია.

ძალიან გულდასაწყვეტი იყო საქართველოს ნაკრების ერთობ წარუმატებელი გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. სეზონის წინ ჩვენ სამეულში მოხვედრასაც ვარაუდობდით, მაგრამ არასახარბიელო სტარტმა ყველაფერი არია. ამას მთავარი მწვრთნელის გუნდიდან წასვლაც მოჰყვა და ახალ მწვრთნელებს, ფაქტობრივად, ყველაფერი ნულიდან აქვს დასაწყები. ნაკრების უხეირო გამოსვლამ მორალურადაც ცუდად იმოქმედა ჩვენს საკალათბურთო ცხოვრებაზე და ეს მდგომარეობაც სასწრაფოდაა გამოსასწორებელი.

ჩემპიონატი დასრულდა. ამ ცხელ კვალზე ნააზრევს სიღრმისეული ანალიზის პრეტენზია არა აქვს. ამას საფუძვლიანი ჩაფიქრება და გააზრება სჭირდება, ამიტომ ამ სეზონის გაკვეთილებს, რა თქმა უნდა, არაერთხელ დავუბრუნდებით. ჩვენი ჩემპიონატი საინტერესოდ კი ჩატარდა, მაგრამ პირველობაში მონაწილე გუნდების კლასი მაინც დაბალია. გასაუმჯობესებელია მსაჯობის დონეც. წელს ფედერაციამ გაამკაცრა ზომები უდისციპლინო მოთამაშეთა მიმართ და ამან გარკვეული შედეგი გამოიღო. მაგრამ ყველაფერი უარყოფითი ჯერ არ აღმოფხვრილა.

მე მაინც მგონია, რომ კალათბურთს საქართველოში ისეთი ღრმა ფესვები აქვს, არ შეიძლება, შევეგუოთ მის ამჟამინდელ დონეს. არადა, გვყავს ნიჭიერი მოთამაშეები, მოდიან პერსპექტიული ახალგაზრდებიც და სათანადო ხელშეწყობით შეიძლება იმის მიღწევა, რომ ჩვენმა ქვეყანამ მტკიცედ დაიმკვიდროს ადგილი ევროპის საკალათბურთო ქვეყნებს შორის. რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ უცებ გავუტოლდებით იუგოსლავიის, იტალიის, საბერძნეთისა და ესპანეთის ნაკრებებს, მაგრამ ჩეხეთის და შვედეთის დონის გუნდებთან საქართველოს ნაკრებმაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. ამის პოტენცია ჩვენს მოთამაშეებს აქვთ. ოღონდ ნაკრები და ჩვენი კალათბურთიც მარტო მოთამაშეების და მწვრთნელების ამარა არ უნდა დავტოვოთ. ამ საკითხს კომპლექსური მიდგომა სჭირდება, რადგან სპორტის ამ სახეობას, შეუძლია, უდიდესი სიხარული მოუტანოს გულშემატკივრებს.

გია აგლაძე

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

საქართველოს მე-7 ჩემპიონატის საუკეთესო ხუთეული

სარბიელის ვერსია



მამუკა აბრამიძე
ვითა

ეს სეზონი ისე ვერ ჩაატარა, როგორც შარშანდელი, სდასუში და ამის მიზეზი ტრავმებიც იყო. მაგრამ სეზონის ბოლოსთვის, როცა ვითელებმა მნიშვნელოვნად მოუმატეს, სწორედ ის იყო ერთ-ერთი ძირითადი მოთამაშე, ვინც გუნდის სათამაშო ტაქტიკას განსაზღვრავდა.

რამაზ გოგობერიშვილი
აზოტი

ჩინებულად ჩაატარა სეზონი და სტაბილურად მაღალ დონეზე ითამაშა. სწორედ მისმა თამაშმა მნიშვნელოვნად განაპირობა რუსთაველთა მაღალი ადგილი სეზონში.

თუ ნერვებს არ აყვება, მისი სახით საქართველოს ნაკრებს ძლიერი მოთამაშე შეემატება.



ვლადიმერ ბოისა
აზოტი

წლეულს საქართველოს სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში ითამაშა და ყველგან საუკეთესო იყო.

უკვე მოზრდილთა ნაკრების კარიც შეაღო, თუმცა მისი შესაძლებლობების მთლიანად გამოვლენას, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ დიდი დრო ესაჭიროება. უეჭველია, მისგან კალათბურთის ვარსკვლავი დადგება.

გია სანაძე
სდასუ

არათანაბრად თამაშობდა, მაგრამ სანაძე მაინც სანაძეა. მისი სამქულიანები ისევ ძველებურად ჭრის და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ბევრმა წაიტეხა კისერი.

იმ თამაშებში, როდესაც ჩვეულ ფორმაშია, მარტომ შეუძლია გადაწყვიტოს მატჩის ბედი.

ირაკლი ჯაფარიძე
აზოტი

წლეულს პრაქტიკულად კონკურენტი არ ჰყავდა თავის ამპლუაში და ამიტომ მისი პრობლემა მთლიანად ვერც ერთმა გუნდმა გადაწყვიტა. იმ მატჩებშიც, რომელიც არ გამოუვიდა 20-25 ქულა შესძინა გუნდს. რუსთაველთა წლევანდელ წარმატებულ სეზონში უდიდესი წვლილი შეიტანა.

ჩვენი აზრით, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე იყო.

აზოტი
დღევანდელი ვერცხლის პატრონი ხვალინდელ ოქროზეც ფიქრობს

წლევანდელ ჩემპიონატში რუსთავის „აზოტის" ასეთი პროგრესი საკალათბურთო კულუარებში ერთგვარ მოულოდნელობად აღიქვეს. გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატად წარმოგვიდგა და მთელი სეზონის მანძილზეც დამაჯერებლად ლიდერობდა. რუსთაველებმა საქართველოს ხუთგზის ჩემპიონ „ვითასთან" ბოლო წამებზეღა დათმეს შეხვედრა და საბოლოოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ... „აზოტის" მთავარ მწვრთნელს ოთარ ხმელიძეს ძირითადად განვლილ ჩემპიონატსა და გუნდის მომავალზე ვესაუბრეთ.



ოთარ ხმელიძე ჩვეულ ამპლუაში

— შარშანდელთან შედარებით „აზოტი" მნიშვნელოვნად შეიცვალა.

— საბერძნეთიდან დაბრუნდა ჩვენი სკოლის აღზრდილი რამაზ გოგობერიშვილი, რომელიც კარგად მოერგო გუნდს და ერთ-ერთ ლიდერადაც მოგვევლინა. რუსეთიდან ჩამოვიდა მიხეილ ბერუაშვილი, საკმაოდ გაიუმჯობესა სათამაშო კონდიციები ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისამაც.

— „აზოტმა" ჩინებულად ჩაატარა მთელი ჩემპიონატი, კარგად იყო მომზადებული ყველა კომპონენტში.

— ჩვენმა სპონსორმა, „აზოტის" ქარხნის ხელმძღვანელობამ ჩემპიონატისწინა მზადებისას კარგი პირობები შეგვიქმნა. გავიარეთ ორი შეკრება მანავსა და ურეკში, რამაც სასიკეთოდ იმოქმედა ბიჭებზე. გუნდი უფრო შეიკრა და შეთამაშდა.

— ჩემპიონატის ორივე წრე თითქმის დაუმარცხებლად განვლეთ. მხოლოდ უკანასკნელი ტურის ბოლო მატჩში დამარცხდით სდასუ-სთან. პლეი ოფის ნახევარფინალურ სერიაშიც სწორედ ამ გუნდთან მოგიხდათ დაპირისპირება. როგორ აღიქვით ეს ფაქტი და რა იღონეთ სდასუ-ს წინააღმდეგ?

— სდასუ არავისზე ნაკლები გუნდი არაა, მეტი თუ არა. მათთან თამაშისას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ გუნდის ვეტერანებს — გია სანაძესა და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილს. მჭიდროდ ვმეურვეობდით ოთიურიძეს და გიორგი ჩხეიძეს. ბიჭებმა კარგად გაართვეს თავი ამოცანას. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ადვილი ბრძოლა იყო.

— მერე იყო უმძიმესი ფინალური მატჩები „ვითასთან".

— უპირველესად მინდა, გამარჯვება მივულოცო „ვითას". მათი სახით მართლაც რომ ღირსეული მეტოქე გვყავდა. ნურავის ეწყინება, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ პოტენციურად ჩემი გუნდი უფრო ძლიერია და რომ არა მსაჯების საბედისწერო შეცდომები, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებოდა.

— ამასწინათ „ვითამ" მოაწყო პრესკონფერენცია, სადაც ბევრი ითქვა ქურიძის მსაჯობაზე. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე და საერთოდ, როგორ შეაფასებდით მსაჯობის დონეს?

— სამწუხაროდ, ზოგიერთი პრივილეგირებული გუნდი ჩვეულია მსაჯების მფარველობას. ერთადერთი, ვისზეც გავლენა ვერ მოახდინეს, მურმან ქურიძეა. რაც შეეხება შეცდომებს, ისინი ორმხრივი იყო. მიკერძოებაზე საუბარი კი უსაფუძვლოა. რატომ დუმან, როცა ბერძენ მსაჯზე მიდგება საქმე? ბოისაზე მეოთხე და მეხუთე პერსონალურები მისი ფანტაზიის ნაყოფია, გოგობერიშვილი საერთოდ არ შეხებია დავითულიანს ბოლო წუთზე, როდესაც ალეკომ ორი ჯარიმა ჩააგდო და მატჩის ბედიც გადაწყვიტა, უსამართლოდ არ ჩაუთვალეს ბურთი ჩაჩუას...

საერთოდ, მეტად საწყენია — დამარცხებულებს მსაჯობაზე ხმა არ ამოგვიღია და იმის მაგივრად, რომ ჩვენი გვაკმარონ, მაინც ხმაურობენ. სამწუხაროდ, ამ მატჩის ვიდეოჩანაწერი არ გვაქვს ხელთ. კი ბატონო, ნებისმიერ დროს შევიკრიბოთ კალათბურთის სპეციალისტები, დავსხდეთ და გავარჩიოთ. თუკი ვინმეს უნდა ჰქონდეს პრეტენზია მსაჯობაზე, უპირველესად, ჩვენ. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. რაც შეეხება პრესკონფერენციას, ეს უფრო საზოგადოების თვალში რეაბილიტაციას ჰგავდა.

— „აზოტს" ზედმეტად ემოციურ გუნდად მიიჩნევენ, რის გამოც იგი ბევრს აგებს. ბოლო შეხვედრებში თქვენ უფრო დაწყნარებულები ჩანდით. რამ იმოქმედა თქვენზე?

— ემოციები ისევ და ისევ მსაჯების დაბალი კვალიფიკაციიდან გამომდინარეობდა. სხვები თუ თვალთმაქცობდნენ, ლანძღავდნენ, ემუქრებოდნენ, ჩემები პროტესტის ნიშნად ხელებს შლიდნენ და ხალხიც ამას ხედავდა. მთლიანობაში კი მსაჯებით ყველა უკმაყოფილოა. სულ ოთხი-ხუთი მსაჯი გვყავს და ფედერაციამაც ყველანაირად ხელი უნდა შეუწყოს მათ დაოსტატებას. თავის მხრივ, მსაჯმაც პასუხი უნდა აგოს თავის საქციელზე. უბედურება ისაა, რომ ცხოვრებაში არც ერთ დაჯგუფებას არ ვეკუთვნი. თავს ზემოთ ძალა არ იყო, უნდა დავმშვიდებულიყავით. მით უმეტეს, ფედერაციასაც გაფრთხილებულები ვყავდით, მაგრამ რაც ბოლო მატჩში „ვითამ" ჩაიდინა, ჩვენ რომ გაგვეკეთებინა, უმკაცრესი სასჯელი არ აგვცდებოდა.

— გუნდს ძალიან დააკლდა ზაზა გაბისონია.

— გეთანხმებით. ზაზამ ფინალური სერიის მეორე მატჩში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო, რამაც გუნდის პოტენციალი დაახლოებით 30%-ით დააქვეითა. მოგეხსენებათ, გაბისონია გუნდის წამყვანი გამთამაშებელია და ყველა კომბინაციას იგი იწყებდა. ზაზას ტრავმამ მაიძულა, ახალბედა ლევან ჩაჩუა მეთამაშებინა, რომელსაც თორმეტ კაცშიც კი უჭირდა მოხვედრა. ლევანი თავისი ასაკის კვალობაზე ჩინებულად გაისარჯა და დაამტკიცა, რომ ნიჭიერი კალათბურთელია. მისი დიდი მადლობელი ვარ. ზაზა გაბისონიაზე კი კიდევ იმას ვიტყვი, რომ მისი სახით გუნდმა არა მარტო კალათბურთელი დაკარგა, „აზოტს" თავდადების, შემართების, ვაჟკაცობის მაგალითი მოაკლდა. გაბისონიამ საკმაოდ მაღალ დონეზე ჩაატარა მთელი ჩემპიონატი და რომ არა ეს უიღბლობა, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებდით. ვფიქრობ, თავისი ამპლუის მოთამაშეთა შორის ზაზა საუკეთესოა საქართველოში.

— ეროვნულ ნაკრებში სამი კალათბურთელის ყოფნა ნებისმიერი მწვრთნელისთვის დიდი სტიმულია.

— მოხარული ვარ, რომ ნაკრების ხელმძღვანელობამ შეამჩნია ჩემი ბიჭები. მიმაჩნია, რომ სამივე — ჯაფარიძე, გოგობერიშვილი და ბოისა ნამდვილად იმსახურებენ ამას და მწვრთნელები თუ მეტად ენდობიან, ისინი აუცილებლად გაამართლებენ მათ იმედებს. განსაკუთრებით გოგობერიშვილზე მინდა გავამახვილო ყურადღება. რამაზი ერთადერთი მოთამაშეა, რომელსაც აქვს თვისება — რაც უფრო საპასუხისმგებლოა მატჩი, მით უფრო შეუპოვარია და ძლიერია.

— მითქმა-მოთქმა არ წყდება ვოვა ბოისას შესაძლო ტრანსფერზე. ალბათ, სიმართლეს არ დაგვიმალავთ. საერთოდაც, რას ფიქრობთ მის წასვლაზე?

— ბოისას ჩვენი კლუბი არ ანთავისუფლებს „უბრალო" მიზეზის გამო. მისით დაინტერესებულმა კლუბმა, სლოვენიის „ოლიმპიამ" ჩვენგან დამოუკიდებლად, პირადად გაუმართა მას მოლაპარაკება და პირობა წაუყენა — თუ ჩამოხვალ, კონტრაქტზეც მოგაწერინებთ ხელსო. გამოდის, რომ მისი წასვლის შემთხვევაში იგი თავისუფალი აგენტი ხდება, ჩვენ კი მოტყუებულები ვრჩებით. ასე არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. ჩვენ ამ ყმაწვილზე გაწეული შრომის კომპენსაციას მოვითხოვთ. იმას, რაც კანონის ძალით გვეკუთვნის. ცნობისთვის: ბოისას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს, რომლის თანახმადაც იგი კიდევ წელიწადი და სამი თვე კლუბის საკუთრებაა და არსად წასვლის უფლება არა აქვს. გასათვალისწინებელია ის პირობები, რაც ჩვენ მას შევუქმენით. მას ჩემზე ექვსჯერ მეტი ხელფასი აქვს, რომელსაც სტაბილურად აძლევენ. ისე არ გამიგოთ, თითქოს მისი წასვლის წინააღმდეგი ვიყო, უბრალოდ, ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, როგორც წესი და რიგია. ვინ დამიჯერებს, რომ მასში ფული არ ამიღია? წავიდეს, ბატონო, ოღონდ გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც მოთამაშის, ასევე კლუბისა და ქვეყნის ინტერესები.

— ბატონო ოთარ, თქვენ გაქვთ უფლება, იასპარეზოთ კორაჩის თასზე. თუ დასახეთ უკვე რამე გეგმები, თუ გაქვთ ინფორმაცია გუნდიდან წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაზე და საერთოდ, ვინ წყვეტს ამ საკითხს?

— ჩვენი მონაწილეობა კორაჩის თასზე მთლიანად დამოკიდებულია ჩვენს სპონსორებზე, რომლებმაც მხარდაჭერა აღგვითქვეს. აქვე დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქალაქისა და ქარხნის ხელმძღვანელებს, რომლებიც ყოველთვის გვერდში გვედგნენ. ქალაქის მერიამ პრემიაც გამოგვიყო — ორი ათასი ლარი მთელ გუნდს. მივიღეთ დავალება — „აზოტი" გაძლიერდეს და გაისადაც დიდი მიზნებისთვის იბრძოლოს, რაც შეეხება წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობას, არანაირი ინფორმაცია არ გამაჩნია. ვისაც უნდა, წავიდეს, ძალით არავის ვიჭერთ. ოღონდ ეს კანონის ფარგლებში უნდა მოხდეს, უკანონობას არავის ვაპატიებთ. ევროპაში გასვლა კი ჩემთვისაც და მოთამაშეებისთვისაც დიდი სტიმული იქნება.

— მოდით, ბავშვთა კალათბურთზეც ვთქვათ. დღეისათვის ქართული კალათბურთი ვეღარ მარაგდება ქუთაისელი ჭაბუკებით, როგორც ეს წლების განმავლობაში იყო. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტია, რომ ამ მხრივ იმერლებს რუსთავმა გაასწრო, რაც თავისთავად ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფია. როგორ ახერხებთ ყოველივეს?

— საერთოდ, ბავშვთა კალათბურთი ცალკე საუბრის თემაა. ჩემი თხოვნაა, ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება დაუთმოთ ამ საკითხებს, რადგან სწორედ ამაზეა დაფუძნებული ჩვენი კალათბურთის მომავალი. რუსთავში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტის ეს სახეობა. ჩვენს კლუბში ჩემს გარდა ორი ახალგაზრდა, ენერგიული მწვრთნელი მუშაობს — გურამ რეხვიაშვილი და მალხაზ არაბული. ისინიც ჩემი ყოფილი მოსწავლეები არიან. ჩვენ დიდი მონდომებით და რუდუნებით ვასწავლით ყმაწვილებს კალათბურთის ანბანს. გვყავს რვა ჯგუფი. თითქმის ყველა ასაკის პატარები. ისინი სხვადასხვა პირველობებში მონაწილეობენ და წარმატებითაც. არა მგონია, ოლიმპიური რეზერვის სკოლის გარდა ვინმე გვჯობნიდეს.

— რამეს ხომ არ დაამატებდით?

— ჩემპიონატი ახლახან დამთავრდა და აზრებით კვლავ იქ ვტრიალებ. დასანანია, ასეთი ხელსაყრელი შანსი რომ გავუშვით ხელიდან. ჩვენგან ხომ ყველა გამარჯვებას ითხოვდა, თუმცა მეორე ადგილიც ერთობ საპატიოა და ამასაც ჩვენი ქალაქის გამარჯვებად მივიჩნევ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს, რომელთა თანადგომა და ერთგულება წუთითაც არ მოგვკლებია. დამეთანხმებით, დედაქალაქის არც ერთ სპორტულ ღონისძიებაზე არ შეკრებილა ამდენი ქომაგი თავისი გუნდის მხარდასაჭერად. ეს რუსთაველებმა შეძლეს.

დაბოლოს, მინდა მოვუბოდიშო მთელ საზოგადოებას, რომლის იმედებიც ვერ გავამართლეთ. გპირდებით, თავს არ დავზოგავთ, რათა საქართველოს ჩემპიონობით უდიდესი სიხარული მოგანიჭოთ.

გიორგი ბიძაშვილი

აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალები

მაიკლ ჯორდანი

13 მაისი

ინდიანა 4 ნიუ იორკი 1
ინდიანა 99:88 ნიუ იორკი

ინდიანა: ჯეკსონი (22), მილერი (8), დ. დევისი (5), სმიტსი (22), ა. დევისი (12), მაკკიი (2), როუზი (2), ბესტი (2)
ნიუ იორკი: უორდი (5), ჰიუსტონი (33), ჯონსონი (17), ოკლი (2), იუინგი (10), სტარქსი (12), მილზი (5), ჩილდსი (4), დადლი.

ჩიკაგო 4 შარლოტი 1
ჩიკაგო 93:84 შარლოტი

ჩიკაგო: ჰარპერი (4), ჯორდანი (33), პიპენი (16), როდმანი (8), ლონგლი (11), კერი (15), კუკოჩი (2), უენინგტონი (2), ბარელი, ბრაუნი.
შარლოტი: უესლი (16), ფილზი, რაისი (30), მეისონი (16), დივაცი, (9), ბეკი (6), არმსტრონგი (5), კარი (2), სიდი



ჩიკაგო — შარლოტი. პიპენი (შუაში) ჯორდანს რაისის ცემას არ ანებებს

გაირკვა აღმოსავლეთის მეორე ფინალისტი. ინდიანა ბოლო ხუთ წელიწადში იქ მეხუთედ მოხვდა. ინდიანელმა მარდებმა, ისევე როგორც ჩიკაგომ, იუტამ და ლეიკერსმა, ხუთ თამაშში მოითავეს საქმე, თან ისე, რომ ნიუ იორკთან თავიანთი უპირატესობა ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ. ლარი ბერდის ბიჭებმა უპრობლემოდ სძლიეს მაიამისთან ომში გადაღლილი ნიუ იორკს. ინდიანა მატჩის დაწყებისთანავე დაწინაურდა და რამდენიმე ქულიანი უპირატესობა ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან. კარგად ითამაშეს გუნდის ოლსტარელებმა — რეჯი მილერმა და რიკ სმიტსმა. ამ უკანასკნელმა ახალგამოჯანმრთელებულ იუინგს აშკარად აჯობა, მაგრამ უფრო უკეთესად გუნდის გამთამაშებელი მარკ ჯეკსონი გაისარჯა, რომელმაც 22 ქულასთან ერთად 14 მოხსნა და 13 პასიც მიითვალა და თავის თორმეტწლიან კარიერაში პირველი თრიფლ-დაბლი გაახერხა. ამგვარად, აღმოსავლურ ფინალში ინდიანა და ჩიკაგო პლეი ოფში პირველად შეერკინებიან ერთმანეთს.

ინდიანა — ნიუ იორკი. რეჯი მილერი გულშემატკივრებს ესალმება

მეხუთე თამაშში წყალწაღებულმა შარლოტმა ბოლოჯერ გაიფართხალა და ჩიკაგოს ასე თუ ისე წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ოცნება, არსებობის ისტორიაში პირველად გასულიყო აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში, ოცნებადვე დარჩა. მისი გამაბითურებელი ჩიკაგო კი იქ ბოლო ათ წელიწადში მერვედ მოხვდა და ამისათვის ოფლიც ბლომად დაღვარა. შარლოტელებმა მატჩი დიდი მონდომებით დაიწყეს და რაისის ძალისხმევით კარგა ხანს ლიდერობდნენ, მაგრამ ჯორდანმა და კომპანიამ ტკბობა არ აცალეს. მატჩი დაძაბულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა. დროის ამოწურვამდე ორიოდ წუთით ადრე არბიტრმა ჯორდანი და რაისი ტექნიკურით „დაასაჩუქრა", რადგან ერთმანეთს ლამის ყბები დაულეწეს. მანამდე კი შარლოტელი კარი მიაბრძანა მოედნიდან, მაგრამ ამ გაწევ-გამოწევამ მატჩზე გავლენა არ იქონია. მასპინძლებმა მეტოქე ფარქვეშაც 47:31 დაჩაგრეს, რაშიც ლომის წილი ჩიკაგოს გიჟმაჟმა თავდამსხმელმა დენის როდმანმა დაიდო. იგი წინა დღეს 37 წლისა გახდა და ეს თარიღი 21 მოხსნით აღნიშნა.

ირაკლი ფირაშვილი

ბერდი მწვრთნელობაშიც მაგარია

ლარი ბერდი

სამშაბათს, 12 მაისს, 116-მა ჟურნალისტმა დაასახელა წლის საუკეთესო მწვრთნელი. ეს ტიტული ინდიანას დამრიგებელს, ლეგენდარულ ლარი ბერდს ერგო. მან 50 ხმა მიიღო და მნიშვნელოვნად გადაუსწრო იუტას თავკაც ჯერი სლოუნს (29 ხმა), ამასთან იგი ლიგაში მხოლოდ მეოთხეა, ვინც პირველივე წელს გამხდარა კოლეგათა შორის საუკეთესო. შარშანდელი სეზონის ჩავარდნის შემდეგ (გასულ სეზონში ინდიანამ 39 მოგებული მატჩით აღმოსავლეთში მეათე ადგილი დაიკავა და რვა სეზონში პირველად პლეი ოფის მიღმა აღმოჩნდა) გუნდში ლარი ბერდი მივიდა და იგი ხელახლა ააღორძინა. თან ისე, რომ მხოლოდ ვეტერანი კრის მულინი დაიმატა. ინდიანამ თავის ისტორიაში სარეკორდოდ ბევრი, 58 თამაში მოიგო და პლეი ოფშიც იოლად დაჯაბნა ჯერ კლივლენდი, მერე ნიუ იორკი და ახლა ჯორდანის ჩიკაგოს ემუქრება. მანამდე კი ბერდმა აღმოსავლეთის გუნდს უსარდლა „ოლ სტარის" მატჩში.

გამოკითხვის შედეგები კი ასეთია — ლარი ბერდი (ინდიანა, 50 ხმა), ჯერი სლოუნი (იუტა, 29), მაიკ ფრატელო (კლივლენდი, 15), პატ რაილი (მაიამი, 5), დენი ეინჯი (ფინიქსი, 4), ჯორჯ კარლი (სიეტლი, 4), ფილ ჯეკსონი (ჩიკაგო, 3), რიკ პიტინო (ბოსტონი, 3), ჩაკ დეილი (ორლანდო, 1), ჯონ კალიპარი (ნიუ ჯერსი, 1), ჯეფ ვან განდი (ნიუ იორკი, 1).

ახალბედებმა გუნდები შექმნეს

12 მაისსვე დასახელდა NBA-ს ახალბედათა ხუთეულები. პირველში შევიდნენ მათ შორის საუკეთესო ტიმ დანკანი (სან ანტონიო), კიტ ვან ჰორნი (ნიუ ჯერსი), რონ მერსერი (ბოსტონი) და ორი კლივლენდელი — ზიდრუნას ილგაუსკასი და ბრევინ ნაითი. მეორე ხუთეულშიც ორი კლივლენდელია — დერიკ ანდერსონი და სედრიკ ჰენდერსონი. დანარჩენი სამი ადგილი კლიპერსელმა მორის ტეილორმა, ფილადელფიელმა ტიმ ტომასმა და დენვერელმა ბობი ჯეკსონმა დაიკავეს.

მაიკლ ბერკოვიცის რჩეული საკრივო ფურცლები

ფურცელი მეცამეტე

ძველ ნევადაში წმინდა პატრიკის დღეს

დილით

ორიკვირისწინანდელ ამბავს ვუბრუნდებით, სადაც მძიმე წონის ჩემპიონ კორბეტსა და საშუალოწონოსან პრეტენდენტ ფიცსიმონსის დიადი შერკინების წინაპირობები იყო აღწერილი.

ამ ჯერზე, ორთაბრძოლის დღის, 1897 წლის 17 მარტის ამბავს მოგითხრობთ, ფიცსისა და კორბეტის დიდ შეყრას აღვწერთ.

ეს იყო ნევადაში, ქალაქ კარსონ სიტიში,

ის დღე გამოვიდა უღრუბლო, მზიანი და საკმაოდ ცხელი.

გაზეთ „ნიუ იორკ უორლდში" ჭიდილის გაშუქება დაევალა განთქმულ მოკრივეს ჯონ სალივანს, რომელსაც, რა დასამალია და, წერაში ნიუ-იორკელი ჟურნალისტი ეხმარებოდა. თუმცა, სალივანმა მაინც მოახერხა და ეფექტური წინადადება წამოისროლა: „საუკუნის ბრძოლა საუკუნის მიწურულს უნდა გაიმართოს ამერიკის გულში".

კარსონ სიტიში დილიდანვე ხმაური იყო. ორმა საგანგებო მატარებელმა მოსერენი ჩამოიყვანა სან ფრანცისკოდან და რენოდან. კოვბოები და მეჯოგეები ცხენებით შემოჯირითდნენ ქალაქში, ინდიელთა ახლომახლო რეზერვაციები დაცარიელდა. მთებიდან მაღაროელი მუშები დაეშვნენ.

პრომოუტერი დენ სტიუარტი უკვე შიშობდა, ზღვა ხალხმა ქალაქის შუაგულში წამოჭიმული არენა არ მილეწ-მოლეწოს და ჩხუბი არ ჩამეშალოსო. გამოთვლილი ჰქონდა, რომ სანახაობის შემოსავალი მაყურებელთა მხრიდან 22 ათასი დოლარი ყოფილიყო.



ასე დაიწყო ფიცსისა (მარცხნივ) და კორბეტის ორთაბრძოლა

ამ თანხიდან 16,500 მოკრივეებს რჩებოდათ, მაგრამ ჯეიმს კორბეტსა და ბობ ფიცსიმონსს ერთმანეთშიც „გაემაზათ" ბრძოლა 2500 დოლარზე.

არენა დილის ათ საათზევე გაივსო, რადგან დიდ შერკინებას წესისამებრ „ანდერქარდი" — ნაკლებადცნობილ მოკრივეთა ჩხუბები უძღვოდა წინ. მცირე წონაში დალ ჰოკინსმა პირველსავე რაუნდში დააგდო მარტინ ფლაჰერტის. შემდეგ ბილი სმიტი და ჯორჯ „იანგ კორბეტ" გრინი გამოვიდნენ. ეს გვარიანი ბრძოლა გამოვიდა და სმითი სასტიკად გაილახა. მეთორმეტე რაუნდში მისი კუთხიდან პირსახოცი გადმოაგდეს და ხელმოტეხილი და ცხვირპირდასისხლიანებული მოკრივე ასელა გაიყვანეს რინგიდან.

ამის შემდეგ არენაზე გვარიანი პაუზა ჩამოწვა. აბა ვინ განსაზღვრავდა, რომ პირველი შერკინება ორ წუთში მოთავდებოდა?

მთავარი ბრძოლა ნაშუადღევისთვის იყო გამოცხადებული.

გამოსვლა

შუადღე იყო, როცა რინგზე ფიცსი გამოჩნდა.

ჯერ 34 წლისაც არ იყო, მაგრამ უფრო ხნოვან კაცს ჰგავდა, ალბათ, შეთხელებული თმის გამო. ძველ ქაღალდებში დარჩენილია ფიცსის ფოტოები, ძველი მწერლები წერენ, რომ მას არაპროპორციული, ოდნავ სასაცილო სხეულიც კი ჰქონდა: ბეჭებგანიერი, დაკუნთული ტანი საოცრად წვრილ, თითქოს ძალაგამოცლილ ფეხებზე იდგა.

მჭედელს ჰგავდაო, მჭედელს ემგვანებოდა აბა რა, ის კუნთები სულ ბიჭობაში დაეყენებინა, როცა ახალ ზელანდიაში ცხოვრობდა და მჭედლის შეგირდადაც მუშაობდა. ერთხელ ჯეფერსმა თქვა, ფიცსი ოჩოფეხებზე შემდგარი ფოლადის მანქანააო.

წონით ფიცსი 167 გირვანქა იყო, მაგრამ როგორც ბრძოლის შემდეგ დაწერა „ნიუ იორკ ჯორნალის" რეპორტიორმა და ფიცსის ბანაკის არაოფიციალურმა წევრმა ბობ დევისმა, შერკინებისთვის მზადების პროცესში ფიცსი კიდევ უფრო გახდა და იმ შუადღით 156 გირვანქას იწონიდა.

ცოტახნის შემდეგ რინგზე კორბეტიც ამოვიდა. ის ფიცზე მაღალიც იყო და მძიმეც (183 გირვანქა). არც იყო გასაკვირი, მძიმეწონოსანი გახლდათ. ხალხი ჟრიამულით შეეგება მძიმე წონის ჩემპიონს. ის სახალხო გმირად აღიქმებოდა და ლამაზი, ქოჩორგადავარცხნილი ჯეელი გახლდათ. 30 წლისა იყო და პუბლიკას კერპად ჰყავდა. მერე კორბეტი ბროდვეიზეც კი გამოჩნდა ერთ-ორ სპექტაკლში.

მეფსონეებიც კორბეტის მხარეს იდგნენ — 10/6-ზე გამოეყვანათ მის სასარგებლოდ.

კორბეტი რინგზე ამოვიდა და თავის კუთხეში გაჩერდა, ფიცსი კი მის ცხვირწინ გადი-გამოდიოდა მუშტებდაღერებული.

და რეფერი ვინ იყო?

უსახელგანთქმულესი ჯორჯ სილერი ქალაქ ჩიკაგოდან, რომლის შესახებაც ამბობდნენ, პოპულარობით მესამე კაცია ქვეყანაშიო.

და როცა სილერმა რინგის შუაგულში მოიხმო მოკრივენი, მათ ხელის ჩამორთმევაზე უარი თქვეს. სამაგიეროდ დათანხმდნენ საჩვენებელ მუშტების დაღერებაზე და ედისონის კინოაპარატის წინაც გაირინდნენ რეფერისთან ერთად. ისტორიამ შემოინახა ეს კადრი: შუაში სილერი დგას შავ ჟილეტსა და შავ კეპში. აქეთ კორბეტი უდგას მოკლე რუხ მოსაცმელში და იმგვარად მოკლე და შემოტმასნილ ტრუსებში, რომ ნახევარი გავა სახალხოდ უჩანს, იქეთ კი იაპონურ ხალათში გამოწყობილი ფიცსია, რომელსაც ხელები ამ ხალათის ჯიბეებში ჩაუწყვია.

ბარემ ჩაცმულობის ფერებზეც ითქვას: კორბეტის ვიწრო ტრუსები ხასხასა მწვანე და ექსტრავაგანტური იყო. ფიცს კი უფრო კონსერვატიულად ეცვა — მუქი ლურჯი ტრუსი. კორბეტს ქამარი არ ეკეთა, ფიცსის ქამარი ამერიკის დროშის იერით იყო გაწყობილი. ამას სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა, ინგლისში დაბადებული ფიცსი ახალ ზელანდიაში იზრდებოდა და ამერიკის მოქალაქეობა ახლაღა მიეღო.

შემდეგ ისინი კუთხეებისკენ წავიდნენ და ცოტა ხანში გონგსაც ჰკრეს, სილერმა ორივე შუაგულში მოიხმო და „ბოქს!" დასძახა.

საქმე

კორბეტი ფეხისწვერებზე ცეკვით ათამაშდა: მარჯვენათი ნიკაპს იფარავდა, მარცხენას მოსაქნევად ამზადებდა. ფიცსი პირდაპირვე ეკვეთა და უნდოდა ტანში დაეცა მუშტები, მაგრამ კორბეტმა სხრატად მოკვეთა მისი ჯები და სწრაფად დააყარა მარცხნიდან და მარჯვნიდან. იმის გათვალისწინებით, რომ სამი წელიწადი იყო არ ეჩხუბა, მშვენივრად ირჯებოდა და რაუნდიც მის სასარგებლოდ იყო.

კორბეტმა მეორე რაუნდიც მოიგო. რაუნდის ბოლოს კუთხეში მიიმწყვდია ფიცსი და ორი საშინელი ძალის ჰუკი ჰკრა მუცელში.

ფიცსმა მესამე და მეოთხე რაუნდებში სცადა ვითარების შეცვლა, მაგრამ ვერაფერს გახდა. კორბეტი საუცხოოდ იფარავდა სხეულს და კიდევ უფრო საუცხოოდ პასუხობდა. მეოთხე რაუნდის მიწურულს მან მძიმეწონოსნისთვის წარმოუდგენელი სისწრაფით მოარტყა მარჯვენა მუცელში ფიცს და ამას წყილი ცაცია მიაყოლა ყბაში.

მოგვიანებით ფიცსი იტყვის: „მისი სისწრაფე ზღაპრულია. არ მეგონა, თუ ვინმე ამდენ მუშტს მომარტყამდა".

მეხუთეში ისინი ძიძგილაობდნენ. ფიცსს შეეძლო ტანში დარტყმა, მაგრამ ოსტატობა კვლავ კორბეტისა გამოჩნდა. მისმა მარჯვენა-მარცხენამ ცხვირიდან სისხლი გაადინა პრეტენდენტს და იქვე ყბაშიც უმარჯვა. რაუნდის მიწურულს ფიცს ცხვირიდანაც და პირიდანაც სისხლი სდიოდა.

მეექვსე რაუნდში კორბეტმა მოწინააღმდეგის სისხლისდენა განაგრძო თავისი ჯებით. და აზარბაცებულ ფიცსს მარჯვენა აპერკოტი ამოსხო. ფიცსმა თავში დარტყმა სცადა, მაგრამ მხოლოდ ჰაერს გაუქნია და საპასუხოდ მკვლელი მარჯვენა მიიღო ნიკაპში.

ფიცსი მოკვდა, უფრო სწორად, წაიქცა და აღარავის ეგონა, რომ წამოდგებოდა.

რეფერიმ თვლა დაიწყო, სისხლით მოთხვრილი ფიცსი კი რინგზე ბობღავდა.

საკვირველი იყო, მაგრამ მეცხრე შემახილზე კორბეტი წამოიმართა და რის ვაინაჩრობით მიაღწია რაუნდის ბოლომდე.

შესვენებისას ფიცსის შანსები კიდევ უფრო დაეცა, ახლა მხოლოდ 10/4-ზე იდებოდა ნაძლევები.

ფიცსი გაჭირვებით სუნთქავდა. სამწვრთნელო შტაბი და მისი მეუღლე როუზი ყველანაირად ამხნევებდნენ და ჰოი საოცრებავ, ერთი წუთი საკმარისი შეიქნა, რომ პრეტენდენტს სული მოეთქვა.

მეშვიდე რაუნდში ფიცსმა ჯიუტად განაგრძო ჭიდილი ბრძოლის ჩარხის უკუღმა დასატრიალებლად. ის მანქანასავით ამუშავდა და თავისი მოუღლელი მარჯვენით სულ უფრო და უფრო ზუსტად სცემდა თავ-პირსა და ტანზე ჩემპიონს. მეშვიდე რაუნდში დაწყებული საქმე მეცხრესა და მეათეში ფართოდ გაიხსნა და მეათე რაუნდის დასრულების გონგი რომ გაისმა, კორბეტი დაბნეული და შეშფოთებული ჩანდა.

საკვირველი არ იყო? ოთხი რაუნდის წინ კორბეტს ნოკაუტით უნდა მოეგო.

მეთერთმეტეში კორბეტმა კვლავ გაადინა სისხლი ფიცს, მაგრამ ამან საუცხოოდ ამოარტყა მუცელში. მეთორმეტე, დარტყმების გაცვლის რაუნდი იყო.

მეცამეტეში კი ფიცსი შეუვალი შეიქნა. მან თოკებთან მიამწყვდია ჩემპიონი და ისეთი დასცხო, რომ კორბეტს ერთ-ერთი ოქროს კბილი გამოუფრინდა პირიდან და აღრიალებული არენის პირველ რიგებში ჩავარდა. ამის მიუხედავად, კორბეტმა ღირსეულად დაასრულა რაუნდი და გამართული ნაბიჯით წავიდა თავისი კუთხისკენ.

მეთოთხმეტე რაუნდი რომ დაიწყო, ცხადი შეიქნა, რომ კორბეტს ფიცსის კბილების დათვლა გადაეწყვიტა და სწორედ კბილებში ურტყამდა. ფიცსმა ერთი გაიქნია ჰაერში და შემდეგი მისი დარტყმები ზუსტი იყო. კორბეტი დაცვას ცდილობდა.

შემდეგ კი იყო დარტყმა, რომლის ხმაც მთელმა სამყარომ გაიგო.

ის დარტყმა

კორბეტმა ჰუკს მოქნევა გადაწყვიტა. ფიცსმა თავისი მარჯვენა შეაგება ამ ჰუკს. ამ წამს ფიცსი იმგვარად იდგა, რომ თავისი მარჯვენა ფეხი მარცხენაზე წინ ჰქონდა. ჰუკი მოიშორა თუ არა, ფიცსმა ძალმოსილი ცაცია ამოჰკრა მუცელში კორბეტს და ნახევარი წამიც არ გასულა, რომ იგივ ცაცია ყბაში დაჰკრა კორბეტს.

თითქოს ქარისგან იცავს თავსო, კორბეტი მოიკუნტა, მუშტები სახეზე აიფარა და ნელა ჩაიკეცა. სუნთქვაშეკრული იყო, ცდილობდა ამოესუნთქა და წამომართულიყო. ერთი ხელით თოკებს ეჭიდებოდა რინგის კუთხეში, მეორეთი კი მუხლს ეყრდნობოდა.

სილერი ითვლიდა.

სიტყვა „რვაზე" კორბეტი თითქოს წამოიმართა, მაგრამ მალევე გაისმა მეგონგე უილიამ მალდუნის ხმა: „Ten and out".

მეთორმეტე რაუნდის დაწყებიდან გასული იყო წუთი და 40 წამი.

მსოფლიოს მძიმე წონის ჩემპიონად კი ქცეულიყო საშუალოწონოსანი ბობ ფიცსიმონსი.

დიალოგი

როდესაც ფიცსის მწვრთნელმა მარტინ ჯულიანმა პირსახოცი აიქნია, გავიმარჯვეთო, კორბეტი უკვე ფეხზე იყო. ფიცსი თავის კუთხეში იდგა ხელებაღმართული, კორბეტისგან ზურგით. დამარცხებული ჩემპიონი მისკენ გაქანდა. კორბეტის მენეჯერი ბილ ბრედი და ერთ-ერთი მწვრთნელი ჩარლი ვაიტი თითქოს მიხვდნენ რა უნდა მომხდარიყო და რინგზე ამოხტნენ, მაგრამ გვიან იყო, კორბეტმა უკნიდან დასცხო ფიცს და დააგდო. ფიცსი, უფრო გაკვირვებული, ვიდრე ნატკენი სეკუნდანტებმა წამოაყენეს და სწორედ ამ დროს გაისმა გამომცხადების ხმა: „ფიცსიმონსმა გაიმარჯვა!"

მარცხით ტიტულის დაკარგვით გაშმაგებული კორბეტი კი ვერ წყნარდებოდა.

ის ფიცსს მიეჭრა და შეუყვირა:

„ჩვენ კიდევ უნდა ვიჩხუბოთ. მე ბოლოს მოგიღებ!"

პასუხად ფიცსმა ხელი გაუწოდა და კორბეტმა, ყველას გასაოცრად, ჩამოართვა.

ალბათ, რემატჩის იმედით.

„მე ვამთავრებ", — მიუგო ფიცსმა, — „რინგი აღარ მაინტერესებს".

„თუ რინგზე არ შემხვდები", — უღრიალა კორბეტმა, — „ქუჩაში გაგისწორდები".

ფიცსის პასუხი შესაბამისი იყო: „არსად დამიდარაჯდე, თორემ მოგკლავ. ჩვენი წიგნი უკვე დაიხურა".

ორიოდ წუთში კორბეტმა რეპორტიორებს უთხრა: „განა ეს ნოკაუტი იყო? ერთი მომიცაცუნა და შემთხვევით წავიქეცი".

ფიცსმა ყური მოჰკრა ამ სიტყვებს და გასძახა: „ეს არ იყო მოცაცუნება. მე ამას ვამზადებდი. ამ დარტყმით წავაქციე ტომ შარკი სან ფრანცისკოში. ოღონდ, მაშინ ორპირი რეფერი გვსჯიდა..."

ასე ჩათავდა წმინდა პატრიკის დღე.

მათი გზა

მეორე დილით ამერიკულმა გაზეთებმა ახალი მსოფლიო ჩემპიონის დაბადება ამცნეს ქვეყანას. იმავ გაზეთებში დაიბეჭდა ბობ ფიცსიმონსის წერილიც, კრივს თავს ვანებებო. ეს უცნაური იყო, მსოფლიო ჩემპიონს თან მიჰქონდა თავისი ტიტული და მიდიოდა. მაშინ არ არსებობდა ტიტულის ჩამორთმევის მექანიზმი, ფიცსი კი ფეხი ფეხზე გადადებული ცხოვრობდა და გამოწვევებს არად აგდებდა.

- მხოლოდ კარსონული ბრძოლიდან ორი წლის თავზე დაჰყაბულდა ტიტულის დაცვას, მაგრამ კორბეტის გამოწვევა არ მიიღო და ჯეიმს ჯეფერსთან ჩხუბს დათანხმდა. გახსოვთ ჯეფერსი? ორი წლის



კორბეტმა ნოკდაუნი აგემა ფიცსს

წინათ ის კორბეტის სპარინ-პარტნიორად იყო სიერა ნევადას სავარჯიშო ბანაკში.

ისინი 1899 წლის ივნისში შეხვდნენ ერთმანეთს კონი აილენდზე და ჯეფერსმა მეთერთმეტე რაუნდში დასცა მობერებული ფიცსი. ფიცსმა მაინც არ მოისვენა და სამი წლის შემდეგ ისინი კვლავ შეიბნენ, ამჯერად სან ფრანცისკოში და ჯეფერსმა კვლავ მოიგო. ამჯერად, მერვე რაუნდში.

ფიცსის ომი მძიმე წონაში დამთავრდა, უფრო სწორად, ეს ომი მან კარსონ სიტიში დაასრულა, დანარჩენი მოგონილი იყო. ფიცსი მაინც აღარ მოეშვა რინგს და მსოფლიოში პირველი კაცი შეიქნა, სამ წონაში რომ ეპყრა ჩემპიონობა. ჯორჯ გარდნერის ძლევით 40 წლის ბობ ფიცსიმონსმა ქვემძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონობაც მოიგო.

ცხონებული ფიცსი 1914 წლამდე იდგა რინგზე და კრივს 51 წლისა გამოეთხოვა.

ის 1917 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა ჩიკაგოში, ფილტვების ანთებით.

ფიცსისაგან განსხვავებით, ჯეიმს კორბეტი აღარასოდეს ყოფილა ჩემპიონი, 1903 წელს იმავ ჯეფერსთან წაიქცა და ხელთათმანებისთვის ლურსმანი მოძებნა.

1925 წელს ხალხს თავი შეახსენა თავისი ავტობიოგრაფიული წიგნით: „ბრბოს ღრიალი", რვა წლის შემდეგ კი კიბოთი გარდაიცვალა ბეისაიდში, ნიუ იორკის შტატში.

ფიცსისა და კორბეტის შეყრა კი დარჩა. დარჩა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს იყო პირველი ორთაბრძოლა ნევადის შტატში, არამედ, როგორც უდიდეს მოკრივეთა ჩრდილის საუკეთესო სურათი...

კარსონ სიტიში, სახანძრო სადგურის შენობაზე დაფაა მიკრული. ეს დაფა გვამცნობს, რომ ოდესღაც აქ იყო არენა, სადაც ერთმანეთს შეებნენ კორბეტი და ფიცსიმონსი.

ამ ადგილას რომ დადგები და შორეთს გახედავ, სიერა ნევადას მთებს დაინახავ. ასი წლის წინათ ეს მთები აღუბეჭდავს ედისონის კინოკამერას. და არ იქნება არ გაგახსენდეს: ასი წლის წინათ, ძველ ნევადაში, წმინდა პატრიკის დღეს, დაუვიწყარი ორთაბრძოლა გაიმართა.

თოკებს დაბღაუჭებული კორბეტი წამოდგომას ცდილობს, შორიახლოს კი რეფერი და ფიცსი დგანან

ირანიდანაც ოქროს ვეღით

საქართველოში ჭიდაობის მექად გორია აღიარებული. ქართლის გულად ცნობილმა ამ პატარა და ამავე დროს დიდმა ქალაქმა მრავალი სახელოვანი ფალავანი აღუზარდა ჩვენს ქვეყანას. ერთ-ერთი მათგანი დათო პოღოსიანია, რომელმაც ამ დღეებში განუზომელი სიხარული გვაჩუქა — თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც სლოვაკეთის დედაქალაქმა ბრატისლავამ უმასპინძლა, მან 58 კგ. წონით კატეგორიაში ზედიზედ მეორედ მოიპოვა კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავის ტიტული. ჩვენი გორში სტუმრობის მიზეზიც ეს გახლდათ. პოღოსიანების სტუმართმოყვარე ოჯახში გულითადად ვისაუბრეთ:

— დათო, შენი პირველი ნაბიჯებიდან რას გაიხსენებდი?

— გორში რომ ჭიდაობა პოპულარულია, ყველას კარგად მოეხსენება. პატარა ბიჭების ოცნებაც მსოფლიოს თუ ევროპის ჩემპიონატების მედლების მოპოვებაა. ჩვენი ოჯახიც სპორტულია. მამაჩემი ყოფილი მოჭიდავეა, მაგრამ ჩემი, როგორც სპორტსმენის ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი ბიძაჩემს მიუძღვის, ასევე ყოფილ მოჭიდავეს. სწორედ მან მიმიყვანა გორის ჭიდაობის დარბაზში და ისეთ პროფესიონალებს ჩამაბარა, როგორებიც ნუგზარ სხირელი, მერაბ მუზიაშვილი და ირბეგ ჯიოშვილი არიან.

მერაბ მუზიაშვილი: დათო ბრწყინვალე მონაცემების მოჭიდავეა და, რაც მთავარია, შრომისმოყვარე და დაუზარელი კაცია. ბავშვობიდან დაისახა მიზნად, დიდი ფალავანი გამხდარიყო და, როგორც ხედავთ, თავისას მიაღწია კიდეც, თუმცა ჯერ კიდევ ყველაფერი წინა აქვს. მჯერა, სულ მალე მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს მედალს ჩამოგვიტანს ირანიდან და სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც იტყვის თავის სიტყვას.

— პირველი სერიოზული ტურნირი, რომელიც მოიგე, საკავშირო სპარტაკიადა იყო...

— სპარტაკიადის ჩემპიონი 1990 წელს გავხდი, შემდეგ კი ჭაბუკთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზეც ვიმარჯვე. 1994 წელს ფინეთში ახალგაზრდათა ევროპის ჩემპიონატზე 62 კგ-ში მეორე ადგილი დავიკავე და იტალიაში გავემგზავრე მსოფლიოს ჩემპიონატზე. პირველივე შეხვედრაში მძიმე ტრავმა მივიღე — ლავიწის ძვალი ამომივარდა. ამის შემდეგ სამი წელი ტრავმებმა გამაწამა, ბევრი სპორტული კარიერის დასასრულსაც მიწინასწარმეტყველებდა, დეპარტამენტმა ხელფასიც მომხსნა.

ლევან პოღოსიანი: დათოს ამ პერიოდში ძალიან გაუჭირდა. როგორი ამბავია, კაცი მსოფლიოს ჩემპიონატის მოგებაზე ოცნებობს და ტრავმის გამო ვარჯიშიც არ შეუძლია. ყველანი ვამხნევებდით, მართალი გითხრათ, მჯეროდა კიდეც, რომ კლავე დაუბრუნდებოდა ხალიჩას და მრავალ გამარჯვებას იზეიმებდა.

— ღვთის წყალობით, ტრავმა მოვარჩინე და 1997 წელს იარიგინის სახელობის ტურნირისთვის დავიწყე მზადება. კრასნოარსკში ძლიერმა შემდგენლობამ მოიყარა თავი. ფინალამდე ყველა ორთაბრძოლა თავისუფლად მოვიგე. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩემს მეგობართან, კანადის სახელით მოსპარეზე გივი სისაურთან მომიწია დაჭიდება. შეხვედრის დაწყებამდე გივი მოვიდა და მეუბნება, გამარჯვებულისთვის 5000 დოლარია დაწესებული.

ვერცხლის პრიზიორისთვის კი — 1000, მოდი, ეს ფული თანაბრად გავიყოთ, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი გავიმარჯვებთო. მეც დავთანხმდი, ფინალში სისაური დავამარცხე და შეთანხმებისამებრ 6000 დოლარი ძმურად გავიყავით.

— დათო, შარშან პოლონეთში ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ყველას იმედი ჩაგვესახა, რომ კონტინენტის ოქროს მედალს, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსაც მიუმატებდი...

— მსოფლიოსათვის ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული და ჩემპიონიც გავხდებოდი, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე ორი დღით ადრე საზარდულის ტრავმა მივიღე. მართალია, ჩემპიონატზე მაინც წავედი, მაგრამ ექიმებმა ხალიჩაზე გამოსვლის უფლება არ მომცეს. ორი თვე ვიმკურნალე და შემდეგ მოსკოვის არმიის სპორტულ კლუბთან გავაფორმე კონტრაქტი. ევროპის საკლუბო ჩემპიონატში მივიღეთ მონაწილეობა, ფინალში თურქეთის გუნდს შევხვდით და დიდი უპირატესობითაც დავამარცხეთ.

— მგონი დროა, ბრატისლავის ევროპის ჩემპიონატზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

— ბრატისლავაში ოთხი შეხვედრა ჩავატარე. პირველი შერკინება ბერძენ მოჭიდავეს მოვუგე. ფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრს უმარხანოვს ვძლიე 5:1. სხვათა შორის, შარშან იარიგინის ტურნირზე უმარხანოვის უფროსი ძმა დავამარცხე. ბრწყინვალედ იჭიდავა ელდარ კურტანიძემ, რომელიც ზედიზედ მესამედ გახდა ევროპის ჩემპიონი. ბრინჯაოს მოპოვების კარგი შანსი ჰქონდა ემზარ ბედინეიშვილს, მაგრამ მსაჯების არაობიექტურობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. შეიძლება ითქვას, ემზარს ბრინჯაო მსაჯებმა წაართვეს.

— შენი კერპი ვინ არის?

— უდიდეს პატივს ვცემ ბულგარელ იორდანოვს. 36 წლის იყო, ჭიდაობას თავი რომ დაანება, 7-ჯერ მოიგო მსოფლიოს ჩემპიონატი, ხოლო ევროპაში 8-ჯერ საუკეთესო იყო. სამ ოლიმპიადაზე იჭიდავა და მესამე ცდაზე მოიპოვა ოლიმპიური ოქრო. კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობას მიჰყო ხელი.

— სპორტის დეპარტამენტი შენსავით ტიტულოვან სპორტსმენებს ფინანსურ დახმარებას ჰპირდება.

— შარშან ევროპაზე გამარჯვების შემდეგ 10000 ლარი მომცეს, 7000 კიდევ უნდა დამმატონ. წელსაც მპირდებიან. საერთოდ წუწუნი არ მიყვარს, მაგრამ ეს ფული ისევ ჩემს მომზადებას მოხმარდება.

— დათო, საქართველოდან ბევრი სპორტსმენი წავიდა, მაცდური წინადადება შენ არ მიგიღია?

— რა თქმა უნდა. განსაკუთრებით რუსები და უკრაინელები აქტიურობდნენ, მაგრამ გორის გარდა სხვაგან ცხოვრებას ნამდვილად ვერ შევძლებ. ეგ კი არა, ტურნირებზე რომ მივდივარ, ერთი სული მაქვს, შინ როდის დავბრუნდები.

— როგორ ფიქრობ, რა მოგცა ჭიდაობამ?

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრება ვისწავლე, ბევრი მეგობარი შევიძინე. გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის გემოც ვიცი და მარცხის სიმწარეც. რაც მთავარია, მარცხსაც ვაკაცურად უნდა შეეგუოს კაცი.

— დათოს ჩემპიონობამ საქართველოში ყველა გაახარა, გორელები კი ამაყობენ თავიანთი სახელოვანი ფალავნით. შრომა დაუფასდათ მწვრთნელებსაც, ყველაზე ბედნიერი კი დათოს ოჯახია, განსაკუთრებით მამა, ბატონი ლევანი:

— მეამაყება, რომ დათო სახელოვანი კაცი გახდა. ის ბავშვობიდანვე დამჯერი და შრომისმოყვარე იყო. ახლა ხშირად რომ მოგზაურობს, ვნერვიულობ კიდეც მე და ჩემი მეუღლე ყველანაირად ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ, რათა მან სპორტზე იფიქროს.

— დათო, მსოფლიო ჩემპიონატზე შენი და ელდარის დიდი იმედი გვაქვს, ირანიდან ოქროს ველოდებით.

— ირანში მოპოვებულ მედალს სულ სხვა ფასი აქვს. იქ ჭიდაობა ძალიან პოპულარულია და დარბაზებიც გულშემატკივრებით არის გადაჭედილი. თან ჩემს წონაში ირანელებს მსოფლიოს ჩემპიონი თალაი ჰყავთ და წარმომიდგენია, როგორი ძნელი იქნება მასთან ასპარეზობა. თუმცა, არაფრის დათმობას არ ვაპირებ და მჯერა, სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის ოქროს მედლით დავიმშვენებ მკერდს.

— თალაის გარდა ვის თვლით ღირსეულ მოწინააღმდეგედ?

მსოფლიო ჩემპიონატზე დედის შეკერილი წაღებით გაემგზავრება

— 58 კგ-ში ბევრი ძლიერი მოჭიდავეა. იგივე უმარხანოვი, გივი სისაური, ძალიან აქებენ მონღოლ სპორტსმენს, მას არასოდეს შევხვედრივარ, თუმცა თანახმა ვარ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში დავეჭიდო და მან ვერცხლის მედალი აიღოს.

სოსო ქოტორაშვილი
ბადრი ქეთილაძე (ფოტო)

სლოვაკეთი. ბრატისლავა. ევროპის ჩემპიონატი	
ტექნიკური შედეგები	
54 კგ	
1. ზახაროვი (უკრაინა)	
2. კანდიევი (ბულგარეთი)	
3. კარტანოვი (საბერძნეთი)	
58 კგ	
1. პოღოსიანი (საქართველო)	
2. უმარხანოვი (რუსეთი)	
3. უსლოვიჩი (უკრაინა)	
63 კგ	
1. ბარზაკოვი (ბულგარეთი)	
2. სმალი (ბელარუსი)	
3. თედეევი (უკრაინა)	
69 კგ	
1. შამლი (თურქეთი)	
2. ზოზიროვი (უკრაინა)	
3. ალახვერდიევი (რუსეთი)	
4. ბედინეიშვილი (საქართველო)	
76 კგ	
1. ლეოპოლდი (გერმანია)	
2. გუეორქიანი (სომხეთი)	
3. საიტიევი (რუსეთი)	
85 კგ	
1. საიტიევი (რუსეთი)	
2. ბიჩინაშვილი (უკრაინა)	
3. ლოგონია (სლოვაკეთი)	
9. ბეგაშვილი (საქართველო)	
97 კგ	
1. კურტანიძე (საქართველო)	
2. გარმოცევიჩი (პოლონეთი)	
3. ხანდაპულო (საბერძნეთი)	
მძიმე	
1. პოლატჩი (თურქეთი)	
2. მახარი (სლოვაკეთი)	
3. მუსაბერი (რუსეთი)	
5. მოდებაძე (საქართველო)	
გუნდური	
1. უკრაინა 54	
2. რუსეთი 54	
3. თურქეთი 42	
4. გერმანია 38	
5. ბელარუსი 37	
6. საქართველო 35	



მარცხნიდან: მერაბ მუზიაშვილი, დათო და ლევან პოღოსიანები

მაკლარენი — ფერარი 4:1

ბარსელონაში, „მაკლარენმა“ კიდევ ერთხელ დაამარცხა მეტოქეები და წლეულს მესამე დუბლი მოიპოვა.

კვალიფიკაციაში გამარჯვებით მიკა ჰაკინენმა გუნდს მეხუთე პოული მოუტანა ამ სეზონში. პოულის მფლობელმა ეს შედეგი ასე შეაფასა: „ჩემი დრო წრეზე უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ ველოდით ახალი ტექნიკური მონაცემების მქონე ბოლიდისგან და მე მინდა მადლობა ვუთხრა გუნდს, რომელმაც შესანიშნავად მოამზადა მანქანა“.

კმაყოფილი გახლდათ რონ დენისიც: „შესანიშნავი შედეგია ორივე პილოტისთვის. მათ ინჟინრებთან ერთად მშვენივრად იმუშავეს, რაც რბოლაში წარმატების იმედს გვაძლევს“.

მართლაც რბოლა ორივე პილოტმა შესანიშნავად ჩაატარა და მეტოქეებს მაახლოების საშუალებაც არ მისცეს. რბოლის შემდეგ კი ეს ასპარეზობა ასე დაახასიათეს.

მიკა ჰაკინენი: „შესანიშნავი რბოლა იყო. ფანტასტიკური პოულიდან სტარტის აღება და თითქმის მთელი რბოლა ლიდერობა. სტარტიდანვე მაღალი ტემპით დავიწყე რბოლა, ბოლოს კი ოდნავ შევუნელე, მექანიკოსთა გუნდმაც კარგად იმუშავა და მინდა მადლობა ვუთხრა ყველას, ვინც ჩემს გამარჯვებას ხელი შეუწყო“.

დეივიდ კულჰარდი: „მიკა ბრწყინვალე იყო ამ დღეებში (კვალიფიკაცია, რბოლა), მე ვერ ვახერხებდი მივახლოებოდი მას, ვულოცავ გამარჯვებას. რბოლის პირველი მონაკეთი საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ჩემთვის, მაგრამ საბურავების შეცვლის შემდეგ საქმე გამოსწორდა, თუმცა კი მე არ მქონდა ისეთი პოზიცია, რომ მიკასთვის შემეტია. ეს უქმეები ვცდილობდი მანქანის საუკეთესოდ დარეგულირებას, მაგრამ ვერ შევძელი. შემდეგი რბოლა მონაკოში, სრულიად განსხვავებულ ტრასაზეა და მე წარმატების იმედი მაქვს“.

ვერცხლისფერთა ძირითადი მეტოქე მიზაელ შუმახერი კი, ჯერ კიდევ კვალიფიკაციის შემდეგ აცხადებდა, რომ მესამე სასტარტო პოზიცია საუკეთესო შედეგია მისი გუნდისთვის, თუმცა კი ჩამორჩენა საკმაოა და ეს დამაფიქრებელია. რბოლაში კი გერმანელი თავის ძირითად კონკურენტად „პენეტონის“ პილოტებს თვლიდა და არც შემცდარა, სწორედ ვურცთან მოუწია შუმის პაექრობა და ეს საინტერესო რბოლა ასე დაახასიათა: „სტარტი ცუდად ავიღე და ორი ადგილი დავკარგე. გუნდის შესანიშნავი მუშაობის წყალობით პირველი პიტ-სტოპის შემდეგ მესამეზე გადავინაცვლე, მაგრამ 10-წამიანი ჯარიმის შემდეგ ისევ მეოთხეზე ვურცის უკან აღმოვჩნდი. ვცდილობდი, სხვაობა შემემცირებინა. გუნდმა კვლავ დროულად გამომიძახა ბოქსებში, რაც კვლავ მესამე პოზიციაზე დაბრუნებაში დამეხმარა. მე ვფიქრობ, რომ ტრასაზე ვურცის გასწრებას ვერ შევძლებდი. მესამე ადგილი ის საუკეთესო შედეგია, რაც ჩვენ დღეს შეგვეძლო მოგვეპოვებინა. მაგრამ მონაკოში ლიდერებთან უფრო ახლოს ვიქნებით და თუ ჩვენი ბოლიდის დახვეწის სამუშაოებს ზუსტად შევასრულებთ, მომავალი რბოლებიდან რომელიმეს უკეთესად დავასრულებთ“.

მისმა თანაგუნდელმა, ირვინმა, რომელიც მეორე ბენეტონელ ფიზიკელასთან შეჯახების გამო ტრასის მიღმა აღმოჩნდა, განაცხადა, რომ იგი თავის ძველ სასტარტო ტექნიკას დაუბრუნდა და ეს სწორი აღმოჩნდა, სტარტიდანვე რამდენიმე ადგილის მოგება შეძლო. 28-ე წრეზე მომხდარ ინციდენტში კი მისი აზრით, უფრო მეტად ფიზიკელა გახლდათ დამნაშავე და ეს შემთხვევა რომ არა, მისთვის რბოლა შესანიშნავად მიმდინარეობდა.

„ფერარის“ ტექნიკური დირექტორი ჟან ტოდტი უკვე მომავალ რბოლებზე ფიქრობს

ალეკო ჯაბუძიანი

მსოფლიოს ჩემპიონატი

სკანდინავიშრი ფინალი

14 მაისი

ნახევარფინალები

შვედეთი — შვეიცარია 7:2

4:0, 1:0, 2:2

შაიბები: მოდინი 3 (ოლუნდი, 5), რენბერგი 5 (დალინი, სუნდსტრიომი, 11), დალინი 3 (14), ოლსონი 1 (სუნდინი, ფორსბერგი, 17), ტორნბერგი 1 (ფორსბერგი, მოდინი, 32), სუნდსტრიომი 1 (მოდინი, 47), ფორსბერგი 6 (სუნდსტრიომი, 49) — კისლერი 1 (სალისი, კრამერი, 51), ფონ არქსი 2 (რუტემანი, რიზენი 54).

იშვიათ კონტრშეტევებზე თამაშის აგება ისეთ ოსტატებთან, როგორიც შვედები არიან, არავის დააყრის ხერხს. ამიტომაც იყო, რომ ჩემპიონატის მასპინძლებმა პირველივე წუთიდან იერიშები და მაღალი ტემპი შესთავაზეს სკანდინავიელებს. ამით კი სწორი ტაქტიკით თავისი ადგილი მოუნინეს მეტოქეს: ჯერ ტრავმამოშუშებულმა ფრედერიკ მოდინმა ახლოდან დაუმატა შორეულ დარტყმულს, მერე კი გამოცდილმა ულფ დალინმა ორჯერ ისახელა თავი — პასს შაიბაც მიაყოლა. ასე რომ, მე-14 წუთისთვის მატჩის ბედი გადაწყდა და ფავორიტებმა იოლად მიიყვანეს საქმე ბოლომდე. უნდა ითქვას, რომ ამჯერად ნაკლებად იაქტიურეს შვედთა ლიდერებმა — სუნდინმა (1 პასი) და ფორსბერგმა, თუმცა ამ უკანასკნელმა ერთი საუცხოო გოლი მაინც მიითვალა და მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატში მოგვიანებით ჩაება, 10(6+4) ქულით ბომბარდირთა შორის უკვე მესამეა.

ჩეხეთი — ფინეთი 2:2

0:0, 1:0, 1:2

შაიბები: კაცირი 1 (შლეგრი, 39), კაცირი 2 (კაბერლე, ბერანეკი, 48) — ჰელმინენი 2(ტუომაინენი, პელტონენი, 44), კარალაჰტი 4 (ტიმონენი, ჰელმინენი, 47).

ჩეხთა თავკაცმა ივან ჰლინკამ დაამტკიცა, რომ კონტრიერიშების მოყვარულმის შეგირდებს ძალუძთ საჭიროებისდაგვარად ტაქტიკურად გარდაქმნა. ჩეხებმა თავიდანვე ჩაკეტეს მეტოქე მისსავე ზონაში და სანამ არ დაწინაურდნენ, არ მოისვენეს. არადა, მანამდე გუნდმა მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა — პირველივე პერიოდში დაშავდნენ კაპიტანი რობერტ რაიჰელი და წამყვანი მცველი ფრანტიშეკ კუჭერა. მაგრამ სამეულში გადაადგილების შემდეგ ჩეხებმა განაახლეს შეტევები და მეორე პერიოდის ბოლო წუთებზე მიაღწიეს კიდეც თავისას. სკანდინავიელები, ალბათ, ვერც შეძლებდნენ მატჩში გარდატეხის შეტანას, მსაჯს სრულიად უმიზეზოდ პიტსბურგელი ირჟი შლეგრი რომ არ დაეკარმიებინა. ამას ბრანეკის გაძევებაც მოჰყვა და ტურნირზე რიცხვმრავლობაში საუცხოოდ მოთამაშე ფინელებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი. ზედიზედ გაშვებულმა ორმა შაიბამ ჩეხებს ნირი წაუხდინა და დარჩენილ დროში მათ მხოლოდ გაათანაბრეს ანგარიში, რაც „სუომის“ სრულიად აძლევდა ხელს. ასე რომ, 16 მაისს ფინალში ორი სკანდინავიური გუნდი შეხვდება ერთმანეთს, ჩეხები და შვეიცარიელები კი ბრინჯაოსთვის იბრძოლებენ.



98 NHL Playoffs

მეორე ფრე

აღმოსავლეთი

მონრეალი 0:4 ბუფალო

14 მაისი

მონრეალი — ბუფალო 1:3

(0:1, 1:2, 0:0)

შაიბები: ბარნაბი 5(0:1), ოდეტი 4(0:2), შატანი 4 (0:3, რუჩინსკი 3(1:3).

მატჩის შემდეგ ბუფალოელთაგან ყველაზე გახარებული მეტიუ ბარნაბი ჩანდა — იგი გასაზღვრულ სიგარას აბოლებდა და ცივ ლუდსაც კი მიირთმევდა. ეს გასაგებიცაა: გავიხსენოთ ფორვარდისა და კლუბის კონფლიქტის პერიპეტიები. „გმადლობთ, დარსი, გმადლობთ მოთმინებისთვის“ — ბედნიერი ბარნაბი უზომოდ ემადლიერებოდა გუნდის გენერალურ მენეჯერ დარსი რეჟეს, რომელმაც საერთო ენა გამონახა მეამბოხე თავდამსხმელთან და იგი ბუფალოში დატოვა. ბარნაბიმ ეს სიკეთე არ დაივიწყა და მონრეალთან სერიის ერთ-ერთ გმირადაც იქცა. ბოლო, მეოთხე მატჩში სწორედ მან გაახსნა ანგარიში, რის შემდეგაც ისედაც დამფრთხალმა კანადელებმა მოვალეობის მოხდის მიზნითღა გააგრძელეს შეტევები, მაგრამ ჰაშეკთან (37 მოგერიება) ნახევარი ძალით ვერას გახდნენ. მეორე პერიოდის შუაგულში ოდეტმა და შატანმა სამმაღ გაზარდეს გუნდის უპირატესობა და „ხმლები“ კონფერენციის ფინალში გავიდნენ. ეს 1980 წლის შემდეგ პირველად მოხდა.

ოტავა 1:3 ვაშინგტონი

13 მაისი

ოტავა — ვაშინგტონი 0:2

(0:1, 0:0, 0:1)

შაიბები: გონჩარი 6(0:1), ტინორდი 1(0:2)

ვაშინგტონის მეკარე ოლაფ კოლციგი ნამდვილად ღირსია „დომინანტორის“ სახელისა. ოტავამ მას ვერაფერი მოუხერხა. გერმანელი ახლაც შეუდარებელი იყო და მოგერიების ისედაც საუცხოო მაჩვენებელი 94,7 პროცენტამდე გაზარდა, რაც პლეოფში საუკეთესო შედეგია. თვით ბილ რენფორდმა, კოლციგის სახელოვანმა შემცვლელმა, რომელიც ოლაფს კარგა ხნით გაამწესა სათადარიგოებში, დააფასა თავისი კოლეგის ღვაწლი: „სწორედ კოლციგმა განაპირობა ჩვენი წინსვლა“. არადა, ვაშინგტონელთა მეკარეს საქმე არ აკლდა მეტოქის ხშირი დარტყმების (ამჯერად 36:11 მასპინძელთა სასარგებლოდ) წყალობით. „კეპიტალსს“ კი იშვიათი კონტრშეტევების ტაქტიკამ გაუმართლა და სერგეი გონჩარის ფაქტობრივად ერთადერთი რეალური მომენტი კანადელთათვის საბედისწერო გოლად იქცა.

დასავლეთი

ედმონტონი 1:3 დალასი

13 მაისი

ედმონტი — დალასი 1:3

(1:1, 0:1, 0:1)

შაიბები: კარბონო 1(0:1), ფრეზერი 1(1:1), ჰოუგი 3(1:2), ჰოუგი 4(1:3)

ამ მატჩმა სერიის ბედი თითქმის გადაწყვიტა. თუ თავიდან ედმონტონელები ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს და ბრძოლაც ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მერე და მერე გამოცდილმა დალასელებმა ტაქტიკა შეცვალეს და თავიანთი უპირატესობა აშკარა გახადეს. „ვარსკვლავთაგან“ ბენუა ჰოუგი იმსახურებს გამორჩევას, რომელმაც ზედიზედ მეორე მატჩში შეაგდო გადამწყვეტი შაიბა. დალასი 3:1 დაწინაურდა სერიაში და ცხადია, შარშანდელის განმეორებას აღარ შეეცდება, როცა ასეთივე ვითარებაში დაუთმო სერია ედმონტონს.

სენტ ლუისი 1:3 დეტროიტი

14 მაისი

სენტ ლუისი — დეტროიტი 2:5

(0:1, 2:1, 0:3)

შაიბები: შენაჰანი 5(0:1), კოშური 3(0:2), კემპბელი 6(1:2), ტარჯონი 4(2:2), კოზლოვი 3(2:3), ფიოდოროვი 7(2:4), ფიოდოროვი 8(2:5).

სენტ ლუისს შეეძლო, გარდატეხა შეეტანა სერიაში. მეორე პერიოდის მიწურულს მასპინძელთა გამუდმებული შეტევები ტარჯონის შაიბით დამთავრდა და ბოლო მესამედში „ბლუზმენები“ ფსიქოლოგიური უპირატესობით გავიდნენ ყინულზე. მაგრამ დეტროიტს ხომ სერგეი ფიოდოროვი ჰყავს, რომელიც კონფერენციის ფინალში გასვლის შემთხვევაში 12 მილიონს ჩაიჯიბავს. იქნებ, ფულიცაა იმის მიზეზი, რომ რუსი პლეი ოფში საუცხოოდ თამაშობს. ახლაც 32-ე წუთზე, ორი სენტლუისელის გარემოცვაში მყოფმა ფიოდოროვმა ისეთი პასი მიაწოდა პარტნიორებს, რომ ყოველეული უეჭველად გოლით უნდა დაგვირგვინებულიყო. ამის შემდეგ თავად ფიოდოროვმა შეაგდო ორჯერ და 14(8+6) ქულით პლეი ოფის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

სამგელ ღარიბიანი

არჩევანი ტამპასია

ნჰლ-ში მორიგი დრაფტის ტრადიციული ლატარია ჩატარდა. მან გამოაელინა 11 გუნდი, რომელთაც დრაფტზე შეღავათიანი არჩევნის უფლება მიეცემათ.

1 ტამპა, 2 სან ხოსე, 3 ნეშვილი, 4 ვანკუვერი, 5 ანაჰაიმი, 6 კალგარი, 7 რეინჯერსი, 8 ტორონტო, 9 აილენდერსი, 10 ჩიკაგო, 11. კაროლინა.

ბილი + მარტინა=?

რომი. იტალიის ღია პირველობა. (SUPER 9). ტარდება თიხნარზე. საპრიზო 2,45 მილიონი $

თითქმის ყველა დიდ ჩოგბურთელს ჰქონია ისეთი დიდი სლემის ტურნირი, რომლის მოგებაც ათასნაირი მცდელობის მიუხედავად, ვერ მოუხერხებია. ბორნ ბორგისთვის ეს ამერიკის ღია პირველობა იყო, ივან ლენდლისთვის უმიზეზოდ, ჯიმი კონორსს, ჯონ მაკინროის, ბორის ბეკერსა და სტეფან ედბერგს კი როლან გაროსის მონადირება არ ეხერხათ. ამ უღიმღამო კომპანიაში ადგილის დამკვიდრების „პერსპექტივა“ მსოფლიოს ბოლო ხუთი წლის საუკეთესო ჩოგბურთელს — პიტ სამპრასსაც აქვს — ამერიკელს საფრანგეთის ღია პირველობისეული თიხნარი ვერაფრით დაუჭაშნიკებია, ის კი არა, რომელ გაროსის ნახევარფინალშიც კი ერთადერთხელ უსპარეზია (1996). „საფრანგეთის ღია პირველობის მოგება ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევაა. ვგრძნობ, რომ წლეულს ანგარიშგასაწევი ძალა ვარ“ — მიაჩნდა ამერიკელს რომის ტურნირის დაწყებამდე, თუმცა თან იმასაც ამატებდა, ამ ტიტულის მოპოვება ჩემი იდეა-ფიქსი სულაც არ არისო.

სამპრასს რომში ერთობ ძნელი მეტოქეები დაებედა — პირველ წრეში კლავ ალმავლობის გზაზე მდგომ შვედ ტომას ენკვისტს გადაეყარა, მეორეში კი შარშანდელ როლან გაროსზე თავის გამამწარებელ მაგნუს ნორმანს. 21 წლის შვედი გასულ სეზონში შესანიშნავ შედეგებს უჩვენებდა, მაგრამ მერე გულის დაავადება აღმოაჩნდა, დეკემბერში ოპერაციაც გაიკეთა და წლეულს რაიმე მიღწევით თავი ალარ გამოუჩენია. აქეთ კი სამპრასი იქადნებოდა, იმ მწარე მარცხს რა დამავიწყებსო.

შვედმა პირველ სეტში თავგადადებით იბრძოლა, საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა და ორჯერ სეტ-პოინტსაც გამოჰკრა ხელი, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მსოფლიოს პირველ ჩოგანს პირველი მოწოდებები არ გაუცუდებია — 10:8. მომდევნო, მეორე ხელის პირველ გეიმში მატჩის პირველი და უკანასკნელი ბრეიკი სამპრასმა გაახერხა, ნორმანმა კი მაშინვე სამედიცინო დახმარება მოითხოვა და ექიმიც კარგა ხანი უზელდა კისერს და მკლავებს. მატჩისბოლოს შვედის უკანასკნელი გაბრძოლება და ორი ბრეიკ-პოინტი კი შეხვედრის გადასარჩენად საკმარისი არ გამოდგა — 7:6, 6:4 ამერიკელის სასარგებლოდ.

კიდევ ერთი საინტერესო მატჩი როლან გაროსზე თიხნარის ყოფილ მეფეს — ავსტრიელ ტომას მუსტერსა და მის მემკვიდრედ შერაცხულ ესპანელ ფელიქს მანტიას (13) შორის გაიმართა. ფართო დიაპაზონის ოხვრა-გმინვის ვარდა ეს შეხვედრა იმით იყო გამორჩეული, რომ ჩოგბურთელებმა მატჩის ბოლოს ერთმანეთს ხელი არ ჩამოართვეს.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ მუსტერმა მეორე სეტის შუაგულში შესაბამისი პროცედურის გარეშე — ხელის მაღლა აუწევლად, რაც მზად არყოფნას აღნიშნავს, მანტიას ხელახლა მოწოდება სთხოვა. ესპანელმა მსაჯთან ცოტა წაიდავა და დათანხმდა, მაგრამ როდესაც ავსტრიელმა ბოლო მომენტში მომდევნო მოწოდების დროსაც აუწია ხელი, საბოლოოდ დაკარგა მოთმინება. მუსტერის ხრიკმა მაინც არ გაჭრა და მეორე სეტი შესამჩნევად გაღიზიანებულმა ესპანელმა მოიგო, მერე კი იყო მეტოქის მხარეს პურჭყეპა, ჯიღების კუმშვა და ენის გამოყოფაც (!!) კი. შეხვედრა ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და ავსტრიელის გამარჯვებით 6:4, 3:6, 6:4 დასრულდა, მანტიამ კი ბადესთან მისვლის ნაცვლად მატჩის დროს ორივე მხრიდან შეხურებულ მსაჯს ჩამოართვა ხელი და კორტიდან სწრაფი ნაბიჯებით გავიდა, ისე, რომ მეტოქისკენ არც გაუხედავს.

მეორე წრე: მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ტიმ ჰენმანი (ინგლისი) 6:3, 6:1; ევგენი კაფელნიკოვი (6, რუსეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 1:6, 7:6 (7:4), 6:3; ქარიმ ალამი (მაროკო) — ალექს კორეჩა (9, ესპანეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:4; რიჩარდ კრაიჩეკი (11, ჰოლანდია) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:3, 6:2; მაიკლ ჩანგი (15, აშშ) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 7:5, 6:1; დავიდ სანგვინეტი (იტალია) — სედრიკ პიოლინი (16, საფრანგეთი) 6:4, 6:2

მაიკლ ჩანგი და პიტ სამპრასი აქამდე თერამეტჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და თერთმეტჯერ გამარჯვება ამ უკანასკნელს ეზეიმა, თუმცა იმ თერამეტიდან თიხნარზე ერთადერთი მატჩი იყო ჩატარებული — 1989 წლის როლან გაროსზე, (სადაც წარმოშობით ჩინელმა მაიკლმა თავისი ერთადერთი დიდი სლემის ტურნირი მოიგო) რომელიც სამპრასისთვის მეტად მწარე გასახსენებელიც გახლდათ (აბა, როგორი უნდა იყოს მსოფლიოს პირველი ჩოგნისთვის 16, 16, 16-ით წაგება).

მაიკლ ჩანგი

სამპრასმა ჩვეულებისამებრ დუნედ დაიწყო და პირველივე გეიმში საკუთარი მოწოდება დაკარგა, მაგრამ ამჯერად საქმე არც მერე აეწყო — თავიდანვე მოპოვებული უპირატესობა ჩანგს მატჩის ბოლომდე გაჰყვა. ის კი არა, მსოფლიოს პირველი ჩოგანი გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდა — როცა თავად ცდილობდა რისკიანი გათამაშებით ქულის მოპოვებას, ათიდან ცხრა შემთხვევაში საფირმო ფორჰენდიც კი ღალატობდა, ბურთის უბრალოდ გადაგდებას იწყებდა და ჩანგი სულიც კუთხეებში მიმართული ფორჰენდ-ბექჰენდებით.

სასოწარკვეთილმა სამპრასმა მეორე სეტში გასამხნევებლად ტრიბუნებს მიმართა და რის ვაი-ვაგლახით ტაი-ბრეიკამდე მიატანა, მაგრამ ისე, რომ 1,75 მეტრიანი ჩანგის მოწოდებაზე მთელი მატჩის განმავლობაში ერთიბრეიკ-პოინტიც კი არ ჰქონია. გადამწყვეტ გეიმში მეტოქეები ქულა-ქულაზე მიდიოდნენ, მაგრამ 6:6-ზე ჩანგს მთელი კორტის გადარბენის შემდეგ შესანიშნავი შემოვლება გამოუვიდა და მომდევნო გათამაშებაზე მატჩიც დამთავრდა — 6:2, 7:6 (8:6) მის სასარგებლოდ.

სამპრასისგან განსხვავებით, მისი მთავარი კონკურენტი მარსელო რიოსი თიხნარზე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. კიკინიან ჩილელს ახლახან გადატანილი იდაყვის ტრავმის მიუხედავად რომში თითო შეხვედრაში ოთხ გეიმზე მეტი არავისთვის დაუთმია, მისი მორიგი მსხვერპლი კი მერვედფინალში ზემოხსენებული ტომას მუსტერი გახდა 6:3, 6:1. „ფიზიკურად თავს უფრო და უფრო უკეთ ვგრძნობ, მოძრაობაც თანდათან მიადვილდება. ბოლო ხანებში ასე კარგად არ მითამაშია და ეს საკუთარი ძალების რწმენას მმატებს“ — განაცხადა მარსელომ მატჩის შემდეგ.

მარტინა ჰინგისი

ერთობ დაძაბული გამოდგა დიდი სლემის ტურნირების ორი გამარჯვებულის — ევგენი კაფელნიკოვისა და ჰოლანდიელი რიჩარდ კრაიჩეკის შეხვედრა. ყველაფერი მხოლოდ მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე გადაწყდა, როდესაც რუსმა მატჩპოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და გამწარებულმა ბადეში ჩოგანიც მოისროლა — 6:2, 3:6, 7:6 (8:6) ჰოლანდიელის სასარგებლოდ.

მერვედფინალი: გუსტავო კუერტენი (8, ბრაზილია) — ტომი ჰაასი (გერმანია) 6:4, 6:2; ალბერტო ბერასატეგი (12, ესპანეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 7:6 (7:3), 4:6, 6:2; პრეტ სტივენი (ახალი ზელანდია) — კარლოს მოია (14 ესპანეთი) 7:5, 6:0; ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) — დავიდ სანგვინეტი 6:2, 7:5; ალბერტ კოსტა (ესპანეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:2, 7:6 (9:7).

ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 450 ათასი $

მარტინა ჰინგისმა ბერლინის ტურნირის მესამე წრეში შარშანდელ როლან გაროსზე დამარცხებისთვის ხორვატ ივა მაიოლზე რომ იყარა ჯავრი 6:1, 6:2, ამაზე საუბარი არ ინდომა, ეგ რა შურისძიებაა, ივას ცხოვრება არეული აქვს, თამაშს თამაშზე აგებსო. სამაგიეროდ, ბილ კლინტონს გვარიანად გადაწვდა. საქმე ისაა, რომ ამერიკის პრეზიდენტი ამ დღეებში ბერლინს სტუმრობს და იმავე სასტუმროშია დაბინავებული, სადაც 17 წლის შვეიცარიელი. ჰოდა, ათასი პირადი მცველისა და შავსათვალიანი აგენტების სირბილით შეწუხებულ მარტინას ტელეფონზე დაურეკეს, ბილ კლინტონი ვარ, ბოდიში, რომ საპრეზიდენტო ნომერი წაგართვი, მაგრამ თუ გინდა, სძინებელს დაგითმობ, ან სულაც ერთი ოთახი გავიზიაროთო. ხმა თურმე საოცრად ჰგავდა მექალთანე პრეზიდენტისას, მაგრამ უცნობს ბოლოს გაუცინია. მარტინამ კი ჟურნალისტებს განუცხადა, ვერაფრით გამიგია, რაში სჭირდება კლინტონს ოთხი სართული, ბევრი ვიფიქრე და დავასკვენი, ალბათ, თავისი ქალებისთვისო.

მერვედფინალი: ამელი მორეზმო (საფრანგეთი) — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:2, 6:4; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — მარია სანჩეს ლორენსო (ესპანეთი) 6:4, 6:4; აი სუგიამა (16, იაპონია) — ამანდა კუცტერი (4, სამხრეთ აფრიკა) 4:6, 6:2, 6:3; ანა კურნიკოვა (14, რუსეთი) — არანჩა სანჩეს ვიკარიო (5, ესპანეთი) 6:4, 6:2; კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი) — სანდრინ ტესტიუ (11, საფრანგეთი) 4:6, 7:5, 6:2

გუშინ მეოთხედფინალში კურნიკოვამ ჰინგისს მოუგო 6:3, 7:6.

ავთანდილ სვანიძე

სარჩიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის

ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოკვირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო აბულაძიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთლაძე

სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29